პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—89.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- კომინტერნის აღმასკომის მოწოდება.
- დიდი საპროტესტო დემონსტრაციები შვეციაში.
- გაიხსნა ბენგალიის მუშათა და გლეხთა პარტიის ყრილობა.
- პოლონელ კომუნისტების დაპატიმრება ბერლინში.
- კელნში ჩავიდა მაქსიმ გორკი.
- „იტალიამ“ მიაღწია ჩრდილოეთ პოლიუსს.
- არტემოვსკის სასამართლო-საგამომძიებლო მუშაკების საქმე.

პარასკევი, 25 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 119 (2162)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საქართველოს კომპარტიის (ბ)
მესამე მოწვევის ცეკას
მესამე პლენუმი
შესდგება **ა. წ. 5 ივნისს**
სახ. კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში
საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი **ლოლობერიძე**

იაპონიამ გადასწყვიტა დამოუკიდებლად იმოქმედოს ჩინეთში

ამერიკელების ევაკუაცია პეკინიდან.—ხუნანში და ხუბეიში ძლიერდება გლეხთა მოძრაობა

კომუნისტებმა გერმანიის რეიხსტაგის არჩევნებში მიიღეს 3.260.000 ხმა

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

ჩინეთში იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ

მოსკოვი, 24 მაისი. გამოქვეყნდა კომინტერნის აღმასკომის მოწოდება იაპონიის ინტერვენციის გამო ჩინეთში.

„ჩინეთის დანაწილება,—ნათქვამია მოწოდებაში,—უკვე დაიწყო. ჩაახრჩო რა სისხლში მუშები და გლეხები და ჩინეთის ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობა, მსოფლიო ბურჟუაზია ინტერვენციიდან ქვეყნის აშკარა დაპყრობაზე გადადის. იაპონიის მიერ დაწყებული ომი შეიძლება გადაიქცეს მსოფლიო ხანძრათ, იმპერიალისტების ბრძოლათ კოლონიების ხელ-ახლა დაყოფისათვის, სისხლის მღვრელ ლაშქრობათ ყველა დაჩაგრულ ერების წინააღმდეგ. მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატის და დაჩაგრულ ერების გმირულ სოლიდარობას შეუძლია ამ კატასტროფის თავიდან აცილება.

იაპონიის მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო! თქვენი რევოლიუციონური მოვალეობაა შეაჩეროთ მახვილი, რომელიც აღმართულია ჩინეთის ხალხზე. შანდუნის სისხლის მღვრელ ამბებს უპასუხეთ თავგანწირული მასიური ბრძოლით პირველ ყოვლისა თვით იაპონიის მთავრობის წინააღმდეგ. აშენეთ, განამტკიცეთ და გააფართოვეთ თავისი რევოლიუციონური ორგანიზაციები. მტკიცედ და შენებულათ ასწიეთ ზევით კომპარტიის დროშა. გააძევეთ რეფორმისტი-გამცემლები, რომლებიც ცრუ დაპირებებისა და თვალთმაქცურ ფრაზების ნიღაბით გადამწყვეტ მომენტში მხარს დაუჭერენ რეაქციას. ეცადეთ, რომ თვითეული ჯარისკაცი, რომელსაც მთავრობა გზავნის ჩინეთის ტერიტორიაზე, გახდეს იქ იაპონიის იმპერიალიზმის მტერი, ჩინეთის რევოლიუციის ერთგული მოკავშირე, თავდადებული მებრძოლი იაპონიაში კაპიტალიზმის დამხობისათვის. მხოლოდ საბჭოებში ჩამოყალიბებული მუშურ-გლეხური ხელისუფლება დაანგრევს იმპერიალიზმის ყველა პოზიციებს, ძირბუდიანათ აღმოფხვრის მის ეკონომიურ და პოლიტიკურ აგენტურას ქვეყნის შიგნით, საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებით ნაციონალურ რევოლიუციას მიიყვანს გამარჯვებამდე და გზას გაუკაფავს მას სოციალიზმისაკენ.

ჩინეთის მუშებო, გლეხებო და ქალაქის ღარიბო მოსახლეობავ! დაეყრდენით მხოლოდ თავის საკუთარ ძალებს. აღადგინეთ, განამტკიცეთ და გააძლიერეთ თავისი ორგანიზაციების კლასობრივი შეგნება. მჭიდროდ შემოკრბით კომპარტიის გარშემო.

ჩან-კაი-შის არმიის ჯარისკაცებო! გახსოვდეთ, რომ ბურჟუაზიის ეს აგენტი არის ის მოღალატე, რომელმაც ერთი წლის წინად შანხაიში დაშალა რევოლიუციონური ფრონტი და გზა გაუხსნა საერთაშორისო იმპერიალიზმს.

ჩინეთის და იაპონიის არმიების ჯარისკაცებო! ნუ მოერიდებით ნურავითარ მსხვერპლს, რათა გაუწოდოთ ერთი მეორეს ძმური რევოლიუციონური სოლიდარობის ხელი. დაშალეთ ორივე მხრიდან კონტრ-რევოლიუციონური ფრონტები. გააერთიანეთ თავიანთი ძალები ჩინეთის რევოლიუციის დასაცავად.

მთელი ქვეყნის მუშებო! ახალი ძალით, ახალი ენერგიით გამოდით ჩინეთის რევოლიუციის დასაცავად, ჩინეთის სამხედრო დაყოფის წინააღმდეგ. განახორციელეთ ლოზუნგი: არც ერთი ჯარისკაცი, არც ერთი ვინტოვკა ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ. ნუ დაუჯერებთ მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების ცრუ დაპირებებს და თვალთმაქცურ ფრაზებს. ისინი უკვე ამზადებენ 1914 წელს. ფხიზლათ იყავით, დაუღალავად და გმირულად იმუშავეთ ისეთ პირობების მოსამზადებლათ, რომლებშიაც შესაძლო გახდება იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა. (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

მოელიან კომუნისტების აჯანყებას.

შანხაი, 23 მაისი. პრესის ცნობით, ხუნანისა და ხუბეის პროვინციებში არსებობს ძლიერი მოძრაობა გუანსის ჯგუფის ბატონობის წინააღმდეგ. ადგილობრივი ჩინელი ორგანიზატორები ამ პროვინციების ავტონომიას მოითხოვენ. მთავრობის წრეებში შიშობენ, რომ ზაფხულში ამ პროვინციებში დაიწყება კომუნისტური აჯანყება.

იაპონია დამოუკიდებლათ მოქმედებს.

შანხაი, 23 მაისი. იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა იმოქმედოს ტიანძინში სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად. იაპონიის სარდლობამ ტიანძინში პეკინ-ცზინანის რკ. გზის ორივე მხარეზე დასაცავი ზონა გააფართოვა 20 ლიმდე (10 კილომეტრი) იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს ქალაქის დაკავებას სამხრეთის ჯარების მიერ.

ფორმოზის რევოლიუციონერთა დაპატიმრება.

შანხაი, 23 მაისი. პრესის ცნობით, შანხაიში დააპატიმრეს 7 ფორმოზელი სტუდენტი და 2 სტუდენტი ქალი. დაპატიმრებულნი გაგზავნეს ფორმოზაში (ადს).

შეერთებულ შტატების ნოტა ნანკინელებისადმი.

ვაშინგტონი, 23 მაისი. შეერთებულ შტატების მთავრობამ ნანკინის მთავრობას მიმართა ნოტით, რომელიც მოითხოვს ამერიკელ მისიონერის სეიმურის მკვლელთა დაპატიმრებას და სიკვდილით დასჯას (სეიმური მოკლეს ცზინანში მიმდინარე წლის აპრილში ქალაქში ნანკინის ჯარების შემოსვლის დროს) და აგრეთვე ნანკინის არმიის იმ ოფიცრების დაპატიმრებას და დასჯას, „რომელთაც არ მიიღეს ზომები, რათა თავიდან აეცილებინათ გამოსვლა ამერიკელ მოქალაქეთა წინააღმდეგ“. (ადს).

პეკინის გარეშე საქმეთა მინისტრის პასუხი

პეკინი, 23 მაისი. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების მისიამ პეკინში მიიღო პეკინის გარეშე საქმეთა მინისტრის პასუხი ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩის მიერ ამას წინად გადაცემულ ნოტაზე. პეკინის გარეშე საქმეთა მინისტრის ნოტა შეიცავს დაპირებას, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების მოქალაქენი დაცული იქნებიან. (ადს).

ვერ შეთანხმდნენ

პეკინი, 23 მაისი. იაპონიის ცდა—მიაღწიოს შეთანხმებას ინგლისთან და განსაკუთრებით ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებთან, დასაცავ ზონების დაწესების მიზნით, უშედეგოდ დამთავრდა. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარჰყო იაპონიის წინადადება თავდაცვის ზომების გაძლიერების შესახებ დიპლომატიურ უბნის ფარგლებს იქით და განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ საშიშროება შეიქმნა, ამერიკა მზად არის გაიყვანოს თავისი მოქალაქენი.

საელჩოების უბნის გარშემო მდებარე ქუჩები შემოღობილებულია ეკლიანი მავთულით. პეკინის ერთ-ერთი მოედანი დაცლილია იაპონიის აეროდრომის საჭიროებისათვის.

ანტიიაპონური ბოიკოტი

შანხაი, 23 მაისი. იაპონიის საქონლის ბოიკოტის გამო სტუდენტთა მოხალისე რაზმები შეუდგნენ ნავთსადგურების დათვალიერებას, რათა მოახდინონ იაპონიის საქონლის რეგისტრაცია (ადს).

„დასაცავად“ ემზადებიან

ნიუ-იორკი, 23 მაისი. „იუნაიტედ პრესის“ საგენტო იუწყება: ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების მთავრობამ ნება დართო თავის ელჩს ჩინეთში მაკ მურეის, რომ ამერიკის მისია გადაიყვანოს პეკინიდან ტიანძინში; ამერიკის მთავრობამ განკარგულება გასცა აგრეთვე, რომ ტიანძინში თავი მოიყაროს ამერიკის ყველა მოქალაქეებმა და ჩრდილოეთ ჩინეთში დაბანაკებულმა ყველა სამხედრო ნაწილებმა. ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების ესკადრა თავს იყრის ჩიფუში (შანდუნის პროვინციის აღმოსავლეთით) (ადს).

ამხ. ვან-ჩუს დაპატიმრება.

შანხაი, 23 მაისი. პრესის ცნობით, ხაიფინის მაზრაში (გუანდუნის პროვინცია) დააპატიმრეს ცნობილი კომუნისტი ვან-ჩუ, დეკემბრის აჯანყების მონაწილე კანტონში (ადს).

რეიხსტაგის არჩევნების საერთო შედეგები

ბერლინი, 23 მაისი. რეიხსტაგის არჩევნების საერთო შედეგები ასეთია: **კომუნისტებმა მიიღეს 3.260.000 ხმა**, სოციალ-დემოკრატებმა—9.144 ათასი ხმა, ნაციონალისტებმა—4.380 ათასი ხმა, ცენტრმა—3.710.000, ბავარიის სახალხო პარტიამ—2.678.000, დემოკრატებმა—1.502.000, სამეურნეო პარტიამ—1.396.000, სახალხო პარტიამ—940.000, ნაციონალ-სოციალისტებმა—808.000. (ადს).

მილოცვები.

ბერლინი, 23 მაისი. გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არჩევნებში გამარჯვების გამო მიიღო მილოცვა საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის და ბელგიის კომპარტიებისაგან და აგრეთვე გერმანულ გაზეთებისაგან, რომლებიც გამოდის საბჭოთა კავშირში (ადს).

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

ბერლინი, 23 მაისი. ბერლინში გრძელდება პოლონეთ-ლიტვის შერეულ კომისიის მოლაპარაკება სადემარკაციო ხაზზე მიმოსვლისა და იურიდიულ საკითხების შესახებ. ლიტვის დელეგაციამ უარყო პოლონეთის მიერ კენიგსბერგში გადაცემული პროექტი ამ მიმოსვლის მოწესრიგების შესახებ და წარადგინა დეტალური კონტრპროექტი (ადს).

შეთანხმება იაპონიასთან

ტოკიო, 23 მაისი. პრემიერმა ტანაკამ და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ტროიანოვსკიმ გადასცეს ერთმანეთს იაპონია-საბჭოთა კავშირის შორის თევზის ჭერის საკითხზე დადებულ კონვენციის დამტკიცებული სიგელები და მიმართეს ერთმანეთს მისასალმებელი სიტყვებით, **რომლებშიაც ხაზი გაუსვეს იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების მნიშვნელობას.**

შეტაკება ალბანეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვარზე

ვენა, 23 მაისი. ზაგრების გაზეთის „მორგენბლატი“-ს ცნობით, ალბანეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვარზე ახალი შეტაკება მოხდა. კომიტაჯები გადავიდნენ სამხრეთ-სლავიის საზღვარზე და სროლა აუტეხეს ჟანდარმებს. სროლა რამოდენიმე საათს გაგრძელდა, რის შემდეგაც კომიტაჯებმა დაიხიეს. კომიტაჯებმა 5 კაცი დაჰკარგეს. (ადს)

ბენგალიის მუშათა და გლეხთა პარტიის ყრილობა

ლონდონი, 23 მაისი. მხატბარში (ინდოეთი), კალკუტის მახლობლად შესდგა ბენგალიის მუშათა და გლეხთა პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ყრილობას დაესწრენ პარტიის 10.000 წევრის წარმომადგენლები. პარტიის ც. კ-მა თავის მოხსენებაში აღნიშნა, **რომ პარტია მჭიდროდ არის დაკავშირებული ბენგალიის პროფმოძრაობასთან.** პარტიის მჭიდრო კავშირმა მუშათა მასების უშუალო ბრძოლასთან, რომელსაც ისინი თავისი ინტერესებისათვის აწარმოებენ, გამოიწვია მთავრობის მრავალი რეპრესია. პარტიის ბევრი წევრი ამ ჟამად საპატიმროში იმყოფება. პარტიას საშუალება არა აქვს თავისი ლიტერატურა გამოსცეს. რეპრესიების მიუხედავად, პარტია სწრაფათ იზრდება ბენგალიაში. მოკლე ხანში განზრახულია მთელი ინდოეთის მუშათა და გლეხთა პარტიის კონფერენციის მოწვევა (ადს).

მუშათა საპროტესტო დემონსტრაციები

სტოკჰოლმი, 23 მაისი. მთელს შვეციაში დიდის წარმატებით ჩატარდა მუშათა საპროტესტო დემონსტრაციები იმ კანონპროექტის წინააღმდეგ, რომელიც აწესებს მეწარმეებსა და მუშებს შორის წამოჭრილ კონფლიქტების სავალდებულო საარბიტრაჟო გარჩევას. სტოკჰოლმში დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღო 50.000-ზე მეტმა მუშამ, გეტებორგში—25.000 მუშამ. შვეციის პროფკავშირთა გაერთიანების გამოთანგარიშებით, **საპროტესტო დემონსტრაციებში მთელ სახელმწიფოში 250.000 მუშამ მიიღო მონაწილეობა.** ყველგან დემონსტრაციების ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდენ მუშა-კომუნისტები.

სტოკჰოლმში 50.000 დემონსტრანტიდან 20.000 მიდიოდა დაწყობილი კოლონებათ, რომლებსაც ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია (ადს).

პოლონელ კომუნისტების დაპატიმრება ბერლინში

ბერლინი, 23 მაისი. მემარჯვენე პრესა იუწყება, რომ 22 მაისს ბერლინში გაიმართა პოლონელ კომუნისტების კრება. კრებაზე გამოცხადდა პოლიტიკური პოლიცია, დახურა ის და დააპატიმრა 26 პოლონელი კომუნისტი. დაპატიმრებულნი საზარგო ავტომობილებით მიიყვანეს პოლიციაში ვინაობის გამოსარკვევად. ბევრ მათგანს, თითქმის, აღმოაჩნდა ყალბი ან ვადაგასული დოკუმენტები. გამოძიება გრძელდება. (ადს).

ბერლინი, 23 მაისი. ვოლფის საგენტო ადასტურებს მემარჯვენე გაზეთების ცნობას, რომ პოლიციამ ჩაშალა ბერლინში მომხდარი „არალეგალური“ კრება და დააპატიმრა 26 მისი მონაწილე. პოლიცია აცხადებს, რომ კრების დაშლის და მის მონაწილეთა დაპატიმრების დროს მან ხელთ იგდო დიდძალი მასალები, რომლებიც დაწვრილებით იქნება განხილული. პოლიციამ ხელთ იგდო აგრეთვე დიდძალი ფული.

დაკავებულ მასალებს შორის, როგორც პოლიცია ამტკიცებს, არის პოლონეთის კომპარტიის ცეკას მოწოდება. (ადს).

ბერლინი, 23 მაისი. ვოლფის საგენტო იუწყება: „თუ გამოძიებამ არ გამოარკვია 26 დაპატიმრებულ პირის რამე სხვა დანაშაული ისინი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული გერმანიის საზღვრებზე ნებადაურთველად გადასვლისათვის.

ამასთან ერთად იხილავენ მათი გერმანიიდან გაძევების საკითხს. (ადს).

ბელა კუნი ციხეში

მეგობრების ნახვის ნებართვა

ვენა, 23 მაისი. ვენის საოლქო სასამართლომ განიხილა ბელა კუნის და მისი ამხანაგების პროტესტი და ნება დართო მათ ინახულონ დაპატიმრებული. (ადს).

8 მცველის თანხლებით

ვენა, 23 მაისი. როგორც ბელა კუნის დამცველმა შენგოფმა განუცხადა „როტე-ფანე“-ს თანამშრომელს, კუნი სჩივის, რომ უკანასკნელ დღეებში საპყრობილეში განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმია გამეფებული. საკნის კარებს მცირე ხნით აღებენ მხოლოდ დღეში ერთხელ. საჭმელს აწვდიან კარებში გაკეთებულ პატარა სარკმელიდან. კუნს დაავადებული აქვს თირკმლები და ხშირად აწუხებს კუჭის ტკივილი. მისი თხოვნით, ის ინახულა საპყრობილეს ექიმმა, მაგრამ საკანში არ შევიდა და მხოლოდ კარის სარკმლიდან შეხედა. გასეირნების დროს მას ახლავს 8 ჯარისკაცი, რომელთაგან ორს რევოლვერი უჭირავს ხელში. (ადს).

ბონკური კელლოგის პროექტის შესახებ

პარიზი, 23 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „პოლ ბონკურმა სოციალისტების კრებაზე კელლოგის პროექტის შესახებ განაცხადა: „ომის ასეთი სიტყვიერათ გამოცხადება კანონს გარეშე ვალდებულების დაუკისრებლად არ წარმოადგენს უშიშროების საკმაო გარანტიას“. სოციალისტების პოზიციის შესახებ მან სთქვა: „არა ოპოზიციაში ყოფნით, არამედ მთავრობაში მონაწილეობით და მთავრობაზე ზეგავლენით სოციალისტები შესძლებენ მოქმედებას და კომუნიზმისათვის რეფორმებისა და მშვიდობიანობის დაპირისპირებას (ადს).

„საშიში ფრაზა“

ლონდონი, 23 მაისი. ლონდონის ამერიკულ სავაჭრო პალატის მიერ მოწყობილ ბანკეტზე გამოვიდა მაკდონალდი; იგი შეეხო ინგლისის პასუხს კელლოგის ნოტაზე, რომელსაც თან ახლდა ხელშეკრულების პროექტი ომის აკრძალვის შესახებ. მაკდონალდმა, სხვათა შორის, განაცხადა:

„პასუხის ერთი ფრაზა მე მეტად საშიშრად მიმაჩნია“. ინგლისის პოლიტიკური წრეების აზრით, მაკდონალდს მხედველობაში ჰქონდა ინგლისის პასუხის შემდეგი სტრიქონები:

„მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნების კეთილდღეობასა და ხელუხლებლობას განსაკუთრებით დიდი ცხოველმყოფელი მნიშვნელობა აქვს ინგლისის მშვიდობიანობისა და უშიშროებისათვის და ვერავითარ ჩარევას ამ ქვეყნების მდგომარეობაში ინგლისი ვერ შეურიგდება. ამ ქვეყნების დაცვა თავდასხმისაგან ბრიტანეთის იმპერიისათვის თავდაცვის საქმეს წარმოადგენს. საჭიროა გარკვევით ესმოდეთ, რომ ინგლისის მთავრობა ამერიკის წინადადებას ღებულობს განსაზღვრული პირობით, რომ ეს არ ართმევს მას ამ აზრით მოქმედების თავისუფლებას“ (ადს).

მუშათა ბრძოლა

მემაღაროები ახალ კავშირს აარსებენ.

ნიუ-იორკი, 23 მაისი. ბელერში (ოგაიოს შტატი) გაიხსნა ამერიკის მემაღაროეთა კავშირის იმ ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომლებიც კავშირიდან გამორიცხა რეაქციონურმა თავმჯდომარემ ლიუისმა. კონფერენციაზე წარმოდგენილია 72.000 მეტი მემაღაროე. კონფერენციამ გადასწყვიტა მოაწყოს ახალი პროფკავშირი. ლიუისის ხელმძღვანელობით მომუშავე კავშირის თანამდებობის პირნი გადაყენებულად არიან გამოცხადებული. (ადს).

მუშების გამარჯვება ნავთის მრეწველობაში.

ნიუ-იორკი, 23 მაისი. ნავთის მრეწველობის კამპანია „სტანდარტ ოილ ნიუ-ჯერსი“-ს **2.000 მუშის გაფიცვა დამთავრდა გაფიცულთა გამარჯვებით.** ადმინისტრაცია დათანხმდა დააკმაყოფილოს გაფიცულთა მთავარი მოთხოვნილებანი. გაფიცვა 5 დღე გაგრძელდა (ადს).

მენშევიკების მანევრი

რიგა, 23 მაისი. სოციალ-დემოკრატებმა სეიმში შეიტანეს შეკითხვა მემარცხენე პროფკავშირების დევნისა და მთავრობის კეთილგანწყობილი დამოკიდებულების შესახებ ფაშიზმთან.

სოციალ-დემოკრატმა რუდევიცმა, რომელმაც დაასაბუთა შეკითხვა, განაცხადა, რომ მუშათა მოღვაწეების დაპატიმრება და მემარცხენე პროფკავშირთა ბეჭდვითი ორგანოების კონფისკაცია, რასაც ადგილი ჰქონდა რიგაში, ლიბავაში და სხვა ქალაქებში 1 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, მოწმობს, რომ მთავრობა დაადგა მუშათა კლასის დევნის პოლიტიკას. ამავე დროს მთავრობა კეთილგანწყობილებას იჩენს ფაშიზმისადმი, რაც გამოიხატა მაგალითად იმაში, რომ ლატვიელ ფაშისტების ბელადს პონეს მიეცა ლატვიაში დაბრუნების ნება.

მთავრობის პასუხს მოელიან ამ დღეებში.

პოლიტიკურ წრეებში ამ შეკითხვას აფასებენ, როგორც საარჩევნო მანევრს, რომლის მიზანია შეასუსტოს სოციალ-დემოკრატ მუშების უკმაყოფილება პარტიის პოლიტიკით. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სამზადისი მ. გორკის შეხვედრისათვის მოსკოვში

როდის ჩამოვა გორკი

მოსკოვი, 23 მაისი. უკანასკნელ ცნობის თანახმად ორშაბათს, 28 მაისს მაქსიმ გორკი უკვე მოსკოვში იქნება. ამჟამად ის რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის გამგე ამხ. ხალატოვთან ერთად იმყოფება კელნში ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო გამოფენაზე.

გამგზავრება გორკის შესახვედრათ

გზათა სახალხო კომისარიატის განკარგულებით გორკის ჩამოსვლის გამო საპატიო სტუმრისათვის იგზავნება პოლონეთის საზღვარზე ცალკე სალონ-ვაგონი. მაქსიმ გორკის შესახვედრათ საზღვარზე, სადგურ ნეგორელოეში მიემგზავრებიან მოსკოვის საბჭოს წარმომადგენლები, გორკის საიუბილეო კომისიის წევრები, მეგობრები და ნაცნობები.

დიდი ოპერის თეატრში

გორკის ჩამოსვლის გამო დიდი ოპერის თეატრში შესდგება მოსკოვის საბჭოს სპეციალური პლენუმი, სადაც გორკის ლიტერატურულ მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვა ამხ. ნ. ბუხარინი. ამავე პლენუმზე სიტყვით გამოვა თვით მაქსიმ გორკი.

საბჭოთა პავილიონი კელნის გამოფენაზე

მოსკოვი, 23 მაისი. სახელმწიფო გამომცემლობის გამგე ამხ. ხალატოვი იტყობინება კელნიდან, რომ საბჭოთა პავილიონი ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო გამოფენაზე თითქმის უკვე მზადაა. მიუხედავად იმისა, რომ პავილიონი საბოლოოდ არაა დასრულებული, ის უკვე იწვევს უდიდეს ინტერესს. ამას სხვათა შორის ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ საბჭოთა ბეჭდვითი პროდუქციის ექსპონატებს დათმობილი აქვს გამოფენის ტერიტორიის საუკეთესო ადგილი.

კონტრრევოლიუციონერების „მუშაობის“ შედეგი

მოსკოვი, 23 მაისი. როგორც ამას წინად გამოვაცხადეთ, მოსკოვის მახლობლად სერგიევის ლავრაში აღმოჩენილ იქნა კონტრ-რევოლიუციონერთა დიდი ორგანიზაცია, რომელიც შესდგებოდა სამღვდელოებისა, ყოფილ კაპიტალისტების, თავადების და მეფის წარჩინებულ მოხელეებისაგან.

აღნიშნულ ორგანიზაციას, როგორც ეს თანდათან ირკვევა გამოძიების დროს, პოლიტიკურ-ტერორისტული აქტების გარდა მიზნად ჰქონდა დასახული სერგიევის მაზრის კულტურულ დაწესებულებათა თავის გავლენის ქვეშ მოქცევა. ამ მიზანს შავრაზმელთა ორგანიზაციამ ნაწილობრივ კიდევაც მიაღწია.

გამოძიებამ ცხადჰყო, რომ სერგიევის მაზრის ყველა სკოლები იმყოფება სასულიერო შთამომავლობის პირთა ხელში. მრავალი მასწავლებლები და სკოლის თითქმის ყველა გამგეები არიან სემინარიაში ან სასულიერო აკადემიაში კურსდამთავრებულნი. სკოლის ხელმძღვანელთა ასე საგანგებოთ შერჩევამ შესაფერი ნაყოფიც გამოიღო. სერგიევის მაზრის სკოლებში ჩაკლულია მოსწავლეთა თვითმოქმედება და აშკარათ თუ ჩუმად იდევნება სკოლის კედლებიდან სწავლის ახალი მეთოდები. თავისთავად ცხადია, ასეთ პირობებში არავისათვის გასაკვირი არ უნდა იყვეს საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებისათვის გაუგონარი ფაქტი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სერგიევის მაზრის სკოლებში მოწაფეთა 75 პროცენტს სწამს ღმერთი, რომ ამ მოწაფეებიდან ბევრი სახლში გადის სკოლიდან განდევნილ „სამღვთო სჯულს“, გამოუკლებლივ დაიარება ეკლესიებში, გალობს კლიროსზე და ზოგიერთნი სასულიერო კარიერისათვისაც კი ემზადება.

ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი აქ ის არის, რომ მეცნიერების მთავარ სამმართველომ სერგიევის ლავრის შავრაზმულ ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი, გრაფი ოლსუფიევი, რომელიც აღნიშნულ ორგანიზაციის გამოაშკარავებისთანავე მოხსნილი იყო თანამდებობიდან, დანიშნა ახალ თანამდებობაზე მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში.

ამ ფაქტმა მოსკოვის გაზეთებში დიდი პროტესტები გამოიწვია. მოითხოვენ ოლსუფიევთან ერთად მისი მფარველის დასჯას.

შახტის პროცესის გარშემო

მოსკოვი, 23 მაისი. უზენაეს სასამართლოში შემოვიდა მოსკოვის ფაბრიკის „კრასნაია ზარია“-ს მუშა ქალის ფეოდოროვას განცხადება. ფეოდოროვას ქალი თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ 1917 წლამდე ის თავის ქმართან ერთად მუშაობდა გრუშევის მაღაროებში. 1917 წელს ეს მაღაროები ხელში ჩაიგდეს ჩეხო-სლოვაკელებმა. მაღაროებში დაბრუნდა შახტის კონტრრევოლიუციის გამო ამჟამად პასუხისგებაში მიცემული კოლოდუბი. მან დაატუსაღებინა ჩეხო-სლოვაკელებს ფეოდოროვის ქალის ქმარი, როგორც ბოლშევიკი და მუშების აჯანყების მეთაური და იმდენი აცემინა მათ, რომ მიღებულ ჭრილობებისაგან ფეოდოროვის ქალის ქმარი გარდაიცვალა.

უზენაეს სასამართლომ ფეოდოროვის ქალის განცხადება სხვა საბუთათ და საქმეებს დაურთო.

დე-მონზის გეგმები

სამი თვის წინედ საფრანგეთის სენატორმა დე-მონზიმ გერმანიის პრესაში გამოაქვეყნა „სრულიად ევროპის ეკონომიური ანტანტის“ შექმნის პროექტი. დე-მონზი მოითხოვდა, რომ საფრანგეთისა და გერმანიის მრეწველობის შორის დადებულიყო შეთანხმება იმ კონკურენციის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც ამ სახელმწიფოებს შორის არსებობს საბჭოთა ბაზარზე. დე-მონზი წინადადებას აძლევდა ორივე ქვეყნის ბურჟუაზიის შეემუშავებიათ მთლიანი სავაჭრო პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ.

დე-მონზის პროექტი საბჭოთა პრესაში შეფასებულ იქნა როგორც ერთ-ერთი ნაბიჯი ანტი-საბჭოთა ბლოკის შექმნისაკენ, რომელიც თავის მოქმედებას დაიწყებს მშვიდობიანი სავაჭრო ამოცანებით და ბუნებრივად გადავა წმინდა პოლიტიკური ხასიათის მტრულ მოქმედებაზე. საბჭოთა პრესის ასეთი შეფასება ძალიან მალე დადასტურდა. დე-მონზიმ არ მოუცადა „ეკონომიური ანტანტის“ საფუძვლების განხორციელებასაც კი და თვითონ განმარტა თავისი პროექტის აზრი.

„ტეგლიხე რუნდშაუ“-მ, გაზეთმა რომელიც ახლო სდგას გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრ შტრეზემანთან, დაბეჭდა დე-მონზის ახალი წერილი, რომელშიაც დაწვრილებით არის დასაბუთებული ახალი ანტანტის პროექტი, ამ შემთხვევაში „ევროპის მიერ კომუნიზმთან ბრძოლის წარმოებისათვის“. მართალია, ეს იდეა არ არის ორიგინალური. დე-მონზიზე ადრე ამ პროექტის განხორციელებას შეეცადა კლემანსო, ლოიდ-ჯორჯი, ჩერჩილი, მილიერანი, პუანკარე, ჩემბერლენი და შვეიცარიელი ვექილი ობერი, რომელმაც შექმნა „მე-3 ინტერნაციონალთან მებრძოლი ლიგა“. დე-მონზი ალბად ფიქრობს, რომ მის პროექტს „დიდი გასავალი ექნება“, ვინაიდან, მისი აზრით, სიტუაცია, რომელიც უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეიქმნა ევროპაში, ხელს უწყობს გერმანიის ბურჟუაზიის თანამშრომლობას საფრანგეთის ბურჟუაზიასთან საბჭოთა კავშირის მიერ ევროპის შინაურ საქმეებში „ჩარევის“ წინააღმდეგ ბრძოლის ნიადაგზე.

დე-მონზი დამტკიცებულად სთვლის იმას, რომ კომუნისტების გამარჯვება გერმანიის და საფრანგეთის არჩევნებში წარმოადგენს „მოსკოვის პოლიტიკის“ გამარჯვებას, რომელიც „ყოველ ქვეყანას ახვევს თავისი აგენტების ქსელში“. ამ უბადრუკი, უფრო პოლიციური, ვიდრე პოლიტიკური იდეიდან გამოჰყავთ ის დასკვნა, რომ საბჭოთა კავშირი არ ასრულებს თავის დაპირებებს ევროპის სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ. შემდგომი მსჯელობა უკვე თავის თავად ცხადია. თუ საჭიროა რუსეთთან შეთანხმება შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ, ეს უნდა განხორციელდეს „დამაჯერებელი ენით“. და თუ ეს ასეა, მაშინ უკეთესია იგი მიღწეულ იქნას მთლიანი ფრონტით.

რუსეთმა, დე-მონზის სიტყვით, ბურჟუაზიულ ევროპას უნდა მისცეს საშუალება „იმუშაოს მასთან“. ამისათვის, ალბად, საჭიროა ევროპის კომუნისტებმა შესწყვიტონ არსებობა და არ დაურღვიონ ბურჟუაზიას მოსვენება სოციალური რევოლიუციის კოშმარით. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობა „მოსკოვს“ ეკისრება. კომპარტიის მუშაობა და თვით არსებობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, შეფასებულ იქნება როგორც „საბჭოთა ჩარევა“-ო. „ჩაურევლობის“ საკითხი ასეთ პირობებში, დე-მონზის აზრით, განხილულ უნდა იქნას, როგორც საერთაშორისო პრობლემა; ამ საშუალებით შეიძლება მოწვეულ იქნას „იურიდიული ექსპერტების კონფერენცია“ ევროპის ბურჟუაზიის მთლიანი ფრონტის შესაქმნელად „საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებისათვის“.

შიშმა კომუნიზმის გამარჯვების წინაშე ევროპის ბურჟუაზიას წაართვა გონიერების უკანასკნელი ნაშთიც. ცდა იმისა, რომ ევროპის პროლეტარიატის კომუნისტური მოძრაობა ახსნან როგორც „მოსკოვის ინტრიგები“, კუნის ჩასვლა ვენაში დასახონ როგორც პროლეტარიატის აჯანყების მოახლოების ნიშანი, და საერთოდ დე-მონზის მთელი წერილის შინაარსი ნათლად ააშკარავებს ევროპის გაბატონებულ კლასების თვით „მოწინავე“ ელემენტების უდიდეს დაბნევას და გზა-კვალის არევას.

„პრავდა“ 24 მაისი.

სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის

I

სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენა უკვე დაიწყო. ჯერ შედგენილი იქნება ხუთი წლის განვითარების საკონტროლო ციფრები. ეს ციფრები მიმდინარე წლის ივლისში დამტკიცებული იქნება საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ. შემდეგ ამ საკონტროლო ციფრების მიხედვით დაიწყება მუშაობა პერსპექტიულ გეგმის შედგენისათვის. ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს ადგილებზე სექტემბრის შუა რიცხვებამდე. საკავშირო საგეგმო კომისიაში და სახალხო კომისართა საბჭოს გარჩევის შემდეგ პერსპექტიული გეგმა მომავალი წლის დასაწყისში დამტკიცდება საკავშირო მთავრობის მიერ.

პერსპექტიული გეგმის შედგენის საქმე იმდენად რთულია, რომ დასახული ვადები არ იქნება საკმარისი, თუ სამეურნეო ორგანოებმა ამ მუშაობას ენერგიულად არ მოჰკიდეს ხელი. კერძოდ საქართველოსათვის გეგმის შედგენისათვის ფრიად მოკლე დრო დარჩა. გეგმის საკონტროლო ციფრების შედგენა უნდა დამთავრდეს ივნისის პირველ რიცხვებში, სრული პერსპექტიული გეგმის შედგენა კი ორი-სამი თვის განმავლობაში (აგვისტომდე).

პერსპექტიულ გეგმის შედგენის პირველ პერიოდს—საკონტროლო ციფრების დასახვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სრული გეგმის ჩამოყალიბებისათვის. საკონტროლო ციფრებით განსაზღვრულ ფარგლებში იქნება ჩაყენებული საბოლოო გეგმის მთავარი მომენტები. მუშაობის მეორე პერიოდისათვის საჭირო იქნება მხოლოდ დამტკიცებული საკონტროლო ციფრების დეტალიზაცია. ამიტომ საკონტროლო ციფრების შედგენას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

სამწუხაროდ ყველა ორგანოებში არ არის ამ მუშაობისადმი სწორი მიდგომა. არის ფორმალური მიდგომის შემთხვევები. ზოგან უარს ამბობენ ამ ციფრების შედგენაზე შტატების უქონლობის გამო, მოითხოვენ ამ მუშაობის ჩასატარებლად განსაკუთრებულ თანხებს და სხ. ამას ადგილი აქვს, როგორც ცენტრალურ ორგანოებში, ისე მაზრებშიაც. ეს დაუშვებელია. ჩვენთვის დასახულ ვადებს არავინ გაგვიგრძელებს, რადგან ეს შეაფერხებს საერთო მუშაობას. დაგვიანება და დროზე ამ მუშაობის ყოველ მხრივად ჩაუტარებლობა, იმას ნიშნავს, რომ პერსპექტიულ გეგმაში ჩვენი სამეურნეო განვითარება არ იქნება დასახული სრულად, გეგმის გარეშე კი, შემდეგში, ცალკე ღონისძიებების გატარება უფრო ძნელი იქნება და ზოგიერთ შემთხვევებში შეუძლებელიც.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა წარმოადგენს ამიერ კავკასიის და საბჭოთა კავშირის გეგმის ნაწილს. ჩვენი განვითარების გზები დაკავშირებული არის საბჭოთა კავშირის მეურნეობის განვითარებასთან. ეს არა თუ არ აფერხებს საქართველოს მეურნეობის განვითარებას, პირიქით ქმნის ამ განვითარების ტემპის დაჩქარების საუკეთესო პირობებს. ჩვენ ხუთწლიან გეგმის შედგენის დროს უთუოდ უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმით, რომ საქართველოს მეურნეობა საკავშირო მეურნეობის ერთი ნაწილია. ამის და მიხედვით უნდა იქნეს დასახული ცალკე სამეურნეო დარგების განვითარების საკითხები. სამეურნეო გეგმის პრობლემების გადაჭრას საფუძვლად უნდა დაედოს საბჭოთა კავშირის ცალკე ნაწილების სამრეწველო სპეციალიზაცია (შრომის განაწილება). საქართველოს უნდა ჰქონდეს თავის განსაზღვრული სპეციალური ფუნქციები საბჭოთა კავშირის მეურნეობაში.

ხუთწლიანი გეგმაც წარმოადგენს გენერალური პერსპექტიული გეგმის ნაწილს. ამ მხრივ ხუთწლიანი გეგმის შედგენა ფრიად რთული საკითხია. ცალკე სამრეწველო დარგების განვითარება ხუთწლიან გეგმაში არ უნდა ისახებოდეს შემთხვევით და მხოლოდ ხუთი წლის განვითარების თვალსაზრისით. აქ საჭიროა გენერალური თვალსაზრისით მიდგომა. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ამ მხრივ არ მოგვეპოვება არც პრაქტიკა და არც საკმაო დრო გვაქვს, რომ შევისწავლოთ და ყოველ მხრივად ავწონ-დავწონოთ ყველა ის საკითხები, რომელიც საჭიროა ხუთი წლის გეგმის, როგორც გენერალური გეგმის ნაწილის, შედგენისათვის. ამიტომ დასახული გეგმის განხორციელების დროს საჭირო იქნება მასში კორექტივების შეტანა.

დასახული გეგმა არ შეიძლება განვითარების ურყევ პროგრამად ჩავთვალოთ. როგორც მე-15 პარტიულმა ყრილობამ აღნიშნა, გეგმით დასახულ განვითარების ციფრებს შედარებით ხდის მთელი რიგი პირობები, როგორც მაგალითად კაპიტალისტური გარემოცვა, მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა, მოსავლიანობის წინასწარი სწორი აღრიცხვის შეუძლებლობა, ბაზრის სტიქია, რომელიც ჯერ კიდევ შეუძლებელია გეგმიანობას მთლიანად დაუმორჩილოთ და სხვ. ხელსაყრელ პირობებში შეიძლება ხუთწლიანი გეგმაში დასახულ განვითარებას უფრო ადრე მივაღწიოთ, არა ხელსაყრელ პირობებში კი, შეიძლება ამისათვის ხუთ წელზე მეტიც დაგვჭირდეს.

გეგმაში დასახული განვითარება ისე უნდა იქნეს წლების მიხედვით გათვალისწინებული, რომ მან მოგვცეს აღმავალი ხაზი, ე. ი. თვითეული შემდეგი წელი წინასწარ შედარებით ყველა დარგებში განსაზღვრულ ზრდას უნდა იძლეოდეს. ეს ზრდა უნდა იყოს თანდათანობითი.

ხუთწლიან გეგმის შედგენაში უნდა ჩაბმული იქნეს მუშათა მასები. ამის შესახებ არსებობს პარტიული ყრილობის დირექტივა. სამეურნეო ორგანოებმა ამ დირექტივის არსებითად (და არა ფორმალურად) შესრულებისათვის უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები. ხუთწლიანი გეგმის პროექტები, სანამ ისინი წარდგენილი იქნება დასამტკიცებლად, უნდა გაირჩეს მუშების საწარმოო თათბირებზე და კონფერენციებზე. გეგმების განხილვა მუშათა მიერ ისეთ ფორმებში უნდა ჩატარდეს, რომ გასაგები იქნეს უმრავლესობისათვის და მათ შეეძლოთ იქ თავიანთი კორექტივების შეტანა. უკეთესია სულ არ იქნეს გატანილი გეგმის პროექტი მუშებში, თუ ის მუშებისათვის გასაგებ ფორმებში არ იქნება მოხსენებული. გეგმის შედგენაში უნდა იქნენ ჩაბმული აგრეთვე პროფეს. კავშირების ორგანოები.

მე-15 პარტიულმა ყრილობამ სახალხო მეურნეობის ხუთი წლის განვითარების გეგმის შედგენისათვის მოგვცა მთელი რიგი კონკრეტიული დირექტივები. ეს დირექტივები სახავენ განვითარების გეზს და მის ხასიათს. მათ საფუძველზე უნდა შედგენილი იქნეს ხუთწლიანი გეგმა. ეს საფუძვლები შემდეგია:

საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალების ზრდის ტემპი უფრო ჩქარი უნდა იყოს, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნების. უზრუნველყოფილი უნდა იქნას საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელი განვითარება და გაძლიერდეს მისი თავდაცვითი უნარიანობა.

სისტემატიურად უნდა იზრდებოდეს სოციალისტურ მეურნეობის სექტორის ხვედრითი წონა და უზრუნველყოფილი იქნას სოციალისტურ ელემენტების უფრო ჩქარი ზრდა.

მსუბუქ და მძიმე ინდუსტრიის განვითარების ისეთი შეფარდება, რომ წარმოების საშუალებათა დამზადება უფრო ჩქარა მიმდინარეობდეს. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მძიმე ინდუსტრიის და, პირველ რიგში, ისეთი სამრეწველო დარგების განვითარებას, რომელნიც ეკონომიურ სიძლიერეს ქმნიან და ხელს უწყობენ მრეწველობის საერთო განვითარებას.

ნაწარმოების თვითღირებულების სისტემატიური შემცირება, სამრეწველო საგნებზე ფასების დაკლება და მათი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასებს შორის დისპროპორციის მოსპობა.

საქონლის და ვალიუტის მარაგის დაგროვება განვითარების ჩქარი ტემპის უზრუნველსაყოფად და ყოველგვარ კონიუნქტურულ რყევისაგან თავის დასაცავად.

მუშათა და გლეხთა მასების მოხმარების გაფართოება, რეალური ხელფასის შემდეგი ზრდა, მუშათა კულტურულ და მატერიალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ხარჯების გაწევა, მუშათა საბინაო ფართო მშენებლობა და სხვ.

სოციალისტურ რაციონალიზაციის გატარება. ამასთან დაკავშირება 7 საათის სამუშაო დღის განხორციელება, მუშა-ძალის ზრდა, მუშათა მასების კულტურული დონის აწევა და ყოფა-ცხოვრების გარდაქმნა.

სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, აგრიკულტურის განვითარება და კოლექტივიზაცია. სოფლის მეურნეობის იმ დარგების განვითარება, სადაც მეტად შეიძლება ჩაებას მუშაძალა, რომ ამით უმუშევრობა შენელდეს. ისეთი დამოკიდებულება სოფლისა და ქალაქის მეურნეობაში, რომ მრეწველობის ზრდა უფრო დაჩქარებული ტემპით სწარმოებდეს.

საბაზრო სტიქიის გადალახვისათვის განსაზოგადოებულ საქონლის ბრუნვის სექტორის განვითარება და რაციონალიზაცია, ვაჭრობაში ბრუნვის დაჩქარება, სეზონურ მერყეობის შესუსტებისათვის საქონლის მარაგის დაგროვება.

ფულის ტირაჟის დარგში ჩერვონცის მყიდველობითი ძალის სისტემატიური აწევა, ქაღალდის ემისიის შემცირება და წვრილ ანაბარების შემნახველ სისტემის განვითარება.

საგარეო ვაჭრობის გეგმა უნდა შედგენილი იქნეს აქტიური ბალანსის შექმნის მიხედვით. ნაციონალურ კულტურის განვითარებისთვის ნაციონალური რესპუბლიკების და რაიონების ეკონომიკის განვითარება.

აი მოკლედ მე-15 პარტიულ ყრილობის დირექტივები მეურნეობის ხუთი წლის გეგმის შედგენისათვის. ეს დირექტივები რეალურად უნდა იქნეს გატარებული და მეურნეობის განვითარების კონკრეტიული გეგმა ამის და მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს.

ტომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ვაჭრობა

ლონდონი, 23 მაისი. კონსერვატორი დეპუტატი შეეკითხა საგარეო ვაჭრობის მთავარი სამმართველოს უფროსს ხაკინგს საბჭოთა უკანასკნელი დიდი დაკვეთის შესახებ მანქანების მოწყობილობაზე და იმ ფასების გადახდის პირობების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია ინგლისის ფირმებთან დადებულ ხელშეკრულებებში. ხაკინგმა უპასუხა, რომ მან ყურადღება მიაქცია გაზეთების ცნობას ამ შეკვეთის შესახებ, მაგრამ სხვა რამე ცნობა ამ საკითხზე მას არა აქვს (ადს).

ფორმოზელი რევოლიუციონერები

შანხაი, 23 მაისი. გაზეთი „შანხაი მერკური" იუწყება, რომ იაპონიის პოლიციამ შანხაიში მიიღო ცნობები იაპონიიდან და ფორმოზიდან, რომ შანხაიში ჩამოვიდნენ კომუნისტები, რომლებმაც შანხაიში მოაწყვეს ფორმოზელ რევოლიუციონერების შტაბი. ფორმოზას კომპარტია სცდილობს მოაწყოს საბჭოთა მთავრობა კუნძულ ფორმოზაზე. (ადს).

კომფრაქციის ინტერპელიაცია ჩეხოსლოვაკიის პარლამენტში

პრაღა, 23 მაისი. პარლამენტის კომფრაქციამ შეიტანა სასწრაფო ინტერპელიაცია, რომელშიაც მოითხოვს, რომ მთავრობამ გააუქმოს მუშათა მეორე სპარტაკიადის აკრძალვა. ინტერპელიაციაში სხვათა შორის ნათქვამია: „თუმცა პოლიციურ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში მუშათა კლასს არ შეუძლია ელოდეს სამართლიანობას, მაგრამ მაინც ვსარგებლობთ უფლებით, რომ შევუერთდეთ მუშათა მასების პროტესტს სპარტაკიადის აკრძალვის შესახებ" (ადს).

გენსაბჭოს წარმომადგენელი ამსტერდამის ინტერნაციონალში

ლონდონი, 23 მაისი. ინგლისის პროფკავშირების გენერალურმა საბჭომ თავის წარმომადგენლად ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომში აირჩია სიტრინი (გენერალური საბჭოს მდივანი) პერსელმა და ხიკსმა, რომელთა კანდიდატურაც წამოაყენეს, უარი სთქვეს არჩევაზე (ადს).

დაბრკოლებები ბირჟაზე

ვაშინგტონი, 23 მაისი. ნიუ-იორკის ბირჟაზე აქციები ეცემა. მაღალი საკრედიტო პროცენტი მოწმობს, რომ კრედიტი არ არის საკმაო (ადს).

გაფიცვა

ვაშინგტონი, 23 მაისი. მექსიკიდან მიღებულ ცნობით, ნავთსადგურ ვერა-კრუცში გაიფიცა 5.000 მუშა (ადს).

ხანძარი არსენალში

სტოკჰოლმი, 23 მაისი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „ხანძარმა გაანადგურა საზღვაო უწყების ძველი არსენალის ოთხი სახელოსნო. ზარალი რამოდენიმე მილიონ კრონს უდრის (ადს).

გადაფრენა ალიასკიდან შპიცბერგენზე

ოსლო, 23 მაისი. ამერიკის მფრინავები, რომლებიც ალიასკიდან შპიცბერგენზე (ატლანტის ოკეანეზე) გადაფრინდნენ ჩამოვიდნენ ოსლოში. ქალაქის მოსახლეობა მფრინავებს აღფრთოვანებით შეხვდა. პოლიარული ქვეყნების ცნობილმა მკვლევარმა ამუნდსენმა მფრინავებს გაუმართა ბანკეტი (ადს).

მიწის ძვრა ლენინაკანში

ლენინაკანი, 24 მაისი. 24 მაისს ლენინაკანში ღამის პირველ საათსა და 47 წუთზე ადგილი ჰქონდა მიწის ქვეშა ბიძგებს.

ავღანისტანის ფადიშაჰი

ანგორაში

ანგორა, 23 მაისი. თურქეთის პრესის ცნობით, თურქეთის პრეზიდენტთან ხანგრძლივ საუბარში ამანულახანი ეცნობოდა თურქეთში ჩატარებულ რეფორმებს. ფიქრობენ, რომ ფადიშაჰს განზრახული აქვს ზოგიერთი ამ რეფორმათაგანი განახორციელოს ავღანისტანში (ადს).

მაქსიმ გორკი კელნში

ბერლინი, 23 მაისი. კელნში ჩამოვიდა მაქსიმ გორკი და გამოფენის საბჭოთა პავილიონის კომისარი ხალატოვი. გორკიმ დიდის ინტერესით დაათვალიერა საბჭოთა პავილიონი (ადს).

„იტალია"-ს გაფრენა

ოსლო, 23 მაისი. 23 მაისს დირიჟაბლი „იტალია" გაფრინდა კინგსბეიდან. დირიჟაბლი გაფრინდება პოლიუსისაკენ. (ადს).

„იტალია"-მ მიაღწია პოლიუსს.

ოსლო. 23 მაისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ნობილეს დირიჟაბლი „იტალია" ღამის დაახლოვებით 1 საათზე დაფრინავდა ჩრდილოეთ პოლიუსზე. დირიჟაბლი დაბრუნდა შპიცბერგენზე (ადს).

გერმანია იარაღდება

კრეისერი „კელნი"

ბერლინი, 23 მაისი. ვილჰელმსჰაფენში წყალში ჩაუშვეს ახალი კრეისერი, რომელსაც უწოდებს „კელნი". (ადს).

„მხოლოდ დიპლომატიური აქტი"

პარიზი, 23 მაისი. საფრანგეთის პრესა აქვეყნებს ინტერვიუს იტალიიდან დაბრუნებულ ალბერ ტომასთან. თავის გამოსვლის, რომელშიაც მან შეაქო ფაშიზმის „პოლიტიკა მუშათა საკითხის დარგში", ტომა უწოდებს „მხოლოდ დიპლომატიურ აქტს", რამდენადაც იტალია „მან იხილა არა როგორც სოციალისტმა, არამედ როგორც დიპლომატიურმა პირმა". (ადს)

ორი აფეთქება

ნიუ-იორკი, 23 მაისი. ნიუ-იორკის გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებენ ცნობებს გაზის აფეთქების შესახებ ჰამბურგში და აღშფოთებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ გაუფრთხილებლობის წყალობით დაიღუპა 11 კაცი. გაზეთების იმავე ნომრებში, მაგრამ უკვე წვრილი შრიფტით და უკომენტაროდ მოთავსებულია ცნობა პენსილვანიის ქვანახშირის მაღაროებში მომხდარი აფეთქების შესახებ, რომლის დროს დაიღუპა 200 მემაღაროე. 1926 წლის განმავლობაში, შეერთებულ შტატების მაღაროებში უბედურ შემთხვევების გამო დაიღუპა 2.500-ზე მეტი მემაღაროე. მწარმოებლები სცდილობენ შეამცირონ ზედნადები ხარჯები და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ უშიშროების ზომებს (ადს).

მიწისძვრის შედეგები

ბულგარეთში

ვენა, 23 მაისი. ბულგარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით, უკანასკნელი მიწის ძვრის დროს სამხრეთ ბულგარეთში დაზარალდა 166 დასახლებული პუნქტი. მოკლულია—107, დაჭრილია 399 კაცი. დანგრეულია 25.000 სახლი, 18.000 სახლი გამოუსადეგარია ცხოვრებისათვის (ადს).

საბჭოთა კავშირში

სახალხო მეურნეობის ყველა სპეციალისტების აღრიცხვა

მოსკოვი, 24 მაისი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო აყვანილ იქნენ აღრიცხვაზე ყველა ინჟინრები, ტეხნიკოსები, აგრონომები და სახალხო მეურნეობის სხვა სპეციალისტები, როგორც დაქირავებით მომუშავენი, აგრეთვე ისინიც, რომლებიც თავის სპეციალობაზე მუშაობენ, მაგრამ არა დაქირავებით. ან სრულებით არ მუშაობენ თავიანთ სპეციალობაზე.

აღრიცხვის ჩატარება დავალებული აქვს საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატს (ადს).

მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 24 მაისი. შესდგა მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ახალ შემადგენლობის ცეკას (არჩეულ იქნა კავშირის მეშვიდე სრულიად საკავშირო ყრილობაზე) პლენუმი. ცეკას თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. ხენიუშკინი, მდივნათ ამხ. ალუფ (ადს).

საპროტესტო მიტინგი

მინსკი, 24 მაისი. პოლონეთის სასამართლოს მიერ ბელორუსთა მუშურ-გლეხური გრომადისათვის მკაცრი განაჩენის გამოტანამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია საბჭოთა ბელორუსიის მშრომელთა შორის. მინსკში თავისუფლების მოედანზე შესდგა საპროტესტო მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 15 ათასმა კაცმა.

მიღებულია ცნობები რომ მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგები შესდგა აგრეთვე გომელში. ბობრუისკში და ბელორუსიის სხვა ქალაქებში (ადს).

მოითხოვენ დამნაშავეთა სასტიკად დასჯას

არტემოვსკი, 14 მაისი. ინჟინრების და ტეხნიკოსთა საოლქო ყრილობამ საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს განსაკუთრებულ შემადგენლობის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნა დეპეშა, რომელშიაც 1.940 ინჟინრის და ტეხნიკოსის სახელით აღშფოთებას გამოსთქვამს ინჟინერ-ტეხნიკოსთა ჯგუფის კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობის გამო, იმ ჯგუფის, რომელმაც პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ნდობა გამოიყენა სოციალისტური მშენებლობისათვის ზიანის მისაყენებლად. ყრილობა მოითხოვს დამნაშავეთა სასტიკად დასჯას (ადს).

„წითელი აზერბეიჯანი" ნიჟნი ნოვგოროდში

ნიჟნი ნოვგოროდი, 24 მაისი. მოვიდა ბაქოდან საგიტაციოდ გამოსული ნავი „წითელი აზერბეიჯანი". გზადაგზა ნავი ინახულა 20.000-ზე მეტმა ექსკურსანტმა (ადს).

ბალტიის ფლოტი დაბრუნდა მანევრებიდან

ლენინგრადი, 24 მაისი. ბალტიის ფლოტი დაბრუნდა პირველ მანევრებიდან. გასროლილი ყუმბარა რეველამდე აღწევდა, 22 მაისს ღამით ზღვაზე გაიმართა ტაქტიკური ვარჯიშობა რამაც წითელ ფლოტელთა კარგი გაწვრთნა გამოამჟღავნა. მოახდინეს სამხედრო განგაში. მანევრებში მონაწილეობა მიიღეს ლენინგრადის სამხედრო ოლქის ნაწილების სარდალმა ამხ. ტუხაჩევსკიმ და საოლქო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. უგაროვმა.

სმოლენსკის ორგანიზაციის გაჯანსაღება

სმოლენსკი, 24 მაისი. საგუბერნიო კომიტეტის ბიურომ გამოიტანა დადგენილებანი სმოლენსკის ორგანიზაციის გასაჯანსაღებლად. გადაწყდა სრულად და საჩქაროდ იქნას განხილული მუშებისა და გლეხების ყველა საჩივარი; ამ მიზნით თვენახევრის ვადით უნდა განთავისუფლდნენ სხვა მუშაობისაგან ცენტ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრები. გარდა ამისა მუშათა კრებებზე ამორჩეულ იქნება 100 მუშა ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის დასახმარებლად. ეწყობა კომისია იმ პირთა საჩივრების განსახილველად, რომლებიც დაითხოვეს მამხილებელი მუშაობისათვის. თუ საჩივრები დადასტურდება, დათხოვნილები დაუყოვნებლივ იქნებიან აღდგენილნი. გადაწყვეტილია, რომ უახლოეს ხანაში საბჭოთა აპარატში შეიყვანონ არა ნაკლებ 100 მუშისა და გადაჭრით მოჰკიდონ ხელი გლეხთა დაწინაურებას.

სამი დღის განმავლობაში კარდიმოვსკის თემიდან (ვოლოსტი) გაძევებულ იქნებიან ყველა მემამულეები; სმოლენსკის მაზრაში ჩატარებულ იქნება საკონტროლო კომისიებისა და კოოპერაციის ორგანოების გადარჩევა. ივლისის დამლევს გაიმართება პროფკავშირების საგუბერნიო ყრილობა. გადაწყდა აგრეთვე, შესდგეს ერთი კომისია როსლავის რკინიგზის კვანძისა და როსლავის მაზრის გამოსაკვლევად და მეორე კომისია იარცევის ფაბრიკის დეფექტების აღმოსაფხვრელად (ადს).

არტემოვსკის სასამართლო-საგამომძიებლო მუშაკების საქმე

არტემოვსკი, 24 მაისი. უკრაინის უზენაეს სასამართლოს გამსვლელი სესია შეუდგა არტემოვსკის სასამართლო-საგამომძიებლო მუშაკების საქმის გარჩევას. ბრალდებულის სკამზე ზის ლევონი, ცვეტკოვი, პოლმანი და სლიუსარევი.

ლევონს ბრალი ედება იმაში, რომ ის არტემოვსკის საოლქო პროკურორის მოადგილეთ ყოფნის დროს, სარგებლობდა რა თანამდებობრივი მდგომარეობით, თავის საჭიროებებზე ამუშავებდა პატიმარ მეჩექმეებს, მკერვალებს და სხვ. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ის უხეშად ეპყრობოდა მთხოვნელებს, ცუდათ ასრულებდა თავის თანამდებობრივ მოვალეობებს. მეთვალყურეობის განხორციელების დროს და შილინის თვითმკვლელობის გამო წარმოებულ წინასწარ გამოძიების შესახებ არ აწვდიდა ცნობებს რესპუბლიკის პროკურორს, რითაც საშუალება მოუსპო მას თვალყური ედევნებია ამ საქმისათვის.

ცვეტკოვს ბრალი ედება იმაში, რომ არტემოვსკის საოლქო სასამართლოს უფროს გამომძიებლათ ყოფნის დროს, მან არ მიიღო ზომები, რომ შილინის საქმეზე დართული ყოფილიყო ნივთიერი საბუთები, აჭიანურებდა ამ საქმის გამოძიებას და გამოიყენა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა იმისთვის, რომ არტემოვსკის სისხ. სამართ. მილიციის განყოფილებიდან მიეღო კოსტიუმი, რომელიც, თითქოს, მას მოჰპარეს, და რომელიც ნამდვილათ მას არ ეკუთვნოდა.

არტემოვსკის სისხლის სამართლის მილიციის ყოფილ უფროსს პოლმანს ბრალი ედება იმაში, რომ მან ხელი შეუწყო კოსტიუმის მიცემას ცვეტკოვისათვის.

არტემოვსკის ყოფილ სახალხო გამომძიებელ სლიუსარევს ბრალი ედება თავის თანამდებობრივ მოვალეობებისადმი უყურადღებობაში და აგრეთვე იმაში, რომ მან არ მიიღო სათანადო ზომები შილინის საქმეზე ნივთიერ საბუთების დართვისათვის და შეადგინა ფიქტიური ტელეფონოგრამა მომხდარი ამბის შესახებ.

დამნაშავეთ თავი სცნო მხოლოდ ცვეტკოვმა (ადს)

დიდი ბოროტმოქმედებანი

არმავირი, 24 მაისი. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მუშებთან ერთად და სახ. პოლიტსამმართველოს დახმარებით აღმოაჩინა რამდენიმე დიდი ბოროტმოქმედება (გაფლანგვა, მექრთამეობა და სხვ.) ოლქის ბავშვთა დამხმარე კომისიაში. ბავშვთა უპატრონობასთან საბრძოლველად შეგროვილი თანხებიდან დანიშნულებისამებრ ხმარდებოდა მხოლოდ 45 პროცენტი, დანარჩენი იფლანგებოდა და კერძო ვაჭრების ჯიბეში მიდიოდა. გამოირკვა, რომ ბავშვთა დამხმარე კომისიის პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ კერძო ვაჭრებთან და მათთან ერთად ქეიფობდნენ. კერძო ვაჭრების დახმარების მიზნით ხელმძღვანელები ყიდულობდნენ დიდძალ არა საჭირო საქონელს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ სამუშაოდამ მოხსნა და პასუხისგებაში მისცა ბავშვთა დამხმარე კომისიის ხელმძღვანელები. ხელმძღვანელების გარდა პასუხისგებაში მისცეს აგრეთვე კერძო ვაჭრებიც (ადს).

შახტის კონტრ-რევოლიუც. გასამართლება

ბრალდებულ კალგანოვის დაკითხვა*)

მოსკოვი, 24 მაისი. 23 მაისი შახტის საქმის მეხუთე დღეა.

23 მაისს დილის სხდომაზე ბრალდებულ კალგანოვის დაკითხვის დროს საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა შეინმა მისცა მას შემდეგი კითხვა:

— ხომ არ გაისმოდა სწარმოო ტეხნიკურ თათბირებზე პროტესტის ხმები პატიოსან ინჟინრების მხრივ საზიანო გეგმების წინააღმდეგ?

კალგანოვი აცხადებს, რომ თვითეული პასუხისმგებელი იყო თავისი უბნისათვის და არ ჰქონდა საშუალება გაცნობოდა სამუშაოთა მთელ გეგმას. ისინი კი, ვინც გაცნობილი იყო საზიანო მუშაობის გეგმებთან „ჩუმად იყვნენ.

შეინის შემდეგი კითხვის საპასუხოდ კალგანოვი აცხადებს, ინჟინერ-ტეხნიკოსთა ადგილობრივ სექციაში შედიოდა 60 კაცი, დამაზიანებელი კი იყო არა უმეტეს 8 კაცისა.

კალგანოვის დაკითხვას იწყებენ დამცველები. დამცველი მერანვილი ეკითხება ბრალდებულს—როგორ შეხვდა ის საბჭოთა ხელისუფლების პირველი რაზმების მოსვლას. კალგანოვი ამბობს რომ თეთრგვარდიელების დროს არსებული სამეურნეო არევდარევის გამო ის კეთილგანწყობილად შეხვდა საბჭოთა ხელისუფლებას. ერთი წლის შემდეგ მას შეერყა რწმენა, რომ შესაძლებელი იყო მეურნეობის აღდგენა. მას ეჭვი შეუჩნდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ სიმტკიცეში.

— აშკარად დაიწყო ლაპარაკი,—აჩვენებს კალგანოვი,—მაღაროების კონცესიით გაცემის შესახებ. ინჟინრებს შორის ლაპარაკი იყო ძველი მეპატრონეების დაბრუნების შესაძლებლობის შესახებაც.

შემდეგ კალგანოვი აჩვენებს, რომ ასეთ თვალსაზრისს ის ადგა 1926 წლამდე. როდესაც საბჭოთა მთავრობის მიერ წარმოებულ სამეურნეო აღმშენებლობის გამო კალგანოვმა შეიცვალა შეხედულებები და დარწმუნდა სოციალისტური აღმშენებლობის შესაძლებლობაში.

მერანვილის შემდეგ კითხვაზე კალგანოვი აჩვენებს, რომ საზიანო მუშაობა მან შესწყვიტა ერთი წლით ადრე დაპატიმრებამდე.

დამცველი მალიანტოვიჩი ეკითხება—ხომ არ მიუღია კალგანოვს გორლეცკისაგან პირდაპირი დირექტივები გაეფუჭებია „ვეფრი"-ს მანქანები, რომლებიც დადგმული იყო არაშესაფერ ფენებზე. კალგანოვმა უპასუხა, რომ პირდაპირი დირექტივები მას არ მიუღია, მაგრამ გორლეცკი ამბობდა, რომ წაიღებდა მანქანებს სხვა რაიონში. მაგრამ მან ეს არ ქნა და მანქანები სწრაფად იცვითებოდა და ფუჭდებოდა.

ირკვევა, რომ მანქანები არ გადაიტანეს სხვა რაიონში მას შემდეგაც, რაც ცნობა მათი უვარგისობის შესახებ მიიღო „დონუგოლის" მექანიზაციის განყოფილებამ, რომელსაც სათავეში უდგა ბოიარშინოვი. უვარგის მანქანებით მუშაობა გრძელდებოდა ორი წლის განმავლობაში.

დამცველები სცდილობენ გამოარკვიონ კალგანოვის ურთიერთობა მთელ რიგ დანარჩენ ბრალდებულებთან. კალგანოვს რამოდენიმე კითხვას აძლევენ ბრალდებულები ჩინოკოლი, ანტონოვი, ნაშივოჩნიკოვი, რაბინოვიჩი და გორლეცკი. ეს კითხვები უმთავრესად წმინდა ტეხნიკური ხასიათისაა და მათი მიზანია გამოირკვეულ იქნას ცალკე მომენტები, რომლებიც დაკავშირებულია ბრალდებულთა მუშაობასთან ამა თუ იმ მაღაროებში.

უკანასკნელ კითხვებს კალგანოვს აძლევენ სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელნი. ამხ. კრილენკოს აინტერესებს—დარწმუნებული იყო თუ არა კალგანოვი, რომ გორლეცკი სავსებით იყო გაცნობილი დამაზიანებელი ორგანიზაციის საქმიანობასთან, და აგრეთვე შედიოდნენ თუ არა ბელენკო, ანტონოვი და ნაშივოჩნიკოვი ორგანიზაციაში, გაცნობილი იყვნენ თუ არა ისინი საზიანო საქმიანობასთან და აწარმოებდნენ თუ არა საზიანო მუშაობას. ყველა ამ კითხვებზე კალგანოვი დასტურით უპასუხებს. კალგანოვი აგრეთვე ადასტურებს, რომ ბოიარშინოვმა იცოდა ახალი მაღაროების გაყვანის საზიანო ხასიათი.

ბრალდებულ სამოილოვის დაკითხვა

თავის ჩვენებაში ბრალდებული სამოილოვი სხვათა შორის დაწვრილებით შეჩერდა იმ წრის დახასიათებაზე, რომელშიაც მას უხდებოდა მუშაობა. როდესაც მაღაროებში ძალაუფლება საბჭოების ხელში იყო, სამოილოვი ფიქრობდა, რომ თუ მან უნდა იმუშაოს როგორც ტეხნიკოსმა, მისი მუშაობა იქნება საკმაოდ რთული და დაკავშირებული სათანადო პასუხისმგებლობასთან.

სინამდვილეში კი ყველაფერი სხვანაირად აღმოჩნდა. ტეხნიკური ხელმძღვანელები, რომლებიც ცენტრიდან ჩამოდიოდნენ, ვერ ამჩნევდნენ ვერავითარ შეცდომებს. წარმოებას ისინი ზერელედ, სხვათა შორის, თითქოს გაკვრით ათვალიერებდნენ. ასეთ ტეხნიკურ ხელმძღვანელებს შორის სამოილოვი ასახელებს ბერეზოვსკის, გორლეცკის, შადლუნს, და ბოიარშინოვს.

საღამოს სხდომაზე გრძელდება სამოილოვის დაკითხვა.

სასამართლოს თავმჯდომარემ ჰკითხა მას:

— გეუბნებოდათ თუ არა თქვენ კალგანოვი, რომ გამოტება საჭირო არ არის და რომ საზიანო საქმიანობის ყველა აქტები უნდა აგეხსნათ რამე ტეხნიკური უწესრიგობით?

— ჩვენ ყოველგვარი მარცხისათვის ყოველთვის მოგვეპოვებოდა რამე ტეხნიკური ახსნა. ამ შემთხვევაში ტეხნიკოსებს და ინჟინრებს, ისე, როგორც იურისტებს, შეუძლიათ ბრალი დასდონ უდანაშაულოს და დაიცვან დამნაშავე. აგრეთვე ჩვენც ყოველგვარი პროექტი. თუნდაც არარაციონალური, შეგვეძლო დაგვესაბუთებია, როგორც რაციონალური. (ადს).

24 მაისის დილის სხდომა

მოსკოვი, 24 მაისი. 24 მაისის დილის სხდომაზე მოხდა მოწმეთა — შახტის მუშების დაკითხვა. ათისთავი კისელიოვი შეჩერდა ქვა-ნახშირის რაიონის ცხოვრების იმ პერიოდზე, როცა თეთრგვარდიელებმა გერმანიის ჯარების დახმარებით დაამარცხეს წითლები 1918 წ. გაზაფხულში. რაიონში დარჩა ამხანაგების ერთი ჯგუფი, რომლებიც მოსწყდნენ თავის რაზმებს. მათი ნაწილი არალეგალურად იმალებოდა მაღაროებში. მოწმე უამბობს სასამართლოს, რომ იმ პერიოდში, როცა იგი ჯერ კიდევ იმალებოდა, მან მიმართა თხოვნით სამოილოვს მაღაროს მმართველ ბაბენკოს, რათა მიეცა მისთვის სამუშაო. „თქვენთვის, მეამბოხეებისათვის და წითელი არამზადებისათვის,—უთხრა მას ბაბენკომ,—არ გვაქვს ადგილი: თქვენი ადგილი კარცერშია"-ო. ხოლო კარცერში კი, განმარტავს მოწმე, ჩვენს ძმას ხვრეტავდნენ. ინჟინრები და ტეხნიკოსები მაღაროებში ძალიან უხეშად ექცეოდნენ მუშებს. არა მარტო ბაბენკო, ამ მხრივ არ ჩამორჩებოდა არც სამოილოვი, არც კოლოდუბი და განსაკუთრებით ბერეზოვსკი. ბერეზოვსკისთან ლაპარაკი არ შეიძლებოდა „თქვენი კეთილშობილების" გარეშე. ბერეზოვსკი მუშებს სცემდა კიდეც. მუშები ძალიან ცუდათ უყურებდნენ მას. ჯერ კიდევ 1917 წელში უნ- მაგრამ მან არჩია დამალულიყო თვითონ და არ დოდათ ბერეზოვსკის გაგდება მაღაროებიდან, დაუცადა იმ მომენტს, როცა მუშები გააგდებდნენ. მოწმე ვოლოდინი და პახომოვი ახასიათებენ სამოილოვს და ზოგიერთ სხვა ბრალდებულებს მაღაროებში მათ მუშაობასთან დაკავშირებით. შემდეგ ჩვენებას აძლევს ხიზოვი. ხიზოვი მოუთხრობს სასამართლოს სამოქალაქო ომის ერთერთ პერიოდს, როცა პეტროვსკ-ლოვსკის მაღაროს, ეხლა „ოქტომბ. რევოლიუციის" მაღაროს თავს დაესხა ყაზახთა რაზმის უფროსი ჩერნეცოვი. ჩერნეცოვი თავისი შტაბით დაბინავდა ბერეზოვსკის სახლში, საიდანაც გამომდინარეობდა ყველა დირექტივები მუშების დასჯის შესახებ. თეთრებისათვის გადასაცემი მუშების ერთ-ერთ სიას, მოწმეს სიტყვით, სამოილოვი და ბერეზოვსკი ერთხელ სამალათო იხილავდნენ კანტორაში. მათ ლაპარაკს ყური დაუგდო მონტიორმა რუდინმა, რომელმაც გააფრთხილა ამხანაგები, და ყველანი, ვინც სიაში იყო, გაიქცნენ. შემდეგ უკვე გაიგო მოწმემ, რომ 3—4 დღის განმავლობაში დახვრიტეს 150 კაცი.

ბრალდებული ბერეზოვსკი კატეგორიულ პროტესტს აცხადებს სიზოვის იმ განცხადების წინააღმდეგ, რომ ჩერნეცოვი მის სახლში დაბინავდებოდა ხოლმე. ბერეზოვსკი ამბობს, რომ ჩერნეცოვის თავდასხმამდე დიდი ხნით ადრე იგი გადავიდა ბოგურაევსკის მაღაროში და მის ყოფილ სახლში ცხოვრობდა სხვა ინჟინერი ფანტოვიჩი. მაგრამ სიზოვი მაინც აცხადებს, რომ ჩერნეცოვის იქ ჩამოსვლის მეორე დღესვე მან დაინახა ბერეზოვსკი, რომელიც თავისი ეტლით მიდიოდა თავის სახლში.

შემდეგ სასამართლო დაჰკითხავს ბრალდებულ ბაბენკოს, რომელიც დონეც-გრუშევსკის რაიონის № 2 მაღაროს გამგე იყო. ბაბენკომ 1907 წელში დაამთავრა შტეიგერის სკოლა და შტეიგერის თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა მაღარო № 2-ში. პირველი საზიანო მუშაობა ბრალდებულის მიერ ჩადენილ იქნა 1921 წელში, როცა მან, ბერეზოვსკის განკარგულებით, წყალით ამოავსო ყოფილი ნოვოაზოვის კომპანიის მაღარო. ბაბენკოს შემდგომი საზიანო მუშაობა გამოიხატა შემდეგში: მაღარო № 2-ის აღმოსავლეთის ნაწილის მდიდარი ფენების დამალვა, ქვა-ნახშირის ამოღების შემცირება და დეზორგანიზაცია, უხეშად მოპყრობა მუშათა გამომგონებლებისადმი. საზიანო მუშაობად სთვლის ბრალდებული აგრეთვე თავის უარყოფით დამოკიდებულებას საბჭოთა ქარხნებში დამზადებული მანქანებისადმი. კრამატორის ქარხანაში დამზადებული მანქანები, რომლებიც მაღარო № 2-ში იქნა მიტანილი, ბრალდებულმა სცნო უვარგისად, თუმცა ეს არ შეეფერებოდა სინამდვილეს. მაღარო № 2-ის გამგედ ბაბენკო დანიშნულ იქნა 1923 წელში. მისი საზიანო მუშაობა გრძელდებოდა 4 წლის განმავლობაში. დირექტივებს ბრალდებული იღებდა უშუალოდ ბერეზოვსკისაგან და კალგანოვისაგან. ბერეზოვსკი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვერ შესძლებს შეინარჩუნოს ყველა მაღაროები. მაღაროების ნაწილი გადაეცა მის ყოფილ მეპატრონეებსო. მეპატრონეებს საუკეთესო მაღაროები უნდა შეუნახოთო. 1921 წელში დიდი იმედები იყო იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მალე დაემხობოდა. შემდგომ წლებში, საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცების გამო ეს იმედები ჩაიფუშა. შემდეგ წარმოიშვა იმის რწმენა, რომ ყოფილ მეპატრონეებს მოიწვევდნენ, როგორც მოიჯარადრეებს ან კონცესიონერებს. დაბოლოს, 1927 წელში წარმოიშვა იმედი, რომ საბჭოთა ხელისუფლება დასუსტდებოდა შინაპარტიული დისკუსიის გამო. „კოლოდუბი მეუბნებოდა,—აცხადებს ბაბენკო,—რომ ოპოზიცია კარგ საქმეს გააკეთებს, ვინაიდან იგი არყევს საბჭოთა ხელისუფლებას და ამზადებს მის დამხობას. ნოვოაზოვის მაღარო, რომელიც წყალით იქნა ავსებული ბერეზოვსკის დირექტივით, ერთ-ერთი საუკეთესო მაღარო იყო თავისი მოწყობილობით და წელიწადში შეეძლო 6.7 მილიონი ფუთი ნახშირის მოცემა. ამ მაღაროს მოაქცია ყურადღება აგრეთვე გორლეცკიმაც, რომელმაც სთქვა: „არ ღირს ბოლშევიკების დროს დავამუშაოთ კარგი ფენები. ეს კარგი ფენები აუცილებლად უნდა შევუნახოთ ყოფილ მეპატრონეებს"-ო. ბრალდებული აცხადებს, რომ მაღაროებში ხშირად არღვევდნენ მუშაობის და ხელფასის ნორმებს. ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშებს შორის. აღშფოთება აშკარა მღელვარების ხასიათს ღებულობდა. მავნებლები აქეზებდნენ ამ მღელვარებას და აშკარად ლაპარაკობდნენ, რომ ინტერვენცია აუცილებლად მოხდება 1928 წელში.

ამით დამთავრდა დილის სხდომა (ადს).

---

*) მოგვყავს დამატებითი ცნობები ბრალდებულ კალგანოვისა და სამოილოვის დაკითხვის შესახებ.

სამომხმარებლო კოოპერაციის საპაიო კამპანია

ამიერ-კავკ. ეკონომსაბჭოს დადგენილება

ამიერ-კავკ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ამიერ-კავკ. სამომხმარებლო კოოპერაციის საპაიო გადასახადის მინიმუმი ქალაქებში და საქარხნო-საფაბრიკო რაიონებში მომქმედ სამომხმარებლო საზოგადოებებისათვის განისაზღვროს—15 მან., ხოლო სოფლებში მომქმედ სამომხმარებლო საზოგადოებებში—10 მანეთით.

საპაიო გადასახადის მინიმუმის ნაჩვენებ რაოდენობაზე გადამეტებით დასწრება დაშვებული იქნება მხოლოდ სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის და სათანადო პროფესიონალურ ორგანიზაციათა თანხმობით.

სამომხმარებლო საზოგადოებათ წინადადება მიეცათ მცირე, ხელფასიან მუშა-მოსამსახურეთათვის, ღარიბებისათვის და მოჯამაგირეთათვის დაწესონ საპაიო გადასახადის ნაწილ-ნაწილად შეტანა და მათი კოოპერაციაში შესაკავშირებლად გამოიყენონ ღარიბი მოსახლეობის კოოპერაციაში გასაერთიანებელი ფონდი.

ეკონომსაბჭომ აღნიშნა, რომ საპაიო გადასახადის აკრეფა ამიერ-კავკ. სამომხმარებლო საზოგადოებებში სწარმოებდა არასაკმარისი ინტენსივობით და წინადადება მისცა სამომხმარებლო კოოპერაციის გააძლიეროს საპაიო კამპანია იმ ვარაუდით, რომ 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის საპაიო გადასახადი სოფლად მომქმედ სამომხმარებლო კოოპერაციაში აკრეფილი იქნეს არა ნაკლებ 6 მანეთისა, ქალაქში მომქმედ სამომხმარებლო საზოგადოებაში—არა ნაკლებ 8 მანეთისა და მსხვილ ცენტრალურ მუშათა კოოპერატივებში არა ნაკლებ 10 მანეთისა.

—:—

სამომხმარებლო კოოპერაციის საპაიო კამპანია მთელს საქართველოში წარმატებით მიმდინარეობს. კამპანიის ჩატარებაში უახლოეს მონაწილეობას იღებენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები და სოფლის აქტივი.

კამპანიის ჩასატარებლად სამაზრო პარტიულ კომიტეტებთან დაარსებულია სამაზრო ხუთეული. ასეთივე ხუთეულები მოწყობილია სათემო საბჭოებთან.

კოოპერატიულ ორგანიზაციებთან დაარსებულია სპეციალური კომისიები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ მთელ კამპანიას.

კამპანია შემდეგნაირად მიმდინარეობს:

შორაპნის მაზრაში

მაზრის მოსახლეობა მხურვალედ გამოეხმაურა საპაიო კამპანიას. მიუხედავათ იმისა, რომ მაზრის მოსახლეობის უმრავლესობა დაზარალებულია, საპაიო კამპანია მაინც დამაკმაყოფილებელ შედეგებს იძლევა. კოოპერაციაში ეწერებიან ახალი წევრებიც, რომლებიც უსახსრობის გამო, მოითხოვენ საპაიო გადასახადის (10 მ.) შეტანის ვადის გაგრძელებას. მაზრაში არსებობს 9 რაიონული კოოპერატივი. 1 მაისისათვის ყველა კოოპერატივში ირიცხებოდა 18.611 წევრი, რაც შეადგენს მოსახლეობის 47 პროცენტს. ამ დროისათვის საპაიო თანხა უდრიდა 68.409 მანეთს. 1 ივნისამდე მოსალოდნელია მოსახლეობის 61 პროცენტის გაერთიანება კოოპერატივებში, რაც საპაიო თანხას გაადიდებს 151.600 მანეთამდე.

ბორჯომის რაიონი

ბორჯომის რაიონის ყველა თემებში მოეწყო საერთო კრებები, რომლებზედაც კითხულობდა მოხსენებები კამპანიის მნიშვნელობის შესახებ. დაარსებულია კამპანიის ხელის შემწყობი კომისიები.

სართიჭალა

თემში უკვე დამთავრდა წინასწარი სააგიტაციო და საპროპაგანდო მუშაობა. კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან გამოჰყო 800 მანეთი კოოპერაციაში ღარიბების გლეხების ჩასაწერად. საშუალო საპაიო გადასახადი აყვანილია 7 მანეთამდე.

სამტრედიის რაიონი

საპაიო კამპანიის დაწყებიდან დღემდე კოოპერაციაში ჩაეწერა 2.814 ახალი წევრი, რომელთაც უკვე შეიტანეს საპაიო გადასახადი—4.000 მ. რაოდენობით. მაისის პირველ რიცხვებში შესდგა სამომხმ. კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობა, რომელმაც დაადგინა მიიღოს ენერგიული ზომები დარჩენილ საპაიო დავალიანების ასაკრეფად 1 აგვისტომდე და საპაიო გადასახადის 10 მანეთამდე გასადიდებლად.

ხეთა

ხეთის (ზუგდ. მაზ.) კოოპერატივის გამგეობამ ყველა უბნებში ჩაატარა სასოფლო კრებები, სადაც ერთხმად იღებდენ რეზოლიუციებს საპაიო კამპანიისათვის ხელის შეწყობის შესახებ.

ბალდადი

ბალდადის (ქუთ. მაზ.) კოოპერატივში წევრთა რიცხვი 2050-მდე გადიდდა, რაც გასულ წლის 1 ოქტომბერთან შედარებით 13 პროც. ზრდას იძლევა, საპაიო თანხა გადიდებულია 55-60 პროც., საშუალო საპაიო გადასახადი 4 მ. 60 კ. აღიდა, დაწყებულია წევრთა ხელახალი აღრიცხვა. კრებებზე გლეხებს გამოაქვთ რეზოლიუციები, რომ ყველანი ჩაეწერონ წევრებად კოოპერაციაში და ხელი შეუწყონ კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

ზუგდიდი

ზუგდიდის სამომხმარებლო კოოპერატივი თემებზე მიმაგრებულ მუშაკების საშუალებით ატარებს თემის აქტივის საზოგადო კრებებს. მოუსავლიანობისა და წყალდიდობისაგან დაზარალების მიუხედავათ, გლეხები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საპაიო გადასახადის გადიდებას.

კოოპერატივებში ეწერებიან ახალი წევრებიც. მარტო აპრილის განმავლობაში ჩაეწერა 130 ახალი წევრი.

პოლიტგანმანათლებელი მუშაობა ზაფხულში

ზაფხულის პერიოდში, პოლიტგანათლების მუშაობის შესახებ, ჩვენი გაზეთის თანამშრომელს პოლიტგანის მთავარი სამმართველოს გამგემ ამხ. ვ. იმედაძემ აცნობა შემდეგი:

პირველ რიგში სდგას ქოხ-სამკითხველოების მუშაკთა გადამზადების საკითხი, რადგანაც ისინი ვერ არიან აღჭურვილნი შესაფერი ცოდნით და კვალიფიკაციით.

ამ მიზნით ზაფხულის განმავლობაში სამკითხველოების გამგეთა გადასამზადებლად მოეწყობა ერთთვიანი კურსები შემდეგ ადგილებში: ქუთაისის, სიღნაღის, ზუგდიდის, ბორჩალოს და სხვ. მაზრებში.

პოლიტგანათლების სამმართველო კურსებს მიაწვდის შესაფერ ლიტერატურას, პროგრამებს და გაუგზავნის ლექტორებს. ლექციების კითხვა იწარმოებს პოლიტგანათლების ყველა საკითხებზე.

კურსების მოწყობამდე ჩატარებული იქნება სამკითხველოების გამოკვლევა, რომლის მიზანია ხსენებულ დაწესებულებათა გამგეების შემადგენლობის გადახალისება და გაჯანსაღება, ზოგიერთ მაზრებში კურსები გაიხსნება 1 ივნისიდან.

პოლიტგანათლების მთავარმმართველობას გადაწყვეტილი აქვს წელსვე გამოაცხადოს კონკურსი საუკეთესოთ მომუშავე ქოხ-სამკითხველოებზე. ზაფხულშივე იწარმოებს სამაზრო და სათემო სამკითხველოების მუშაობის შესწავლა. ეს სამკითხველოები უმწეო მდგომარეობაშია მატერიალურ ბაზის სიმცირისა და ხელმძღვანელ მუშაკთა მოუმზადებლობის გამო. სამაზრო სამკითხველოები მხოლოდ ქალაქის ფარგლებში მუშაობენ და სოფელს სრულებით უყურადღებოთ სტოვებენ. ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების გარდა,—მომავალში ხსენებულ სამკითხველოებთან დაარსდება საბიბლიოთეკო მოძრავი ფონდები თემ-სოფლების სამკითხველოებისათვის დახმარების გასაწევად. მიღებულია კონკრეტული და ენერგიული ღონისძიებები სოფლის კინოფიკაციისათვის.

მომავალ წლისათვის გადადებული იქნება შესაფერი თანხა კინო აპარატების შესაძენად, სურათების მოსამარაგებლად, მექანიკოსების და ლექტორების კადრის შესაქმნელად და სხვ. ჩვენი მიზანია მომავალ წლიდან ყველა მოზრდილ რაიონებში მოვაწყოთ მუდმივი კინოთეატრები, ხოლო დანარჩენ ადგილებისათვის—მოძრავი კინოები. პოლიტგანათლების მთავარმმართველობას გადაწყვეტილი აქვს წელსვე გახსნას სპეციალური კურსები კინო-მექანიკოსებისა და ლექტორების მოსამზადებლად. ეს საკითხი საბოლოო დასტურისათვის დასმულია განათლების სახ. კომისარიატისა და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე. ამას გარდა კავკასიის წითელდროშოვანი არმია აწყობს კინო-მუშაკთა მოსამზადებელ კურსებს, რომელზედაც პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა აგზავნის 10 კაცს.

გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რადიოს ქსელის გაფართოებას სოფლად. ამ მიზნით პოლიტგანათლების მთავარმმართველობა ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო კავშირთან ერთად აწყობს სპეციალურ კურსებს რადიო-მექანიკოსთა მოსამზადებლად. საქართველოს მაზრებში ამჟამად მოწყობილია 136 რადიო-სადგური ახლო ხანში პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა დამატებით მოაწყობს 10 მოძრავ რადიო-აპარატს მაზრებისათვის.

ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში (ახალციხეს, ახალქალაქსა და სხვ), სადაც მოსახლეობა მომთაბარეობას მისდევს, პოლიტგანათლების მუშაობა ზაფხულში იწარმოებს მთიან ადგილებში. ასეთ ადგილებში მოეწყობა რადიო, კინო, მოძრავი სამკითხველო და სხვ. ზაფხულშივე მოეწყობა მოძრავ პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა გადასამზადებელი კურსები.

ამჟამად სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების გამოკვლევა და წ. კ. უცოდინარობასთან ჩატარებულ ბრძოლის შედეგების შესწავლა, რის შემდეგ შემუშავებული იქნება ახალი გეგმა წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის გასაცხოველებლად. წელსვე განზრახულია თბილისში მოეწყოს სპეციალური სახლი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ხელოვნების საქმეებს სოფლად.

სახელმწიფო კონსერვატორიის საშუალებით, წელს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში გაიგზავნება მომღერალთა და მუსიკოსთა ჯგუფები.

საექსკურსიო სეზონისათვის უკვე დამთავრებულია წინასწარი სამზადისი მუშაობა. სეზონი გაიხსნება 15 ივნისს. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან წელს საქართველოში მოსალოდნელია 25.000 ექსკურსანტის ჩამოსვლა.

სამმართველომ საექსკურსიო ბაზები მოაწყო: საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე—ყაზბეგსა და ფასანაურში, სამხრეთ ოსეთის გზაზე—შოვსა და ონში. ქუთაისში, სვანეთში, ბორჯომში და სხვ. ამას გარდა საექსკურსიო ბაზები მოწყობილია სოხუმში, გაგრაში, ბათომში, მწვანე კონცხზე,—ქობულეთში და სხვ.

საუწყებო საგეგმო კომისიები

უწყება-დაწესებულებებში გეგმიან აღმშენებლობის საკითხების დასამუშავებლად, საქართველოს სახ. საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო დაარსებული იქნეს საუწყებო-საგეგმო კომისიები შემდეგ კომისარიატებთან და რესპუბლიკანურ მნიშვნელობის ორგანოებთან: მიწადმოქმედების, ფინანსთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის, შრომის სახ. კომისარიატებთან, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, საქ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოსთან, საქ. წყალთა-მეურნეობის სამმართველოსთან, სოფლის კავშირთან, „საქართველოს ჩაი"-სთან, ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) სამმართველოსთან და ცეკავშირთან.

ხუთწლიანი პერსპექტიულ-გენერალური გეგმები და საქართველოს სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები აღნიშნულმა კომისიებმა უნდა შეადგინონ საქართველოს სახ. საგეგმო კომისიის ხელმძღვანელობით და უკანასკნელისაგან მიღებულ დირექტივების თანახმად.

კომისიებს ევალებათ საქართველოს სახ. საგეგმო კომისიის დირექტივების საფუძველზე მთლიანი უწყების დაგეგმვის საკითხების დამუშავება; კომისიებმა უშუალოდ უნდა უხელმძღვანელონ უწყების ცალკე დარგების პერსპექტიულ და წლიური საოპერაციო გეგმათა დამუშავებას, მათ განხილვას, საერთო უწყებრივი გეგმის შედგენას და საოპერაციო გეგმათა შესრულების ანგარიშების განხილვას. კომისიებმა უნდა შეიმუშაონ და მისცენ უწყების ყველა ორგანოებს ინსტრუქციები.

ადგილობრივი საგეგმო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

დასახელებულ სახ. კომისარიატებს და ორგანოებს წინადადება მიეცათ, ამ დადგენილების თანახმად, შეიმუშაონ სპეციალური დებულებები მათი ქვემდებარე საგეგმო კომისიების შესახებ და წარუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სახ. საგეგმო კომისიას.

„სოფლის კავშირი-ს" რწმუნებულთა მეორე ყრილობა

მეშვიდე სხდომა

23 მაისს საღამოს სხდომაზე ამხ. კალატოზიშვილის მოხსენების გარშემო კამათის დამთავრების და რეზოლიუციის გამოსამუშავებლად კომისიის არჩევის შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება კოლექტიურ მეურნეობათა სექციის მუშაობის შესახებ.

კოლმეურნეობანი საქართველოში

(მომხსენებელი ამხ. ცაგარელი)

მომხსენებელი საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა მდგომარეობას მიმოიხილავს უკვეთებს იმ მასალების მიხედვით, რომელიც მიღებული იქნა უკანასკნელ—1928 წლის გამოკვლევის და შესწავლის დროს. უკანასკნელ გამოკვლევას მიზნად ჰქონდა არა მარტო კოლმეურნეობათა აღრიცხვა, არამედ მთელ რიგ ისეთ საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგება, როგორიც არის კოლმეურნეობის ჩამოყალიბება, წესდების მიღება, მათი კოლმეურნეობათა ცენტრში და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ქსელში ჩაბმა, ანგარიშ-წარმოების სწორად დაყენება, წლიური სამეურნეო გეგმის შედგენა და სხვ.

როგორია კოლმეურნეობათა მდგომარეობა უკანასკნელი გამოკვლევის მიხედვით? კოლმეურნეობათა ცენტრის დაარსებამდე კოლექტიურ მეურნეობათა აღორძინებას ჩვენში ჰქონდა სტიქიური ხასიათი. კოლმეურნეობათა მშენებლობის პროცესში ჩამოყალიბდა შემდეგი სამი ფორმა: კომუნები, სასოფლო-სამეურნეო არტელები და საზოგადო შრომით მიწის დამმუშავებელი ამხანაგობანი.

კომუნები

კომუნები კოლექტიურ მეურნეობის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს, რაც მოითხოვს ზედმიწევნით მომზადებულ ხელმძღვანელებს და მუშაობისათვის განსაკუთრებულ პირობებს. ასეთი კომუნები ჩვენში არის შვიდი, ყველა არსებობს აღმოსავლეთ საქართველოში. ამ შვიდ კომუნაში გაერთიანებულია 127 კომლი 389 სულით. 27 წელთან შედარებით კომუნების შემადგენლობა გაიზარდა 25 კომლით. სოციალურ მდგომარეობის მიხედვით: გასულ წელს ღარიბების რიცხვი შეადგენდა 84,3 პროც. საშუალო შეძლების გლეხობა—15,7 პროც. 1928 წლის 1 აპრილისათვის ღარიბები შეადგენდა 88 პრ. საშუალო შეძლების 15 პროც. კომუნების მმართველი ორგანოების სოციალური, აგრეთვე პარტიული შემადგენლობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება კომუნების სამეურნეო მდგომარეობას, ერთი წლის განმავლობაში მათ გაუდიდებიათ ტეხნიკურ კულტურების ფართობი: ბაღ-ბოსტანი 11 ნახევარ დესეტინამდე, გაუშენებიათ 14 დესეტინა ახალი ვენახი და გაუდიდებიათ სახნავი მიწების სივრცე 95 დესეტინით. ამგვარად კომუნების მეურნეობა დამდგარია ინტენსიფიკაციის გზაზე: მარტივი მეურნეობები ნაწილობრივ ადგილს უთმობენ ძვირფას კულტურებს: ყველა კომუნებს აქვთ 59 საკუთარი შენობები, როგორც საცხოვრებელი, ისე სამეურნეო-სამრეწველო და სხვა დანიშნულებისათვის,—45.919 მანეთად ღირებული. ამავე კომუნებზე 1928 წლის პირველი აპრილისათვის ხელისუფლების მიერ გადაცემული იყო 40 შენობა, რაც ღირს 121.995 მანეთი. სულ საკუთარ და გადმოცემულ შენობების ღირებულება 167.419 მანეთს უდრის. კომუნების ცოცხალი საქონლის ღირებულება უკანასკნელ გამოკვლევის დროს უდრიდა 24,459 მანეთს. სასოფლო სამეურნეო იარაღებიდან კომუნებს აქვთ 7 ტრაქტორი, 8 გუთანი, 4 ტრიერი, 3 სამკალი. 8 სალეწი, 3 სეპარატორი და სხვა წვრილმანი იარაღი, რომელთა ღირებულება 80.600 მანეთს აღემატება. ერთი წლის განმავლობაში კომუნებს თავიანთ მეურნეობაში მოუყვანიათ 44.460 მანეთის მოსავალი. კომუნების მიერ დღემდე მიღებული სესხის რაოდენობა უდრის 109.500 მანეთს.

სასოფლო-სამეურნეო არტელები

კოლექტიურ მეურნეობის მეორე ფორმა კომუნების შემდეგ არის სასოფლო-სამეურნეო არტელები სადაც განსაზოგადოებულია საწარმოო საშუალებები, მიწები და შრომა. უკანასკნელი გამოკვლევის მიხედვით მიმდინარე წლის 1 აპრილისათვის არტელები მოწყობილი იყო 9 მაზრაში. თუ გასულ წელს მათი რიცხვი 19-ს უდრიდა, ეხლა გვაქვს 75, ე. ი. ოთხჯერ მეტი. გასულ წელს არტელები აერთიანებდნენ მხოლოდ 157 კომლს, მიმდინარე წელს კი არტელებში შეკავშირებულია 1466 კომლი, სოციალური მდგომარეობის მიხედვით გასულ წელს ღარიბი გლეხობა შეადგენდა არტელებში 72 პროც., მიმდინარე წელს კი 74 პროცენტს. არტელების მმართველ ორგანოებში ღარიბები შეადგენენ 80 პროცენტს, საშუალო შეძლების 19,5 პროც., შეძლებული გლეხები 0,5 პროც. ამჟამად არტელებში განსაზოგადოებულ მეურნეობათა მიწის სივრცე უდრის 949 დესეტინას. აქედან სახნავი შეადგენს 633 დეს. ვენახები—63 დეს. ჩაის პლანტაციები—83 დეს. სათიბი 71 დეს. ბაღ-ბოსტანი—28 დეს. და სხვ. გასულ წელთან შედარებით გადიდებულია ტეხნიკურ კულტურების სივრცე. ცნობები არტელების მანქანა-იარაღების რაოდენობის შესახებ შეეხება მხოლოდ 24 არტელს, რომელთაც 1927 წელს ჰქონიათ 18,150 მანეთად ღირებული მკვდარი ინვენტარი და 11,290 მან. ღირებული ცოცხალი ინვენტარი. თითო არტელს წლის განმავლობაში შემოსვლია 4.600 მანეთი; თითო წევრზე საშუალოდ მოდის 527 მანეთი. 32 არტელს გასული წლის განმავლობაში მიუღია სესხად სულ 43.400 მანეთი. თითო არტელზე მოდის სესხი—1.360 მანეთი. სასოფლო-სამეურნეო არტელების სამეურნეო საქმიანობა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ არის მოგვარებული.

მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობები

მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობები შეადგენენ მესამე და კოლექტიურ მეურნეობების, შედარებით, მარტივ ფორმას. აქ ნაწილობრივად არის განსაზოგადოებული, როგორც მიწა, აგრეთვე საწარმოო საშუალებები. ერთი წლის განმავლობაში მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელ ამხანაგობათა რიცხვი 59-იდან გაიზრდილა 131-ამდე. წევრთა რაოდენობა კომლობრივ 1195-დან—1944-ამდე. სოციალური შემადგენლობის მიხედვით, თუ გასულ წელს ღარიბები შეადგენდნენ 72 პროცენტს, წელს მათი რიცხვი 79,4 პროც. უდრის. სათანადოდ გაიზარდა პარტიის და კომკავშირის კადრიც. მმართველ ორგანოების სოციალური შემადგენლობის მიხედვით ღარიბი გლეხი შეადგენს 78,1 პროცენტს, და საშუალო შეძლების 21,9 პროც. შეძლებული გლეხი გამგეობაში არ შედის. როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, უკანასკნელი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ამხანაგობათა ტეხნიკური კულტურის ფართობი. მაგალითად, თუ გასულ წელს ჩაი დათესილი იყო 19 დესეტინა, წელს დათესილია 198; საერთოდ მიწების არე ერთი წლის განმავლობაში გაორკეცებულია. ვინაიდან ანგარიშ-წარმოება ამხანაგობებში თითქმის სულ არ იყო და შემოსავლიანობის აღრიცხვა შეუძლებელი შეიქნა, შესწავლილია მხოლოდ 14 ამხანაგობის წლიური შემოსავალი, საიდანაც ირკვევა, რომ თვითეულ ამხანაგობაზე წლიური შემოსავალი უდრის 1530 მანეთს.

27 ამხანაგობას ერთი წლის განმავლობაში მიუღია 27.450 მანეთი. მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობები ყველა სხვა ფორმებზე მეტად არის გავრცელებული, და წარმოადგენს საფეხურს რთულ კოლმეურნეობათა ფორმებზე გადასასვლელად. ამის გამო, მისი მუშაობა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი და შეგუებული ჩვენს პირობებთან, რომ მათ ადვილად შესძლონ მეურნეობის მარტივ ფორმიდან უფრო რთულ ფორმაზე გადასვლა.

სამანქანო ამხანაგობები

სამანქანო ამხანაგობები არის მარტივი ხასიათის შენაერთები, სადაც შეკავშირებულია გლეხობა მანქანა-იარაღების საერთო საშუალებებით შესაძენად და მათ მოსახმარად კერძო მეურნეობაში. უკანასკნელი გამოკვლევის მასალები გვიჩვენებს, რომ საქართველოში არსებულ 90 სამანქანო ამხანაგობაში გაერთიანებულია 2.625 კომლი გლეხი. ღარიბთა რიცხვი უდრის 1427-ს (54,6 პროც.), საშუალო შეძლების გლეხები—1.088 (41,2 პრ.) და შეძლებულები—110 (4,2 პროც.).

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს 4,2 პროცენტს შეადგენს შეძლებული გლეხობა. ამ გარემოებას კოლმეურნეობათა ცენტრმა ყურადღება მიაქცია და მიიღო სათანადო ზომები. ამჟამად ყველა სამანქანო ამხანაგობებს აქვს 85 ტრაქტორი, რომელიც წელს დაუხნავს 4.750 დესეტინა მიწა, ანუ თითო ტრაქტორს საშუალოდ 56 დესეტინა. ტრაქტორის მიერ ერთი დესეტინის მოხვნა არ უნდა დაჯდეს 5—7 მანეთზე მეტი. ნამდვილად კი ტრაქტორის მესაკუთრენი გლეხობას ახდევინებენ 14 მანეთიდან 20 მანეთამდე. ეს გარემოება ახსნება იმით, რომ ტრაქტორები არ— [illegible] წლის განმავლობაში სათანადოდ დატვირთული. რაც შეეხება სამანქანო ამხანაგობათა ფინანსიურ მდგომარეობას, თითო ამხანაგობაზე მოდის საშუალოდ 142 მან. საკუთარი თანხა.

კოლმეურნეობაში შეკავშირებული მოსახლეობა

თუ ავიღებთ ყველა სახის კოლმეურნეობას და მათში შეკავშირებულ მოსახლეობის რიცხვს საქართვ. სოფ. მოსახლეობას შეუფარდებთ, მივიღებთ შემდეგს: 1928 წლის პირველი აპრილისათვის საქართველოს 302 კოლმეურნეობაში, როგორიცაა კომუნები, არტელები, მიწის საზოგადო შრომით დამამუშავებელი ამხანაგობები, გაერთიანებულია სულ 6.162 კომლი, ანუ 30.802 სული. საქართველოს კოლმეურნეობაში კომლობრივ გაერთიანებული მოსახლეობა პროცენტების მიხედვით უდრის 1,7 პროც. თუ ამას დაუმატებთ 23 მელიორატიულ ამხანაგობაში გაერთიანებულ 17,667 მეურნეს, მივიღებთ რომ საქართველოს ყველა სახის კოლმეურნეობებში გაერთიანებულია მთელი მოსახლეობის 5,7 პროცენტი.

რა აფერხებს კოლმეურნეობათა მშენებლობას?

კოლექტიური მეურნეობები არის ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორი. მიუხედავად მათი ასეთი მნიშვნელობისა, კოლმეურნეობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები დღემდე გადაუჭრელია, რაც ხელს უშლის კოლმეურნეობის შემდგომ განვითარებას. მიწადმოწყობის საკითხი კოლექტივებში დღემდე მოუწესრიგებელია; თუ მიწის ნაკვეთები არ გაერთიანდა შეუძლებელი გახდება ინტენსიური მეურნეობის შემოღება და მექანიზაცია—ინდუსტრიალიზაციის გატარება. ამ მხრივ ჯერ არაფერი გაკეთებულა. საჭიროა საკითხი უახლოეს დროში მოგვარდეს, რათა საფუძველი ჩაეყაროს სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებას. მოისუსტებს აგრეთვე აგროპერსონალის ხელმძღვანელობა სამეურნეო საქმიანობაში. აუცილებელია მაზრის და რაიონის აგროპერსონალი მჭიდროდ დაუკავშირდეს კოლმეურნეობებს. დღემდე კოლექტივებში ამა თუ იმ სახის მეურნეობის შემოღება-განვითარებას აქვს ქაოტიური ხასიათი, ე. ი. არ არის შერჩეული რენტაბელური მეურნეობები რაიონებსა, ნიადაგსა და ჰავასთან შეფარდებით. ეს საკითხი მოითხოვს დაუყოვნებლივ შესწავლას. კოლმეურ. უნდა განავითარონ ინტენსიური და სასარგებლო მეურნეობანი, რომ მისაბაძი გახდენ მახლობელ სოფლების გლეხობისათვის.

დღემდე არ არის შესწავლილი რაიონები მანქანა-იარაღების გამოყენების თვალსაზრისით. ხშირია შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ მარკის ტრაქტორი ან გუთანი არ უდგება ნიადაგს, და იმსხვრევა. ეს საკითხიც მოითხოვს დაუყოვნებლივ შესწავლას, იმ მიზნით, რომ არ დაბრკოლდეს ჩვენი სოფლის მანქანიზაცია. აი ის გადაუდებელი საკითხები, რომელიც უნდა დაუყოვნებლივ მოაგვაროს საქ. კოლმეურნეობათა ცენტრმა.

უკანასკნელი სხდომა

გუშინ საღამოს შესდგა ყრილობის უკანასკნელი სხდომა.

კოლმეურნეობათა მდგომარეობის შესახებ კამათი არ გამართულა. კოლმეურნეობათა სექციის მუშაობა ყრილობამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

რეზოლიუციების მიღება

შემდეგ ყრილობამ ერთხმად და უცვლელად მიიღო კომისიების მიერ დამუშავებული რეზოლიუციები—სოფლის კავშირის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის და კოოპერატიული ბანკის საქართველოს განყოფილების მომავალი მუშაობის შესახებ. რეზოლიუციები ითვალისწინებს ყრილობის მიერ გამომუშავებულ ყველა პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და საკრედიტო ქსელის განსავითარებლად.

სოფლის კავშირის ახალი წესდების განხილვა და დამტკიცება მისი სათანადოთ დაუმუშავებლობის გამო ყრილობამ მოხსნა დღის წესრიგიდან. მისი მიღება და დამტკიცება ყრილობამ მიანდო სოფლის კავშირის საბჭოს მორიგ სესიას.

2.000 მანეთი ქუთაისის სასარგებლოდ

ამხ. ნაფეტვარიძის წინადადებით ყრილობამ ერთხმად დაადგინა ქუთაისის დაზარალებულ მოსახლეობის სასარგებლოდ გასული წლის მოგებიდან გადასხდოს ორი ათასი მანეთი.

საქართველოს მებამბეობის კომიტეტის წინადადება

მიმდინარე საკითხის განხილვის წესით სიტყვა წინადადებისათვის ეძლევა საქართველოს მებამბეობის კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. გიგინეიშვილს, რომელიც აცხადებს შემდეგს: საქართველოს საკრედიტო ამხანაგობათა ძირითადი ქსელი ყოველ წლიურად აწარმოებს ბამბის დამზადებას, რისთვისაც საქართველოს მებამბეობის კომიტეტიდან მას ეძლევა კრედიტები გლეხებს შორის. ავანსად დასარიგებლად. ამხანაგობები მებამბე გლეხებს ავანსად ურიგებენ თანხებს, მაგრამ გლეხები თავიანთ ნაწარმოებს,—ბამბას ამხანაგობებს არ აბარებენ და ამჯობინებენ ბამბის მოსავლის კერძო პირებზე გაყიდვას. ამის გამო დავალიანება მებამბე გლეხებისა საკრედიტო ამხანაგობების მიმართ და ამ უკანასკნელთა მებამბეობის კომიტეტის მიმართ წლიდან-წლამდე იზრდება. გარდა ამისა, შეუძლებელი ხდება ბამბის დამზადების გეგმის შესრულება. ამ გარემოების მიზეზი არიან კერძო პირები, რომელთაც სხვადასხვა რაიონებში აქვთ პატარა ბამბის საპენტი ქარხნები და რომელნიც არავითარ ღონეს არ ზოგავენ, რომ გლეხების მოტყუებით ხელი შეუშალონ ბამბის დამზადების კამპანიას. ამხ. გიგინეიშვილს წინადადება შემოაქვს, რომ ყრილობამ შუამდგომლობა აღძრას სათანადო ორგანოების წინაშე, რათა მიღებული იქნას სასტიკი ზომები ბამბის დამზადების კამპანიის შემაფერხებელ სპეკულიანტ-მექარხნეების წინააღმდეგ.

ყრილობამ დაადგინა ეს საკითხი განსახილველად და სათანადო დასკვნის გამოსატანად გადაეცეს სოფლის კავშირის საბჭოს მორიგ სესიას.

ყრილობის მისალმებები

შემდეგ ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს აფხაზეთის ამჟამად მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობას და მომავალ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პირველ ყრილობას.

„სოფლის კავშირი"-ს მმართველ ორგანოების არჩევა

დასასრულ, ყრილობა ირჩევს სოფლის კავშირის მმართველ და ხელმძღვანელ ორგანოებს.

სოფლის კავშირის გამგეობაში ერთხმად არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები: გ. ნაფეტვარიძე (თავმჯდომარე), ის. ჟვანია. კალატოზიშვილი, ბესელიძე, დუგლაძე, შიშნიაშვილი. ქურციკაშვილი (ამხ. „მწყემსი"-დან), ს. კუხალეიშვილი, („საქართველოს ღვინო"-დან), ბაგრატუნი და ცაგარელი.

სარევიზიო კომისიაში შედიან შემდეგი ამხანაგები: ნასიძე, ხუციშვილი, და თავდიშვილი; კანდიდატებად: ჭანიშვილი და მჭედლიშვილი.

სოფლის კავშირის საბჭოში არჩეული არიან: ქ. კაკაბაძე, (თავმჯდომარედ), მ. ძამანაშვილი, გ. მგალობლიშვილი. მ. ტოროშელიძე, ქ. ჩხენკელი, ათაბეგოვი, ალიევი, („ბირლიკ"-იდან), ნადარეიშვილი (მეჯოგე), დევდარიანი (თერგის ხევიდან, მეჯოგე), კაპცოვი (ახალქალაქიდან), ლუკიანოვი (ბაშკიჩეთიდან), თუთბერიძე (მევენეთა კავშირიდან), ბრეგვაძე (შორაპნის მაზრიდან), გვარამაშვილი (სიღნაღის მაზრიდან), ჩეკურიშვილი (სიღნაღის მაზრა), ბაქრაძე (ქუთაისის მაზრიდან), ქუთათელაძე (ქუთაისის მაზრიდან), ნაჭყებია (სენაკის მაზრიდან), ციმინტია (ზუგდიდის მაზრიდან), ჭიკაშუა (ზუგდიდის მაზრიდან), ჩიგოგიძე (ოზურგეთის მაზრიდან), სტეფანოვი (გორის მაზრიდან), ზალდასტანიშვილი, ნატროშვილი (თელავის მაზრიდან), ლეინიაშვილი, გურგენიძე (რაჭის მაზრიდან), გურჯიანი (ლეჩხუმის მაზრიდან), ეფენდიევი, (ბორჩალოს მაზრიდან), ბალდასაროვი (ახალქალაქის მაზრიდან), ოსიპოვი (დუშეთის მაზრიდან), ადიკაშვილი (თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებიდან), ჩოლოყაშვილი (თბილისის მაზრიდან), ზერაძე (ახალსენაკის მაზრიდან), აბაევი (სამხრეთ-ოსეთიდან), ჯაში და ბეჟანიძე (აჭარისტანიდან). ძიძოევი (სამხრეთ ოსეთიდან), და გიგინეიშვილი (საქ. მებამბეობის კომიტეტიდან).

—:—

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სრულიად საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ქ. კაკაბაძე, ვლ. ცაგარელი, ისააკ ჟვანია, შ. დუგლაძე, ჩეკურიშვილი და კალატოზიშვილი.

არჩევნების შემდეგ ყრილობა დაიხურა.

სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე ორგანიზაციების გამოკვლევა

როგორც უკვე ცნობა იყო, აღმოსავლეთ საქართველოში მოგზაურობიდან დაბრუნდა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის კომისია, რომელიც იკვლევდა სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე ორგანიზაციებს. კომისიის მიერ აღნიშნულ უარყოფითი მომენტების შესახებ ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს გადასცეს შემდეგი ცნობები:

თესვის კამპანიის საგეგმაციო მხარე ყველა მაზრებში დამაკმაყოფილებლად ჩატარდა, სათესლე მასალით დახმარება კი საკმაო არ იყო და თავის დროზე არ გაცემულა. სათესლე მარცვლის გადაცემა სოფლებში ძლიერ გვიანდებოდა, მაგალითად სოფ. შილდაში სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას 5 მაისს კიდევ ჰქონდა დაურიგებელი 500 ფუთი ქერი იმის გამო, რომ ამხანაგობამ არ იცოდა, თუ რა მიზნისათვის და რა პირობებში ჰქონდა მას მიღებული ეს ქერი. თონჯის თესლი, რომელიც თბილისიდან გორში 26 აპრილს გაიგზავნა, ადგილზე მიიღეს მხოლოდ 11 მაისს.

ტრაქტორების მუშაობა დამაკმაყოფილებელი არ არის იმის გამო, რომ ადგილებზე არ არის სარემონტო სახელოსნოები და სათბობი მასალა. სათბობის უქონლობის გამო თელავის მაზრაში გაჩაღებულ თესვის კამპანიის დროს დაიკარგა 80-მდე ტრაქტორ-დღე. ასეთსავე მოვლენებს ჰქონდა ადგილი ხაშურის და სხვა რაიონებში.

აგრონომიული ორგანიზაციები იზრდება, აგროდახმარება ფართოვდება, მაგრამ, თელავის მაზრის გარდა, ყველგან ცუდად არის დაყენებული საჩვენებელი ღონისძიებათა საქმე, აგრონომიულ პუნქტების მოწყობა და სხვ. აგრონომები დატვირთული არიან საბჭოთა მეურნეობების საქმეებით და საკანცელარიო მუშაობით.

ცუდად არის დაყენებული სავეტერინარო დახმარება: ამბულატორიები მოუწყობელია, მათ არ აქვს აუცილებლად საჭირო პრიმიტიული იარაღები და ხელსაწყოები. სავეტერინარო პერსონალი არ აწარმოებს აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მუშაობას, რის გამოც გლეხები მიმართავენ შინაურ ბეითლებს.

ცუდად არის დაყენებული საქმე ტყეების სატყეოებში: ტყეები საკმაოდ არ არის დაცული, ზოგიერთ ადგილებში სწარმოებს ისეთი ტყეების ექსპლოატაცია, რომელთა გაჩეხა დაუშვებელია, ტყის სამაზრო ინსტრუქტორები მეტად სუსტ კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევენ ტყის მცველებს და რაიონის ხელმძღვანელებს. კოლმეურნეობათა და კომუნების მუშაობა სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას: მათ არა აქვთ საოპერაციო გეგმები, სუსტია შრომის ორგანიზაცია, დამთავრებული არ არის მიწადმოწყობა, ადგილი არა აქვს რეგულიარულ ხელმძღვანელობას და აგრო-დახმარებას მაღლა მდგომ ორგანოების მხრივ, გვიანდება კრედიტების გაცემა და სხ. (მერძევეთა არტელები ბორჩალოს მაზრაში, კომუნები გორის მაზრაში).

სასოფლო-სამეურნეო სკოლები და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები დაყენებულია დამაკმაყოფილებლად, მაგრამ საგრძნობია თანხების ნაკლებობა.

სავსებით დამაკმაყოფილებლად ვერ არის დაყენებული მევენახეობის რაიონებისათვის საწამლო მასალების მიწოდება. უმთავრესად საგრძნობია შაბიამანის ნაკლებობა. შაბიამანი იყიდება სხვადასხვა ფასებში: ტყვიავის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხ-ბა ყუთ შაბიამანს ყიდის 9 მან. 76 კაპ., გორის—11 მან. და 36 კაპ., ხოლო არაწევრებზე 11 მან. 74 კაპეიკად (ადს).

საამშენებლო სეზონი

მიმდინარე წლის საამშენებლო სეზონი სამუშაოების სიდიდით და საამშენებლო საჭიროებისათვის გადადებული თანხების რაოდენობით განირჩევა წინა წლების საამშენებლო სეზონებისაგან. წელს, ყველა ორგანიზაციების მიერ მშენებლობისათვის გადადებულია 36 მილიონი მანეთი. (ამ ჯამში არ შედის კერძო პირთა და გზათა მიმოსვლის სახკომის ხაზით წარმოებული მშენებლობა). გასულ წელს მშენებლობაზე დაიხარჯა 25 მილიონი მანეთი.

მშენებლობის ფართო მაშტაბი მოითხოვს დიდძალ მუშა-ხელს, რამოდენიმე ათასით მეტს, ვიდრე გასულ წელს. მშენებელთა კავშირის ცნობით, მიმდინარე წელს საჭიროა სულ 20 ათასი მშენებელი მუშა. 16 ათასი კაციდან, რომელთაც კავშირი აერთიანებს, ამჟამად სამუშაოებზე გაგზავნილია 12 ათასამდე. საქმეზე გაუგზავნელ,—უმუშევარ მშენებელთა რიცხვი აღწევს ოთხ ათასს. ესენი არიან უმთავრესად არა კვალიფიციური მუშები, რომელნიც მშენებლობაში დამხმარე მუშ-ხელის როლს ასრულებენ. მშენებელ მუშათა რიცხვი არ ამოიწურება პროფ. კავშირში გაერთიანებულ მუშათა რაოდენობით. კავშირის გარეთ არიან მრავალი კვალიფიციური მუშა-მშენებლები, შინა-მრეწველი—ერთეულები, საამშენებლო არტელების წევრები. ამჟამად მშენებელთა კავშირი აწარმოებს მუშაობას არსებულ არტელების („მარიდი", „შენება", „ბლოკი"), სალიკვიდაციოთ. ამ არტელების გაუქმების შემდეგ კავშირს მოემატება 3.000-მდე კვალიფიციური მუშა-ხელი. გარდა ამისა, კვალიფიციური მუშა-ხელის კრიზისის თავიდან ასაცილებლად კავშირი მიმართავს სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშა-ხელის გაცვლა-გამოცვლას. მაგალითად, სომხეთში ამჟამად მუშა კალატოზების რიცხვი საჭიროებაზე მეტია, ხუროები კი საჭიროებაზე ნაკლებია. საქართველოში პირიქით: ცოტაა კალატოზები და ბევრია ხუროები. საჭიროებისამებრ იწარმოებს ამ კვალიფიკაციის მუშების გაცვლა-გამოცვლა.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ წელს საამშენებლო მუშაობის დაწყების წინ ადგილი არ ჰქონია სოფლიდან გლეხობის მოზღვავებას ქალაქებში. ეს აიხსნება იმით, რომ გაზაფხულის დაგვიანების გამო, სას.-სამეურნეო მუშაობა წელს გვიან დაიწყო და გლეხობა ჯერ-ჯერობით თავის მეურნეობაში ჩაბმულია.

პარტიული ცხოვრება

თათბირი მასიური მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 24 მაისი. 22 მაისს სრულიად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტ—საპროპ. განყოფილებასთან შესდგა თათბირი მასიური მუშაობის საკითხებზე.

დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა წარმოებებში აგიტატორების და მათი ორგანიზაციების მომზადების შესახებ. საჭიროდ იქნა ცნობილი მასიური მუშაობის ხელმძღვანელობის გადატანა საამქროში. მასიური მუშაობის მთავარ გამტარებლად საამქროში უნდა იქნეს ჯგუფური აგიტატორი. მასიური მუშაობის გასაცოცხლებლად საჭიროა მოხსენებების ნაცვლად შემოღებულ იქნას კითხვა-პასუხების საღამოები.

დასასრულ შემოტანილ იქნა წინადადება კრებების წესრიგის შეცვლის შესახებ: მომხსენებელს უნდა მიეცეს ნაკლები დრო, მეტი დრო უნდა დაეთმოს კამათს და საბოლოო სიტყვას.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ თათბირმა საჭიროდ სცნო კამათის და შემოსულ წინადადებების აღრიცხვა, აგრეთვე მასიური მუშაობის თეზისების სათანადოთ დამუშავება აგიტპროპთა მომავალ სრულიად საკავშირო თათბირისათვის (ტას).

პარტიის უღირსი წევრები

(საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის მასალებიდან)

იმ დროს, როდესაც ჩვენი პარტია სასტიკ ბრძოლას აწარმოებს ყოველივე მახინჯ მოვლენების წინააღმდეგ ჩვენს სახელმწიფო აპარატში, მოუთითებს ყველა საბჭოთა აპარატში მომუშავეთ, განსაკუთრებით პარტიის წევრებს, რათა მეტის სიფრთხილით მოეპყრონ სახელმწიფო ქონებას, იღებს სასტიკ დამსჯელ ზომებს ყოველივე თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ, ზოგიერთი პირები ბოროტად იყენებენ თავიანთ თანამდებობრივ მდგომარეობას. აღმოჩნდნენ პარტიის ისეთი წევრებიც, რომლებმაც სახელმწიფო ქონების დაცვაში და მომჭირნეობაში მაგალითის ჩვენების მაგივრად, გადალახეს ყოველივე საზღვრები.

ასეთი პირებია:

1) ევგენი არჩვაძე, რომელიც უკანასკნელ დროს მსახურობდა შრომის სახალხო კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილების გამგედ. არჩვაძე პარტიის წევრია 1905 წლიდან, სოციალური მდგომარეობით მუშა. გვეგონა ის მტკიცედ დაიცავდა საბჭოთა ხელისუფლების კანონებს და მით უმეტეს არ დაუშვებდა სახელმწიფო ქონების ფლანგვას. მაგრამ, როგორც ეტყობა, მას მუშური ალღო სრულიად დაუკარგავს და თავის პირადი ინტერესები პირველ რიგში დაუყენებია. მას ვერ შეუთვისებია ჩვენი პარტიის და ხელისუფლების ბუნება.

მსახურობდა რა ს. მ. უ. ს. ტყავტრესტის დირექტორად, ამ თანამდებობაზე გამოიჩინა მან დაუშვებელი საქციელი. ტყავტრესტი განიცდიდა ფინანსიურ კრიზისს. საჭირო იყო მტკიცე ზომების მიღება მისი პროდუქციის გაუმჯობესების და გასაღების საქმეში და სწორედ ამ დროს ჩვენ ვხედავთ, რომ არჩვაძეს გამოაქვს თავის სახელზე ტყავტრესტის სალაროდან 8.200 მანეთი, თითქოს სოცდაზღვევის ანარიცხების ვალი, არამედ ნაწილით დაფარა თავის საკუთარი და მისი მეგობრის სტეფანე ავატკოვის ვალი 1230 მან. დანარჩენი 900 მ. ნაღდი ფული კი მიითვისა. ეს ვალები თურმე მიუღიათ ტყავტრესტში სხვადასხვა დროს ავანსად გამოტანილ თანხებიდან. საქართველოს კომუნისტურ პარტიის საკონტროლო კომისია, რომელმაც ეს საქმე გამოიძია, დაინტერესდა ევგენი არჩვაძის წარსულითაც და გამოირკვა, რომ წარსულშიც უხმარია მას ასეთი ხერხები. 1925 წელს, როდესაც იგი თბილისის დამზღვევ სალაროს გამგეთ მსახურობდა, ისარგებლა თავის თანამდებობრივი მდგომარეობით და სხვადასხვა დროს გამოიტანა სალაროდან თავის სასარგებლოდ 1.012 მანეთი. ეს ფაქტი უკანასკნელ დროს გამომჟღავნდა და ამის გამო შრომის სახალხო კომისარიატის კომუჯრედმა დადგენილებაც კი გამოიტანა რომ არჩვაძე მომავალში დაშვებული არ იქნეს სამუშაოდ სოცდაზღვევის დარგში.

2) სტეფანე ავატკოვი, რომელსაც ხელი გაუმართა არჩვაძემ. პარტიის წევრია 1921 წლიდან, ყოფილი მუშა და ყოფილი მენშევიკი, თავი დავანებოთ იმ ფაქტს, რომ მან არჩვაძესთან ერთად მიიღო მონაწილეობა სახელმწიფო ქონების მითვისებაში. წარსულშიც ქონია მას საკმაო ცოდვები. მსახურობდა რა ს. მ. უ. ს. ლითონტრესტის დირექტორად, მის მაგივრად რომ ეზრუნა ამ სამეურნეო ორგანიზაციის გაუმჯობესებაზე, ლოთობაში ატარებდა დროს და მხოლოდ თავის პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავდა. ასეთი არაკომუნისტური საქციელის გამო იგი მოხსნილი იქნა თანამდებობიდან და საკონტროლო კომისიამ გამოუცხადა მას სასტიკი საყვედური.

ცხადია, ასეთი „კომუნისტები“ მეურნეობის „მუშაკნი“ ვეღარ დარჩებიან პარტიის რიგებში.

საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიამ არჩვაძე და ავატკოვი გამორიცხა პარტიის რიგებიდან, როგორც სახელმწიფო ქონების მითვისებელნი.

მესამე პირი, რომელმაც არა ნაკლებ გამოიყენა თავის თანამდებობრივი მდგომარეობა გახლავთ ალექსანდრე ბარხუდაროვი, „ზაკავტოპრომტორგ“-ის თბილისის კანტორის გამგე, პარტიის წევრი 1921 წლიდან, რომელსაც საკონტროლო კომისიის მიერ გამოცხადებული ჰქონდა საყვედური დაუდევრობისათვის. რევიზიის დროს მას აღმოაჩნდა სალაროს დანაკლისი 1.525 მანეთი. თავის გასამართლებლად საკონტროლო კომისიაში საქმის გარჩევის დროს მან ბევრი მიზეზი მოიყვანა, მაგრამ მითვისების ფაქტი ფაქტად დარჩა და მისი გასამართლებელი მიზეზები სრულიად უნიადაგო გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ მან ეს თანხა დაფარა, პარტკოლეგიამ შეუწყნარებელ დანაშაულად ჩასთვალა მისი საქციელი და ბარხუდაროვი გამორიცხა პარტიიდან, როგორც გამფლანგველი, მით უმეტეს მხედველობაში ის მდგომარეობაც, რომ კომუნისტის მიერ პირადი სახსრებიდან ძნელია ასეთი დანაკლისის დაფარვა თუ საეჭვო წყაროებიდან არ არის მიღებული ფული.

ასეთია აღნიშნული პირების „ნაყოფიერი მოღვაწეობა“. პარტია ვერ მოითმენს, რომ მის რიგებში იყოს ასეთი უღირსი წევრები და სრულიად სწორია პარტკოლეგიის დადგენილება მათი პარტიიდან გამორიცხვის შესახებ.

პარტიის ყველა წევრს უნდა ახსოვდეს, რომ პარტია სასტიკად სდევნის ყველა გახრწნილ ელემენტებს, არ იქნება მიღებული მხედველობაში არც რევოლუციონური წარსული, არც სოციალური მდგომარეობა და სამუდამოდ გამოეკეტება პარტიის კარები ყველას, ვინც მიყვება არჩვაძე-ავატკოვების გზას.

ვ. სტურუა.

ლენრაიკომის ანგარიში

გუშინ პლეხანოვის კლუბში მოწვეული იყო რკინის გზის მთავარ სახელოსნოთა და საწყობის უჯრედების გაერთიანებული კრება, რომელზედაც ამხ. ფანცულაიამ გააკეთა მოხსენება ლენრაიკომის მუშაობის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ბევრ დაწესებულებაში სუსტია ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება მხოლოდ ფორმალურად ჩატარდა, ნაკლები ყურადღება ექცევა მუშების დაწინაურებას, წარმოებებში ხშირად იძენენ ისეთ დაზგებს, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში გამოუყენებელი რჩება, კოოპერაცია არ ხსნის დუქნებს განაპირა უბნებში და სხვა.

რაიკომის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო და აირჩია კომისია პრაქტიკულ წინადადებათა დასამუშავებლად.

ფ. მესხიძე.

ბიუროების საარჩევნო კრებებზე

წყალსადენის უჯრედში

თბილისის წყალსადენის კომუჯრედის კრებამ ამ დღეებში მოისმინა უჯრედის პასუხისმგებელ მდივნის ამხ. დავლიანიძის მოხსენება უჯრედის ბიუროს მუშაობის შესახებ. დამსწრენი მომხსენებელს აძლევენ მრავალ საინტერესო შეკითხვებს, რომელზედაც ის ამომწურავ პასუხს აძლევს. მოხსენების გარშემო იმართება კამათი; მონაწილეობას იღებს 15 ამხანაგი. ორატორები უმთავრესად აღნიშნავენ, კულტმუშაობის სუსტ მხარეებს. მაგ. კედლის გაზეთი არ გამოდის სისტემატიურად; გაზეთში ნაკლებ მონაწილეობას იღებენ პარტამხანაგები; ნაწილობრივ მოისუსტებს საგიტაციო და ორგკომისიების მუშაობა. ამასთანავე ორატორებმა აღნიშნეს, რომ დაწინაურების მხრივ ბიუროს ბევრი არაფერი გაუკეთებია საპასუხისმგებლო თანამდებობებზე წამოყენებულ იქნა მხოლოდ ერთი ამხანაგი. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის უფრო გაძლიერება. გარდა ამისა ორატორები ამბობენ, რომ საერთო კრებებს იშვიათად ესწრებიან პარტიის წევრები, რაც არანორმალურ მდგომარეობათ უნდა ჩაითვალოს. ორატორების სიტყვით ამ ბოლო დროს გამოცოცხლდა „ომედასის“, თავდაცვა-ავიაქიმის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობა.

კრებამ ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა და ახალ ბიუროში 9 კაცი აირჩია.

ჭა—ნლი.

„26 კომუნარის“ ქარხანაში

26 კომუნარის სახელობის ქარხანაში აუშვეს საყვირი, მუშაობა შესწყდა. მუშები სახლებისაკენ წავიდნენ.. მაგრამ.. ყველა კი არა! ამხანაგების ნაწილმა წითელ კუთხეს მიაშურა. აქ პარტუჯრედის კრებაა.. ამხ. ზაკომოლდინი (უჯრ. მდივანი) თავის ვრცელ მოხსენებაში ჯამს უკეთებს უჯრედის ბიუროს მუშაობას; აღნიშნავს მის მიღწევებს; ეხება ნაკლულოვანებებს და მოუწოდებს დამსწრეთ, აქტიური მონაწილეობით გამოამჟღავნონ ბიუროს დეფექტები. პირველი სხდომა ამით დამთავრდა. მე-2 სხდომაზე გაიმართა კამათი. ილაპარაკა 50 კაცმა. ორატორები მოურიდებლად ამხელენ ბიუროს სუსტ მხარეებს.

— საჭიროა სწორად და რაციონალურად განაწილდეს პარტიული დატვირთვა;

— პარტდისციპლინა ნაწილობრივ მოისუსტებს.—საჭიროა მისი განმტკიცება.

— უჯრედის ბიურო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა დაზგის მუშების დაწინაურებას.

— ბიურო განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდა წარმოების გაუმჯობესების საქმეს, რის გამო საწარმოო კომისიისა და თათბირის მუშაობა მოისუსტებდა;

— ბიუროს ზოგიერთი დადგენილება ცხოვრებაში არ ტარდებოდა.—საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება ამ არანორმალური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად. ამას გარდა ორატორების ნაწილი ეხება მასიურ მუშაობის სისუსტეს და მომავალში მუშაობის გასაჯანსაღებლად ბიუროს აძლევს პრაქტ. წინადადებებს. კრებამ, რომელიც 4 სხდომაზე გაგრძელდა, ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და ბიუროს ახალ შემადგენლობაში აირჩია 7 წევრი და 2 კანდიდატი.

ის.—ლ.

ტფილისის კომიტეტში

კულტმუშაობა ზაფხულის პერიოდში

რამოდენიმე ხნის წინად თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა მისცა პროფკავშირებს პრაქტიკული წინადადებები ზაფხულის პერიოდში კულტურული მუშაობის წარმოების შესახებ.

წინადადებებში გათვალისწინებულია მასიური მუშაობის გაფართოება, რომელიც არ უნდა ატარებდეს კამპანიურ ხასიათს და უნდა ემსახურებოდეს მუშა-მოსამსახურეთათვის საინტერესო კონკრეტულ საკითხთა გაშუქების ხაზით. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კლუბებში წარმოებულ მხატვრული მუშაობის იდეოლოგიურ გამართლებას, რისთვისაც საჭიროა ხალტურის განდევნა და კომერციულ გადახრის უარყოფა.

მსგავს წითელ კუთხეებისა და კლუბების მუშაობის ძირითადი საკითხები უნდა იყოს:

სოციალისტური აღმშენებლობა და კულტურული რევოლუცია, წარმოების სოციალისტური რაციონალიზაცია და მასების მონაწილეობა მასში.

ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ; საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება და გამარტივება, თვითკრიტიკა და სხვა.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე პროფმუშაკების მომზადება-გადამზადების საქმეს, საზაფხულო თვითგანვითარებას, მუშაობის გაფართოებას ფიზკულტურის დარგში, სამხედრო-საპროპაგანდო მუშაობას, რადიოს და სხვ.

ნ. ფ.

ამხ. ა. ნადირაძის ხსოვნას

ამ დღეებში უდროოდ გარდაიცვალა ამხ. ალექსანდრე ნადირაძე.

ამხ. ალექსანდრე დაიბადა 1.900 წელს რაჭის მაზრის სოფ. კაბუეთში.

1919 წელს ამხ. ალექსანდრე თბილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმის მოწაფე იყო როცა შევიდა ა.ლ.კ.ქ. ორგანიზაციაში. ამავე წელს, არჩევნების დროს, რაჭის მაზრაში მან დაარსა ა.ლ.კ.ქ. რამდენიმე უჯრედი.

1921 წელში ამხ. ალექსანდრე იარაღით ხელში იბრძოდა მენშევიკური წყობილების წინააღმდეგ, 1921 წლის შემდეგ იგი იყო ა.ლ.კ.ქ. სამაზრო კომიტეტის წევრი და ამავე კომიტეტის ერთ-ერთ განყოფილების გამგე.

1922 წლიდან ის უკვე ხდება კომკავშირის სამაზრკომის მდივანი. რომელ თანამდებობაზედაც რჩება 1923 წლამდე.

1924 წელში ამხ. ალექსანდრე შედის კომპარტიის რიგებში, რის შემდეგაც კომკავშირის ც. კომიტეტი აბრუნებს მას ისევ რაჭის მაზრკომის მდივნად.

1926 წელს ამხ. ალექსანდრეს ირჩევენ სამაზრო პროფბიუროს თავმჯდომარეთ. ამ თანამდებობაზე მუშაობდა ამხ. ალექსანდრე უკანასკნელ დღეებამდე.

ამხ. ალექსანდრემ თავისი მუშაობით დაიმსახურა რაჭის მშრომელთა ნდობა და პატივისცემა. აი ამიტომ იქნება უკვდავი ამხ. ალექსანდრეს ხსოვნა თანამებრძოლ ამხანაგებსა და იმ ღარიბ გლეხობაში, რომლის საკეთილდღეოთაც ზრუნავდა ის.

გრიშა დოხნაძე

მოჯამაგირეთა შორის მუშაობის მტკივნეული საკითხები

მოჯამაგირეთა შორის მუშაობის საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ეხლანდელ პირობებში, როცა პარტია ფართო მუშაობას აწარმოებს ღარიბთათვის ნივთიერი დახმარების აღმოჩენისა და მათი შეკავშირების დარგში; მიუხედავად ამისა, როგორც ფაქტები გვიჩვენებენ, პარტიული ორგანიზაციები დღემდე სათანადო ყურადღებით ვერ ეპყრობიან ამ საქმეს.

ჩვენ ამ წერილში შევეხებით მოჯამაგირეთა შორის მუშაობის მდგომარეობას მხოლოდ თბილისის მაზრაში და შევეცდებით აღვნიშნოთ ის ძირითადი ნაკლულოვანებები, რომლებიც საჩქაროდ უნდა იქნენ გამოსწორებული პარტიული ორგანიზაციის მიერ.

როგორ არ უნდა მუშაობდეს მოჯამაგირეთა კომიტეტი

მოჯამაგირეთა შორის მუშაობის ერთი საერთო ნაკლულოვანება მდგომარეობს იმაში, რომ სუსტია კავშირის ქვედა ორგანოების მუშაკთა შემადგენლობა და მოჯამაგირეთა კომიტეტები ვერ ერკვევიან მათ წინაშე მდგომ ამოცანებში. გარდა იმისა, რომ მოჯამაგირენი სუსტად არიან ჩაბმული კავშირის ორგანიზაციებში, შრომის ხელშეკრულება არ ვრცელდება ბევრ მოჯამაგირეებზე და შრომის კანონთა კოდექსი ზედმიწევნით არ ტარდება ცხოვრებაში, ჩვენ გვაქვს კავშირის მუშაობის უხეშად დარღვევის ფაქტებიც. ავიღოთ მაგალითად, მოჯამაგირეთა კომიტეტი გომბორში. იმის მაგივრად, რომ ამ კომიტეტმა აწარმოოს ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობა და ყოველგვარი საშუალებით დაიცვას მოჯამაგირეთა ინტერესები, მისი წევრები ეწევიან სისტემატიურ ლოთობას, ხოლო კავშირში იღებენ კულაკს, რომელიც თავის საკუთარ მეურნეობაში მოჯამაგირეებს ამუშავებს.

მანგლისში მაგალითად, ჩვენს განკარგულებაში მყოფი ცნობებით, კავშირში მიუღიათ საზოგადო მწყემსები, რომელთაგანც თვითეული იღებს 400 მანეთამდე თვეში და თავის მეურნეობაში დაქირავებული ჰყავს ორი მოჯამაგირე.

განა ნორმალურია ასეთი მოვლენა? რასაკვირველია არა. პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს კავშირის ხაზის უხეშად დამახინჯებას, ბოროტმოქმედებას, ხოლო მეორე შემთხვევაში საკუთარი მუშაობის, ამოცანების უცოდინარობას. მანგლისის მოჯამაგირეთა კომიტეტი ალბად ასე მსჯელობდა: „რადგან ის მწყემსია, თუნდაც იგი იყოს შეძლებული ან კულაკური ელემენტი, ეს სულ ერთია, შეიძლება მიღებულ იქნას კავშირში“-ო.

დაუშვათ, რომ ამ საკითხში ვერ გაერკვა მოჯამაგირეთა კომიტეტი. მაგრამ რაღას აკეთებდა პარტკომი? ქონდა თუ არა მას საშუალება თავის დროზე გამოეაშკარავებინა ეს და ამის მაგვარი ნაკლულოვანებანი? რასაკვირველია შეეძლო, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ მან არ გამოიჩინა საჭირო სიფხიზლე, იგი თითქოს განზე იდგა ამ მუშაობისაგან. ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ მოჯამაგირეთა კომიტეტი მთელი თავისი ნაკლულოვანებებით, მანგლისისა და გომბორის ორგანიზაციის ყურადღების გარეშე დარჩა.

საჭიროა კავშირის ხელმძღვანელობის სისტემის გაუმჯობესება

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი თბილისის მაზრაში კვლავ იცავს სარაიონო სისტემას და აქვს კავშირის რამოდენიმე რაიკომი. თვითეული რაიკომი აერთიანებს რამდენიმე თემს, მაგალითად, სართიჭალის რაიკომი ხელმძღვანელობს შემდეგ თემებს: სართიჭალის, პატარძეულის, საგარეჯოს, მანავის, გომბოროს და სხვ.—მთელი თბილისის მაზრის თითქმის ნახევარს. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენ აქ გვაქვს ხელმძღვანელობის თუნდაც ნასახი? ჩემის აზრით, ამის თქმა არ შეიძლება.

რაიკომის თავმჯდომარე, 6 თვეში ერთხელ მოჩვენებასავით გამოჩნდება რომელიმე თემში, არა გამოკვლევების ჩასატარებლად ან ინსტრუქციების მისაცემად, არამედ ისე, სხვათა შორის, რათა იხილოს, თუ როგორ არიან მისი „ქვემდებარე“ მოჯამაგირეთა კომიტეტები.

კავშირის ცენტრ. გამგეობის დირექტივები რაიკომებს იქით არ მიდის, ვერ აღწევს ქვედა საფეხურის ორგანიზაციებამდე ან თუ აღწევს, ძალიან დაგვიანებით.

ჩვენ სრულიადაც არ გვინდა რამე უსაყვედუროთ კავშირის ცენტრ. გამგეობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ დღემდე არ არსებობდა სათანადო პირობები, სამაგიეროდ ეხლა, როდესაც მასიურ მუშაობას უჭირავს უმთავრესი ადგილი, სასოფლო-სამეურნეო მუშების ჩაბმა კავშირის ორგანიზაციებში წარმოადგენს პირველი რიგის ამოცანას და მოჯამაგირეთაგან აღიზარდა მცირეოდენი აქტივი—სავსებით მომწიფებულია საკითხი რაიკომების მოსპობისა და მოჯამაგირეთა სათემო კომიტეტების შექმნის შესახებ.

თემალმასკომები უნდა დაუახლოვდნენ მოჯამაგირეებს

სათემო ალმასკომები ჩვენს მაზრაში სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მომრიგებელი კომისიების მუშაობას, მოჯამაგირეთა საქმეების თავის დროზე გარჩევას, შრომის ხელშეკრულებათა რეგისტრაციას და სხ. მაგალითად, ალბულაღის ალმასკომი, წინააღმდეგ არსებული კანონისა, შრომის ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის გადასახადს იღებს. სათემო ალმასკომში მომუშავეებმა ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ შეითვისეს ის, რომ მოჯამაგირეთა კომიტეტს არ აქვს ადმინისტრატიული უფლებები, რომ მოჯამაგირეთა ინტერესების დაცვა ამ მხრივ ეკისრება თემალმასკომებს. ამიტომ თემალმასკომებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ნათლად გამოხატული კლასიური ხაზის გატარებას მომრიგებელ კომისიის მუშაობასა და შრომის ხელშეკრულებათა სისწორით შესრულების საქმეში.

კულაკი ხშირად სცდილობს გააწყალოს მოჯამაგირე, ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, რათა მოატყუოს იგი და ბოლოს საქმე მიჰყავს სასამართლომდე. თემალმასკომებმა უნდა იკისრონ ინიციატივა და დასვან სოფლის სახალხო მოსამართლეების წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ რიგს გარეშე გაირჩეს მოჯამაგირეთა საქმეები. მე-15 ყრილობამ წამოაყენა ლოზუნგი: „დაუახლოვდით მოჯამაგირეებს“. ჩვენი მოვალეობაა გავატაროთ ცხოვრებაში ეს ლოზუნგი.

პარტმუშაობის სუსტი ადგილი სოფლად

სუსტად არის დაყენებული მოჯამაგირეთა პარტიაში მიღების საკითხი. მოჯამაგირეები ჩვენი მაზრის ორგანიზაციაში შეადგენენ მხოლოდ 2 პროცენტს. მე-15 პარტყრილობამ კი სავსებით გარკვეული დირექტივა მოგვცა, რომელშიაც პარტიის უმაღლესი ორგანო გვეუბნება: „მიექცეს ყურადღება მოჯამაგირეთა და ღარიბთა იმ აქტივის მომზადებას და პარტიაში მიზიდვას, რომელიც წარმოიშობა სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირში, ღარიბთა ჯგუფებში და საბჭოებსა და კოოპერაციაში პრაქტიკული მუშაობის წარმოების დროს“. ამ დირექტივის შესასრულებლად ჩვენ ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტა რამ გავაკეთეთ. ჩვენში არის ისეთი სათემო ორგანიზაცია, რომელშიაც თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ მოჯამაგირეს (მაგ. საგარეჯო და სხვ.), და ეს ხდება არა იმიტომ, რომ თემში არ არის მოჯამაგირეები. სრულებითაც არა. ამის მიზეზი სულ სხვაა. როცა რომელიმე სათემო ორგანიზაციაში მომუშავეებს უსაყვედურებენ, რომ ამ ორგანიზაციაში არ არიან მოჯამაგირენი, ისინი თავს იმართლებენ: „ჩვენს თემში მოჯამაგირეები სრულიად არ გვყავსო“, ხოლო როცა მათ დაუმტკიცებენ საწინააღმდეგოს, მაშინ ისინი უპასუხებენ, რომ მოჯამაგირენი საერთოდ გაურბიან პარტიას.

მართალია თუ არა ასეთი ახსნა-განმარტება? რასაკვირველია არა. მოჯამაგირენი კი არ გაურბიან პარტიას, არამედ ჩვენ ვერ შევქმენით პრაქტიკულ მუშაობაში ისეთი პირობები, რომ დავახლოვებოდით მოჯამაგირეებს და მიგვეზიდა ისინი პარტიაში. იბადება საკითხი: შეეცადა თუ არა რომელიმე უჯრედი მოეწვია ღია კრებებზე მოჯამაგირენი, აღმოეჩინა მათთვის საჭირო დახმარება? ვფიქრობ, რომ არა. შევეცადეთ თუ არა ჩვენ ჯეროვნად მოგვეგვარებინა მოჯამაგირეთა შრომის პირობების გაუმჯობესების, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, მათი კულტურული დონის ამაღლების საკითხები? ჩვენ ეს საკითხები არ მოგვიგვარებია, მხოლოდ ეხლა ვიწყებთ მათ მოგვარებას, აი რატომ არ არის მართალი იმის თქმა, რომ „მოჯამაგირენი საერთოდ გაურბიან პარტიას“. ეს არის ერთ-ერთი სუსტი ადგილი სოფლის ორგანიზაციების მუშაობაში. მოჯამაგირეთა მცირე პროცენტი პარტიაში და ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტები ამტკიცებს იმას, რომ ყრილობის დირექტივა მოჯამაგირეთა შორის მუშაობის შესახებ ჯერ-ჯერობით მუშავდება ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მხოლოდ ზემო საფეხურებში და ქვედა საფეხურებზე ჯერ კიდევ არ მისულა, რომ თემკომები და უჯრედები ძალიან სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ ამ მუშაობას.

ე. გორდელაძე.

მუშათა ცხოვრება

ყოფ. ქუჩის ბავშვი თბ. საფუდის მოწაფედ

თბილისის საფუდის მუშებმა: ამხ. ბაღდასაროვმა და მემანქანე მაროზოვმა, თავიანთი თაოსნობით აიყვანეს შეგირდად ქუჩის ბავშვი „პაცანა“, რომელსაც ამჟამად ამხ. ბაღდასაროვი გულდასმით ასწავლის ხელობას. „პაცანა“ პავლუშა, თავს ირჩენს ბაღდასაროვის ბრიგადის მომუშავეთა ხარჯზე. მისი ჩაცმა-დახურვა კი იკისრა მემანქანე მაროზოვმა, რომელმაც აგრეთვე შეაგროვა ამხანაგებში 22 მანეთი და უყიდა ბავშვს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

აღსანიშნავია, რომ ყოფ. „პაცანი“ პავლუშა, იჩენს შრომის დიდ მოყვარეობას და ნიჭს; ყურადღებით ეკიდება ყოველგვარ საქმეს და სცდილობს პირნათლად და სუფთად შეასრულოს ოსტატის მიერ დაკისრებული საქმე. მაგრამ მის მუშაობას და მეცადინეობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ თავშესაფარის უქონლობის გამო, საფუდის სხვადასხვა კუთხეში უხდება ღამის თევა. ადგილკომმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს და მიიღოს ზომები ყოფილი ქუჩის ბავშვისათვის და ამჟამად კი საფუდის მოწაფისათვის საცხოვრებელი ბინის აღმოსაჩენად.

გარდა ამისა ადგილკომმა უნდა ეცადოს აღნიშნული მოწაფე, როგორც უპატრონო ბავშვი, ჩარიცხოს მოწაფეთა შტატში და მისცეს ისეთივე უფლებები, როგორც აქვთ სხვა მოწაფეებს. ამით ადგილკომი შეასრულებს თავის მოვალეობას უპატრონო ბავშვთა დახმარების საქმეში.

ძია—ლევან.

—:—

უსინათლოთა სასწავლებელში

ამას წინად თბილისის უსინათლოთა სასწავლებელში ადგილობრივი ძალებით გაიმართა საღამო-წარმოდგენა, რომელსაც უსინათლოების გარდა აუარებელი ხალხი დაესწრო. უსინათლო ბავშვები მშვენივრად ასრულებდნენ თავიანთ როლებს. ისინი ისე თავისუფლად და გაბედულად თამაშობდნენ, რომ მაყურებელი ვერც კი გაარჩევდა მათ თამაშს თვალახილულ ადამიანის თამაშისაგან.

წარმოდგენის შემდეგ უსინათლო ბავშვებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები და შეასრულეს სხვადასხვა ხალხური და რევოლუციონური სიმღერები. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე რამოდენიმე უსინათლო მოწაფის მიერ როიალზე შესრულებულმა სხვადასხვა ოპერის ნაწყვეტებმა. უნდა ითქვას, რომ მუსიკის სწავლის საქმე სასწავლებელში სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული. უსინათლო ბავშვები დიდ ენერგიასა და ნიჭს იჩენენ მუსიკაში.

სკოლის ხელმძღვანელებს განზრახული აქვთ უსინათლო ბავშვთა ძალებით, 25 მაისს რუსთაველის თეატრში მოაწყონ საღამო-კონცერტი, რომლის შემოსავალი გამოყენებული იქნება უსინათლო ბავშვთა პირობების გასაუმჯობესებლად.

სათანადო ორგანოებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ უსინათლოთა სასწავლებელს და ხელი შეუწყონ უსინათლო ბავშვთა გათვითცნობიერებას.

ს. ლომთათიძე.

—:—

დროზე გამოასწორეთ

(ჯანმრთელობის განყოფილების საყურადღებოდ)

ქალაქის მეათე სამილიციო უბანში მცხოვრებ დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთ სახლში ავადმყოფების სანახავად ექიმების გაწვევა შეუძლიათ ბორჯომის ქუჩაზე მდებარე დისპანსერიდან. მაგრამ ამ საქმის მწარმოებელი ჩამწერი დაუდევრად იქცევა, ამის გამო ავადმყოფების პატრონებს საათობით უხდებათ ლოდინი მის მაგიდასთან. ჩამწერი კი დროის გასატარებლად აქეთ-იქით დაიარება. ეს ხდება თითქმის ყოველ დღე, გარდა ამისა, თვით ჩასაწერი მაგიდა ვერაა შესაფერ ადგილას. იგი ისეთ ადგილზე დგას, რომ უფრო აუარესებს მდგომარეობას. დისპანსერის გამგემ ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს და ნაკლი დროზე გამოასწოროს.

ტურაშელი.

მიღწევასთან ნაკლიც გვაქვს

(თუთუნის ქარხანა „პროლეტარი“)

თუთუნის ქარხანა „პროლეტარი“-ს მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. ქარხანაში ოთხასამდე მუშა მუშაობს, მაგრამ ქარხნის ნაწარმოების მოთხოვნილება იმდენად გაიზარდა, რომ მუშების რიცხვი ვერც კი აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამიტომ უკანასკნელ ხანებში ქარხანაში მუშაობა დაიწყო ორ ცვლად. ისე, რომ დილიდან დაწყებული საღამოს 9 საათამდე ქარხანაში განუწყვეტელი მუშაობა სწარმოებს. ამგვარად წარმოებამ ასი პროცენტით აიწია.

მაგრამ ამავე დროს არის ნაკლიც, რომელიც აფერხებს შრომის პირობების გაუმჯობესებას: ქარხანაში არ არის სამკურნალო მედიკამენტები, რაც უციალებელ საჭიროებას წარმოადგენს მუშის ჯანმრთელობის დასაცავად, და უბედური შემთხვევების დროს პირველი დახმარების აღმოსაჩენად.

ქარხანასთან არსებული შრომის დაცვის კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენს მუშის ჯანმრთელობაზე და მათ შრომის პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, თავს არ იწუხებს ქარხანაში პატარა აფთიაქის წამლებით უზრუნველსაყოფად, შრომის დაცვის კომისია თავს იმით იმართლებს, რომ „ექიმი ქარხანას არ უწერს წამლებს, რადგან ჯანსახკომი არ რთავს ამის ნებასო. ვინ არის ამაში დამნაშავე არ ვიცით, ქარხნის აფთიაქში რომ არავითარი წამალი არ მოიპოვება ეს ცხადია. უბრალო წამლის მისაღებად მუშა იძულებული ხდება გაანებოს თავი მუშაობას და მთელი საათი ელოდოს ექიმს რიგში რომელიმე ფხვნილის მისაღებად ან იოდის წასასმელად ჭრილობაზე. ეს კი საკმაოდ დიდ ზარალს აყენებს წარმოებას.

პირველი დახმარების წარმოების უქონლობის გამო ქარხანაში ძალიან ხშირია უბედური შემთხვევები: ამ ორი დღის მუშაობის დროს უცბად გარდაიცვალა მუშა ახლანიძე. მუშები მისცვივდნენ აფთიაქს სასუნავებელ სპირტისთვის, მაგრამ წარმოიდგინეთ არც ეს უბრალო და აუცილებელი წამალიც აღმოჩნდა შკაფში.

ამბალი.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

გაგვიხსენით კოოპერატივი. ვერაზე, იზმაილოვის, გუნიბის, არტურის, პეტროვის და ბელინსკის ქუჩებზე არც ერთი კოოპერატიული სავაჭრო არ მოიპოვება. მცხოვრებლები იძულებული არიან მიმართონ კერძო ვაჭრებს, რომლებიც ტყავს აძრობენ მუშა-მოსამსახურეებს. მუშკოოპო, გაგვიხსენით კოოპერატივი.

ზან-მანი.

მომატების მაგიერ. ინდუსტრიალური ტექნიკუმის დარაჯი, ნ. ელკანოვი ღებულობდა ჯამაგირს თვეში 31 მან. და 80 კაპ. ახალი კოლექტიური ხელშეკრულებით კი, იმის მაგიერ, რომ როგორც დაბალი ხელფასის მქონე მომატებოდა ჯამაგირი, 1 მ. და 80 კაპეიკით დააკლდა. ამჟამად ელკანოვი ჯამაგირს ღებულობს 30 მანეთს.

რად მოხდა ასე?

ნ.

ლიტერატურული გასამართლება. 20 მაისს, რკ. გზის მუშათა ფაკულტეტის ლიტერატურულმა წრემ, ამხ. ა. იოვიძის ხელმძღვანელობით პლეხანოვის სახელობის კლუბში მოაწყო „ჯაყოს ხიზნები“-ს ლიტერატურული გასამართლება. გასამართლებას საკმაოდ დაესწრო ხალხი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ გასამართლება ვერ ჩატარდა მწყობრად. თვით სასამართლოს თავმჯდომარემ, ამხ. გ. ვაშაკიძემ, თავის შესავალ სიტყვაში იმის მაგიერ, რომ მიუდგომლად გაეშუქებინა ის ეპოქა, რომელშიაც წარმოიშობა თეიმურაზები და ჯაყოები, ბრალი დასდო თეიმურაზ ხევისთავს და კამათის დაწყებამდე თითქმის განაჩენიც კი გამოუტანა სიტყვით.

შემდეგში ეს აღარ უნდა განმეორდეს.

გოგო.

მუყაითი მუშაკი. თბილისის მაუდის ქარხნის საამშენებლო საქმეზე მუშაობს ტექნიკოსი გ. ქელივიძე, რომელიც ერთგულად და პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მასთან მომუშავე მუშები დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ ტექნიკოს ქელივიძის ასეთ მუყაით და ერთგულ მუშაობისათვის.

მუშ.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

სამუშაო დრო სავაჭრო დაწესებულებებში

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი თბილისის სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო დროის განსაზღვრის შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. ელბაქიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ სავაჭრო დაწესებულებები მუშაობას აწარმოებენ ისეთ დროს, როცა მუშა-მოსამსახურეები სამუშაოზე არიან და არ აქვთ საშუალება შეიძინონ მათთვის საჭირო ნივთები და პროდუქტები. ამიტომ, სავაჭრო დაწესებულებებში საჭიროა ახალი სამუშაო დროის შემოღება.

ამ საკითხის გარშემო გაიმართა კამათი. ამხ. ელბაქიძის მოსაზრების წინააღმდეგ გამოვიდა საბჭ. და სავ. მუშ. კავშირის თავმჯდ. ამხ. ათოევი, რომელმაც აღნიშნა, რომ სავაჭროების გვიან გაღება და გვიან დაკეტვა გამოიწვევს სავაჭრო მუშაკთა მუშაობის პირობების გაუარესებას.

პრეზიდიუმმა იმსჯელა ამ საკითხზე და გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად, პირველი ჯგუფის სავაჭრო წარმოებებში, რომელთაც ეკუთვნის მანუფაქტურის, გალანტერეის, რკინეულობის, წიგნის, საკანცელარიო ნივთების, ბავშვთა სათამაშოების, საფეიქრო საქონლის, ღვინის, დამზადებული ტანისამოსის, ფეხსაცმელების, ჭურჭლეულობის, თამბაქოს, საკომისიო და საიუველირო მაღაზიებში—ვაჭრობა უნდა სწარმოებდეს დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე, ნაცვლად დილის 8 საათიდან 4 საათამდე, როგორც დღემდე იყო.

მეორე ჯგუფის სავაჭროებში: რესტორანებში, კაფე-საკონდიტეროებში, გამაგრილებელ წყლის და ყვავილების სავაჭროებში და საბილიარდოებში, სარაიებში, სახაშეებში, გასტრონომიულ, საბაკალეიო და ხმელი ხილით სავაჭროებში მუშაობა უნდა სწარმოებდეს დილის 8 საათიდან ღამის 11 საათამდე.

შრომის სახ. კომისარიატს დაევალა სათანადო დადგენილების გამოცემა ამ საკითხზე.

პროფკავშირთა თანხების გაფლანგვის წინააღმდეგ

საქართ. პროფკავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. ანთიძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

მთელ საქართველოში ყველა კავშირებში 1927 წლის განმავლობაში გაფლანგული თანხა, როგორც უკანასკნელი გამოკვლევიდან სჩანს, უდრის 27.442 მანეთს. გაფლანგვების დიდი რაოდენობა მოდის ძირითად პროფორგანოებზე და ადგილკომებზე.

გაფლანგული თანხების ასეთი დიდი რაოდენობა უმთავრესად აიხსნება ფინანსიური ანგარიშსწორების და საქმის წარმოების ცუდათ დაყენებით, ზემდგომი პროფორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობით და განსაკუთრებით კი სარევიზიო კომისიების უმოქმედობით.

ზოგიერთ კავშირებში ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა გამფლანგველებს არ რიცხავენ კავშირიდან, რაც დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

გაფლანგვების შემცირების მიზნით, ჩვენ შუამდგომლობა აღვძარით საქ. იუსტიციის სახ. კომისარიატის წინაშე, რათა მან მიიღოს უფრო მკაცრი ზომები გამფლანგველთა წინააღმდეგ, მიუხედავად მათ მიერ გაფლანგული თანხის რაოდენობისა.

გარდა ამისა, საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ამ დღეებში გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად, კავშირების ცენტრალურ გამგეობებს დაევალა სპეციალური ცირკულიარი, რომ მიღებული იქნეს გადამჭრელი ზომები საკავშირო თანხების გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად.

მოსკოვში

(შთაბეჭდილებანი)

დიდი ქალაქია მოსკოვი.

ორი მილიონი და ასი ათასი მცხოვრებია აქ.

მოსკოვის საბჭოში შედის 2.283 დეპუტატი. საბჭოზე მიმაგრებული აქტივი კიდევ სხვაა.

მოსკოვს ჰყავს კიდევ ექვსი რაიონული საბჭო, თავისი სექციებით. მოსკოვის საბჭოს ჰყავს გამოყოფილი 13 სექცია. ამ სექციებში კი არის ქვესექციები და კომისიები.

ასევეა რაიონის საბჭოებშიც.

ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი მრავალი საბჭოები ხელს შეუშლიან ერთი მეორეს მუშაობაში, მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ მოსკოვის სიდიდე და მცხოვრებთა სიმრავლე.

წარმოუდგენელია ერთმა საბჭომ, რამდენი წევრიც არ უნდა შედიოდეს შიგ, მოუაროს ამოდენა ქალაქს.

ამიტომ სავსებით მიზანშეწონილია ამ დიდ ქალაქში მუშათა რამდენიმე საბჭოს არსებობა.

რაიონები ისეა გაყოფილი, რომ ყველა რაიონის საზღვარი მიდის თვით ცენტრამდი. ამნაირად თვითეულ რაიონს ახლავს ცენტრის ნაწილი და განაპირა მუშათა უბანიც.

თითო რაიონში 300-400 და 500 ათასი მცხოვრებია. თბილისის საბჭოს დელეგაცია გაეცნო მოსკოვის მთავარ საბჭოს და მის სექციების მუშაობას, გადავიდა როგოჟსკო-სიმონოვის რაიონში.

გაეცნო აქაურ საბჭოს მუშაობას და დაათვალიერა აქაური აღმშენებლობა.

ყველა ნახულის ჩამოთვლა აქ შეუძლებელია, მაგრამ ზოგ რამეს ავღნიშნავთ. პირველად დავათვალიერეთ ქალაქ-გარეთ საბინაო სახლების აღმშენებლობა.

აქ შენდება მუშათა უბანი. ოცამდი ოთხსართულიანი სახლი უკვე მზადაა. თითო სახლში 200 მეტი ოთახია.

თითო ბინაში შედის ორი და სამი ოთახი, სამზარეულოთი, აბანოთი და სხვა.

ამნაირივე აღმშენებლობა მიდის მეორე მეზობელ რაიონიდან და მიდის ისეთი გეგმით, რომ შეუერთდეს როგოჟსკო-სიმონოვის რაიონის სახლებს და შეადგინოს ქალაქის ირგვლივ რგოლისებური მუშათა უბანი.

ქალაქი მოსკოვი საბინაო აღმშენებლობისათვის ყოველწლივ ხარჯავს სამოც მილიონზე მეტს, მაგრამ მოსახლეობა ისე ჩქარა იზრდება, რომ ბინის კრიზისი მაინც დიდია, როგოჟსკო-სიმონოვის რაიონში მრავალი ფაბრიკა-ქარხნებია. უდროობის გამო ჩვენ დავათვალიერეთ მხოლოდ ერთი—ეს არის ეგრედწოდებული ფაბრიკა-დინამო, რომელიც უმთავრესად ამზადებს ელექტრო ძალის სხვადასხვა მანქანა-აპარატებს და რომელმაც ამ დღეებში დამთავრებულ ქარხნების კონკურსში მიიღო პირველობა.

აქ მუშაობს ორი ათას მუშაზე მეტი. საბჭოთა ხელისუფლების დროს ქარხანა ორჯერ გადიდებულა, მუშები ჩვენს მისვლას სიხარულით შეხვდნენ.

როგოჟსკო-სიმონოვსკის რაიონის დათვალიერების შემდეგ ჩვენ გავემართეთ ქალაქის მეორე მხარეს—კრასნაია პრესნაში, სადაც უნდა დაგვეთვალიერებინა ფართლეულობის დიდი ქარხანა—ტრიოხგორნაიათ წოდებული.

აქ დაგვაგვიანდა. შაბათი დღე იყო და ქარხანა უკვე იკეტებოდა.

ჩვენც ვისარგებლეთ შემთხვევით და დავათვალიერეთ იქვე მოთავსებული მოსკოვის ზოოლოგიური ბაღი.

აქ არის ორი ბაღი. ერთი ძველი და ერთიც მის გვერდით, ახალი, საბჭოთა ხელისუფლების დროს აგებული.

განსაკუთრებული ორიგინალობით და ლამაზად არის მორთული ახალი ბაღი.

აქ არის აღმართული რამდენიმე ხელოვნური მთა-კლდე, რომელიც ნამდვილი გგონია.

ამ კლდეებში არის გაკეთებული ხვრელები, სადაც მხეცები შედიან, როცა მოესურვებათ.

კლდის წინ არის თავისუფალი მოედანი მხეცისათვის და შემდეგ ტბა-წყალი, რომელიც გაუვალია ზოგი მხეცისათვის, ხოლო ზოგისათვის საბანაო აუზი.

ბევრი გვაცინა ზღვის ერთმა თეთრმა დათვმა:.

ბანაობს, ცურავს, გადატრიალდება წყალში. ამოიღებს გორიდან დიდ ქვას, ათამაშებს ხელში, ისევ ჩააგდებს წყალში. ჩაიყურყუმელავებს, ამოიღებს, გვაჩვენებს ისევ ათამაშებს. რაღაცას ბუტბუტებს და ასე ართობს ხალხს.

ს. დოლიძე.

მოსკოვი, 18 მაისი.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

დახმარება ქუთაისს

„კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა

„რუსგერსტროის“ თანამშრომლებს შემოაქვთ ერთი დღის ხელფასი: ს. ფიცხელაური—20—83; ე. ხერხელი—10—40; ო. ერიკ—18—75; ვ. მაიერიცკი—14—58; ვ. ბოირეკი—13—83; ვ. ხაჩუკ—3—75; ნ. თორდანიშვილი—2—08; ს. ხუციშვილი—1—86; ა. ტამერ—10—40; კ. კაუხიევ—4—17; შ. გურგენიძე—3—75; გ. დანიი—3—33; მირიანაშვილი—5—20; დავითაშვილი—1—46; გ. მამისაშვილი—2; ვ. კენჭუაშვილი—1—65; ი. ხიზამბარელი—1—65, მ. კენჭუაშვილი—1-65, ი. ხიზამბარელი—1—65, შ. ხიზამბარელი—1—65; გ. გობაძე—1—65; გ. ქარქუსაშვილი—1—65; ი. გოგაძე—1—65; შ. გაბოძე—1—65; ა. კენჭუაშვილი—1—65; ი. გაბოძე—1—65; ა. კანდელაკი—1—65, ი. სიდამონიძე —1—65; ს. სიდამონიძე —1 —65; ვ. გობაძე — 1—65; გ. ხიზამბარელი—1—65; ა. გაბოძე—1—65; ი. სიდამონიძე—1—65; ს. გაბოძე—1—65; პ. კენჭუაშვილი—165; ვ. გაბოძე—1—65; დ. ქარქუსაშვილი—1—65; ნ. ქარქუსაშვილი—1—65; ა. გოჩიტაშვილი—1—65; ს. მაისურაძე—1—65; ლ. ჯლანტიაშვილი—1—65; პ. გუჩიაშვილი—1—65; ი. ქარქუსაშვილი—1—65; დ. კენჭუაშვილი—1—65; ე. კენჭუაშვილი—1—65; ე. ჯლანტიაშვილი—1—65; ვ. ჯუჯიაშვილი—1—65; პ. აბუაშვილი—1—65; ჟ. ტაბუაშვილი—1—65; ს. გიუნაშვილი—1—65; ა. სარქისოვი—1—65; პ. კოჩიტოვი—1—65; ვ. თითრიაშვილი—1—65; შ. კანკავა—1—65; მ. ლეკიშვილი—1—65; დ. აბიამაშვილი—1—65; დ. მარკოზაშვილი—1—65; ვ. პარულავა— 1 65; შ. ჯამიკაშვილი—1—65; შ. მამისაშვილი—1—65; ს. მუსერიძე—6—00; ს. კაციტაძე—5; ი. ბოჭორიშვილი—5; ა. ალლაძე—4; ს. პეტრიაშვილი—5; ნ. შუბინიძე—5; ზ. რუსიშვილი—6; მ. კობერიძე—5; კუცკიძე—4; ი. მუსერიძე—3; ი. მიქიაშვილი—3; ო. მუსერიძე—4; მ. ჰიჭინაძე—4; დ. ჯაოეიშვილი—4; ნ. სოხაძე3; ი. დებურიშვილი—4; ლ. ალლაძე—4; მ. ქველიძე—4; ლ. თბერიძე—3; ვ. გაბისიანი—4; ვ. სიორაძე—3—50; ვ. ხეთაგური—2—50; ა. მაჩაიძე—3; შ. გოგიაშვილი—4; ს. გოგიაშვილი—4; ა. მიკელოვი—3; ხ. კაგოსოვი—4; მ. არუთინოვი—4; ა. პაპიევ—5; ფ. გოდმან—5; გ. ედიაშვილი—4; ნ. კობერიძე—3; ვ. ბარინოვ—4; ვ. ჩაჩანიძე—4; კ. ბოგველი 3; ა. ნოკელოვ—3; ი. ხულიევ—4; დ. ფერიაშვილი—4; ვ. კოსტანაშვილი—1—65; აზიზოვი—4; ა. ხლაიძე—3; თ. ბოგველიძე—3; ი. გაბინაშვილი—3; ა. ხააკოვი—3; კუბიაშვილი—4, ბ. მირზოევი—3; ა. იოხანოვ—2; ბ. ოსიპოვი—2; ს. ბაბაევი—1—50; პ. ილიაევი—2; ი. იუხანოვი 1—50; ა. კოჩეროვი—2; რ. ხანაია—5. სულ 381 მან და 78 კაპ.
—5; მ. კენჭუაშვილი—1—65; ი. ხიზამბარელი—1—65; ი. სიდამონიძე—1—65. სულ 381 მან. და 78 კაპ.

და იწვევენ ყველა აღმშენკომებს, საბინაო კომიტეტებს და ადგილკომებს, აღმშენებელთა კავშირის წევრებს.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ პატარა მეგობრებს: კუკური (შოთა) ლომთაძეს; თამარა ჯაიანს; ტანია საბახტარაშვილს; ნიტიკო ტაბიძეს; ჟოული ჭაჭინაძეს; კარლო მათიაშვილს; თეიმიკო ბასილიას; გოგი ლვანცელაძეს; რუსუდან ჭიჭინაძეს; და გივი ემელიანის ძე ქველაძეს.

გურამ (ხუტუნა) ქველაძე.

—:—

ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქართ. მსრ. დივიზიის ინჟინერ ამხ. ერისთავს; ლომთაძეს; შავდიას; ლორთქიფანიძეს.

ვ. ოჩიგავა.

—:—

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კვეიძეს; სვანიძეს; მაკურაძეს; ბუჩუკურს; გოგაურს და არაქელოვს.

ა. გალავიძე.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: გივი და გაიოზ კალანდაძეებს, გუგული (გიორგი) სუკაშვილს; ლამარა და მედია გოცირიძეს; ქეთინო გონაშვილს; მედიკო ბარნაბიშვილს; რეზო მანჯგალაძეს; ვალოდია მანჯგალაძეს; ეშა მანჯგალაძეს.

ენრიკო მანჯგალაძე.

—:—

თანახმად შურა და ბათა გოგორიშვილების გამოწვევისა შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თინიკო სხირტლაძეს; ლენა სხირტლაძეს; მარგალიტა ჭრელაშვილს და რუსუდან ბარნაბიშვილს.

შურა იალქაძე.

—:—

ციალა თალაკვაძის და ლეილა ზამბახიძის გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ: ლილი ჯულელს; ნოდარ ურაშხოშვილს; ნავა დოლიძეს; ნელი ჩიტო და ნათელა ჯიბლაძეებს; ლეო ხომერიკს და კოკა ჩიჩუას.

გიზო თედორესძე დოლიძე.

—:—

შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ: მიშა კიკნაძეს; თამარა ბერძნიშვილს; გოგლა ლოლუას; ქეთო ვაშაკიძეს; სერგო არჩვაძეს; მედეა ოდიშარიას; გოგია ფარადაშვილს; ნუნუ თარხნიშვილს; შოთა მინდიაშვილს; ვანანა ცინცაძეს.

ნადია (ტანკა) ტაბანაშვილი.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ლეილა გეგეჭკორს; თინა ფილფულაშვილს; ლელიკო ყანდარელს; რეზიკო ლაზარიშვილს; მეგი მშვიდობაძეს; გივი კეკელიძეს; ლეილა და გივი წერეთელს; შალიკო შუბლაძეს; გივი ყირიმელაშვილს; ლილი მიქელაძეს.

ნათელა ჩოდრიშვილი.

—:—

თინიკო ლამბაშიძის გამოწვევით შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ: თინანო ჩიკვაიძეს; ლევი სვიმონის ძე ცუცქირიძეს; ჟუჟუ გუდაძეს; თორნიკე გუდაძეს; ნოდარ ცხადაძეს; ციცინო ჩოგოგიძეს; გივი ვათიკოს ძე ქიქოძეს; მანანა ქიქოძეს; ზურაბ ლამბაშიძეს; და მერაბ სახიშვილს.

გიზო ჟიჟიანი.

—:—

ეთერი ქვარიანის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: თული ლიბრაძეს; ირა ლომჯანიძეს; თამარა თვალიევას; ნანა ბეროძეს; რუსუდანა ჯაფარიძეს; თინა ჩხიკვაძე—სვირსკის; მარიკა რუსიშვილს; ეთერი სანაიას; ნუნუ ნიკოლაიშვილს და კლარა ცერაძეს (ბორჯომიდან).

თინა ალექსის ასული თხინვალელი.

—:—

ოთარ ელიაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: კოკა ხინთიბიძეს; გელიკო გამელაშვილს; ოთარ ფერაძეს და ბიბიკო მალხაზოვს.

კუკური ლუკას ძე მადაჭკორია

—:—

შემომაქვს ორი მანეთი (2 მან) და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მიხეილ ჯანჯღავას; ვასო ჩხიკვიშვილს; შალიკო ჯაფარიძეს; მარო ბრეგვაძეს; მარგალიტა ტოროშელიძეს; ევა კიკოშვილს; ნიკოლოზ ობოლაძეს; აპოლონ ჩაჩანიძეს; ერასტო ჩიმაკაძეს და შალიკო გოგუნაშვილს; კოწია დარახველიძეს.

ტეხნიკოსი გ. ჯაფარიძე.

—:—

შემომაქვს 2 მანეთი და ვიწვევ: ვლ. ნადარეიშვილს, მ. კაციტაძეს, ს. ზერაგაიას, ერ. კვიცარიძეს, ილ. ლოლობერიძეს, ვ. ბახტაძეს, აკ. რუხაძეს, კ. გაბუნიას, ბ. ჩიქოვანს, კ. მელაძეს.

ქეთო ჭავჭანიძე.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ჩიხლაძე გრიშა, ჩაგუნავა ვლადიმერ, ხელაძე თამარა, ყუფარაძე სერგო, სანოძე თამარა, დოქვირი ნინა, გაბუნია კოტე, კირთაძე მანია, ჯიქიძე ვანო, ფარცხალაძე მარო.

ლუბა ანტონის ასული კეჟერაძე.

—:—

შემომაქვს სამი (3) მანეთი და ვიწვევ: [illegible]მან, გურამ და მერი გურგენიძეებს და დოდო და ლეილა კორძახიებს.

აჩიკო ალექსანდრესძე გურგენიძე.

—:—

შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ: გ. ფარადაშვილს, ი. კოხრეიძეს, გ. ლოლუას, ქ. ვაშაკიძეს, ი. წიკლაურს, ლ. მამაციშვილს, ნ. ჩიკაშუას, ს. არჩვაძეს, მ. ოდიშარიას, და დ. უთიაშვილს.

მიხეილ კიკნაძე.

—:—

ქუთაისში დაზარალებულთა სასარგებლოთ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: თინა კვიჟინაძეს, ნუნუ მაჭავარიანს, ჟური ლეშკაშელს, კუკური ხათრიძეს, ტატულა ლორთქიფანიძეს, ფეფიკა ვარაზაშვილს, ზურიკო ლეშკაშელს, ციალა გელოვანს და თ. ჯაფარიძეს.

ქეთინო ლეშკაშელი.

—:—

შემომაქვს სამი (3) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ი. ბერიას, ვ. შუბლაძეს, შ. ჰუმბურიძეს, ბ. კალანდაძეს, ვ. ვასილიევს, ვ. პეტროსიანს, კ. ჭანიშვილს, ა. სირუნიანს, დ. ჩხეიძეს, მ. ბურჭულაძეს, კ. გურგენიძეს, ქ. აბულედიანს, და ა. მებალიშვილს.

დ. რ. კაჭარავა.

—:—

შემომაქვს ხუთი (5) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ა. პისკუნოვს, ს. ქავჯაიას, კ. ბეგიზოვს, ნ. უნგიაძეს, ა. ეროგინს, ს. ელბაქიანს, მ. ედიგაროვს, გ. აზნაუროვს, რ. დიასამიძეს, ს. ბაბაიანს, გ. კანკავას.

ალექსანდრე სტურუა.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: შოთა კობახიძეს, ატრიკო მაჭავარიანს და შალიკო ჭანკვეტაძეს.

ვახტანგ კალაძე.

—:—

თინიკო ლამბაშიძის გამოწვევის თანახმად შემომაქვს ორი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

მზია გიორგის ასული ჯულელი.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: რეზო მელიქიშვილს, რეზო მაკალათიას, მაყვალა მეგრელიშვილს, თინა ბაქრაძეს, ლეო ყარანგოზიშვილს, დიანა აბესაძეს, კატო ხარმანიძეს, თინა კვაჭაძეს, ცანავას და ნათელა ბახტაძეს.

ელგუჯა ლორთქიფანიძე.

—:—

შემომაქვს ხუთი მანეთი ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

სპირიდონ კაჭარავა.

—:—

შემომაქვს 1 მან. და ვიწვევ: გუგული და ეთერ ბაგრატიონებს, ვერა ხალაპოვას, ნათელა სვანიძეს, შურა და ნინა ულენტებს, ბიძინა ქიქოძეს, ვოვა ოსეპჩუკს, ლელიკო შიოშვილს, და ბიძინა ლომაიას, რუსიკო (ვოგონა) მჟავანაძეს და ბიქტორ ანდრიასძე შოთაძეს.

თემუკო გრიგოლისძე ულენტი.

—:—

შემომაქვს 1 ერთი მანეთი და ვიწვევ: ვალოდია ხადალაშვილს, პეწია და ნათელა სამადაშვილებს, ნადია ვაწაძეს, ოთარ ივანიშვილს.

მიტო სამადაშვილი.

წითელი ჯვრის ქუთაისის კომიტეტის თანამშრომლები ვწირავთ ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ერთი დღის ხელფასს 93 მანეთს და ვიწვევთ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს, წითელი ნახევარ მთვარის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის და სამაზრო კომიტეტების ყველა თანამშრომელთ.

წ. ჯ. ქუთაისის კომიტეტის თანამშრომლები.

—:—

შურა ბარამიძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: თინა თუხარელს; გივი ტოროშელიძეს; გუგული ნინოშვილს და ვახტანგი მაღრაძეს.

გურამ არტემის ძე იმნაძე.

გუშინ „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა 519 მან. 78 კ. სულ წინად შემოსულთან ერთად 12.760 მან. 49 კ.

გამოხმაურება

მთავრობის კომისიაში

ხანძრისაგან დაზარალებულ ქუთაისის მოსახლეობის სასარგებლოთ საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის თანამშრომლებისაგან მთავრობის კომისიას გადაეცა 911 მან. 99 კ. ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ გუშინდლამდე მთავრობის კომისიაში შემოვიდა 52.070 მან.

სახ. კონსერვატორიის მუშაკთა დახმარება

სახ. კონსერვატორიის პროფესორებმა, მასწავლებლებმა და სხვა თანამშრომლებმა საერთო კრებაზე დაადგინეს ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად გადასდონ ერთი დღის ხელფასი, რაც შეადგენს 800 მანეთს.

ტომას მიდი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ამერიკაში დაარსებულ საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრთაგანი, ამერიკის კომპარტიის წევრი და საბჭოთა კავშირის უპატრონო ბავშვთა დამხმარე ამერიკული კომიტეტის ერთი ხელმძღვანელთაგანი ამხ. ტომას მიდი. თავის ჩამოსვლის მიზნისა და მასზე დაკისრებული მისიის შესახებ ამხ. ტ. მიდმა ჩვენს თანამშრომელს გადასცა:

— ამ რამოდენიმე თვის წინად ამერიკაში დაარსდა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც დაარსების დღიდანვე შეუდგა დახმარებათა შეგროვებას უპატრონო ბავშვთა სასარგებლოთ. აღნიშნული კომიტეტის ცენტრალური ორგანიზაცია მოწყობილია ნიუ-იორკში, ხოლო კომიტეტს თავისი ფილიალები გახსნილი აქვს ყველა იმ ქალაქებში, სადაც საბჭოთა კავშირის მეგობრების საზოგადოება არსებობს.

უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომიტეტის დაარსებისთანავე გადაწყვეტილი იყო ჩემი გამოგზავნა საბჭოთა კავშირში, სადაც ადგილობრივ უნდა გავცნობოდი უპატრონო ბავშვთა მდგომარეობას და გამომერკვია, თუ რა ზომებისთვის უნდა მიემართა კომიტეტს.

საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისთანავე გამოვიკვლიე უპატრონო ბავშვთა დახმარების საქმე—მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, რიაზანში და სხვა მსხვილ ქალაქებში. გარდა ამისა, გავეცანი ყველა იმ ღონისძიებებს, რომელსაც ღებულობს ბავშვთა უპატრონობასთან საბრძოლველად საკავშირო ცაკთან არსებული უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისია.

ჩემს მიერ გაგზავნილი ინფორმაციის თანახმად ამერიკულმა კომიტეტმა უკვე მოაწყო ზოგიერთ ქალაქებში უპატრონო ბავშვთა თავშესაფარებთან ბავშვთა სავარჯიშო სახელოსნოები (მოსკოვში და რიაზანში). თბილისში ჩემი ჩამოსვლის მიზანს შეადგენს ერთის მხრივ ის, რომ ადგილობრივ გავეცნო ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლას და მეორეს მხრივ კომიტეტს სრული ცნობები წარუდგინო უპატრონო ბავშვთა მდგომარეობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ახლად დაარსებული კომიტეტი ძალიან ენერგიულათ მუშაობს და მას დიდი სიმპატიებით ეპყრობიან, განსაკუთრებით მუშები. დღიდან დაარსებისა კომიტეტმა საბჭოთა კავშირის უპატრონო ბავშვთა დასახმარებლათ გადმოუგზავნა 500.000 მანეთი.

თბილისში მუშაობის დამთავრების შემდეგ მე პირდაპირ გავემგზავრები ამერიკაში, სადაც თან მიმყავს შვილად აყვანილი უპატრონო ბავშვი.

კოოპერატიულ კომისიების დაჯილდოება

მუშკოოპმა დანიშნა რამოდენიმე ჯილდო თბილისის იმ კოოპერატიულ კომისიებისათვის გადასაცემად, რომლებიც განსაკუთრებით კარგად მუშაობდნენ. პირველ ჯილდოთ დანიშნულია 160 მანეთი, ორი ჯილდო 50 მანეთი თვითეული და ერთი ჯილდო 25 მანეთი.

ჯილდოები გაცემული იქნება მუშკოოპში ახალი წევრების მოზიდვისათვის და საპაიო გადასახადების წარმატებით შეკრებისათვის. ამას გარდა ჯილდოები გაცემული იქნება მუშათა კრედიტის მოწყობისა, მუშა-მოსამსახურეებისათვის მუშკოოპის მუშაობის შესახებ ცნობების რეგულარულად მიწოდებისათვის და ამ მუშაობის კედლის გაზეთებში და აგრეთვე „რაბოჩაია პრავდა“-ში და „მუშა“-ში გაშუქებისათვის.

ჯილდოების დარიგების დროს მხედველობაში იქნება მიღებული აგრეთვე ის, თუ რა მონაწილეობას იღებდნენ კოოპერატიული კომისიები ისეთი კრებების მოწვევაში, რომლებზედაც ამუშავებდნენ კოოპერაციის მუშაობას და რა ზომებს იღებენ კოოპერატიული კომისიები მუშა-მოსამსახურეების ჩასაბმელად მუშკოოპის სხვა კამპანიებში.

ცირკულიარულად.

საქ. ყველა ცენტრალურ, სახელმწიფო, სამეურნეო, კოოპერატიულ და სავაჭრო დაწესებულებებს

უმაღლეს პარტიულ და საკონტროლო ორგანოების დირექტივებისა და ა.-წ. 8 მაისის საქართველოს სახკომსაბჭოში მ.-გ. ინსპექციის მოხსენების შესახებ მიღებულ დადგენილების შესასრულებლად, იმ მიზნით, რათა გაადვილებულ იქნეს მუშურ-გლეხური მასების დაახლოვება ჩვენი სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანოებთან, საჭიროა შემოღებულ იქნას შემდეგი წესი:

1. ყველა ცენტრალურ დაწესებულებაში როგორც შენობის შიგნით, ისე გარეთაც, ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას გამოკრულ უნდა იქნას ცნობა დაწესებულების ხელმძღვანელ პირების მიერ მთხოვნელ მოქალაქეთა მისაღებ დღეების და საათების შესახებ.

შენიშვნა: დაწესებულებებს შეუძლიათ მიღების საათები დანიშნონ ყოველდღიურადაც. თუ კი ამას თვითონ ხელმძღვანელები შესაძლებლად დაინახავენ.

2. მისაღები ბინა აუცილებლად ისე უნდა იქნას მოწყობილი, რომ მასში ყველა მთხოვნელებს თავისუფლად შეეძლოს შესვლა ყოველგვარ სანებართვო ბარათების გარეშე.

3. აუცილებლად დაინიშნოს კვირა-უქმე დღეებში მისაღები საათები, რა დროსაც პასუხისმგებელი მუშაკები მორიგეობით იქნებიან დაწესებულებაში მთხოვნელების მისაღებად.

შენიშვნა: ჯერ-ჯერობით კვირა-უქმე დღეებში მორიგეობა დაწესებულ იქნას შემდეგ დაწესებულებებში: მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, ჯანმრთელობის და იუსტიციის სახ. კომისარიატებში, თბილისის ალმასკომში და ც. ს. ქ. სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში.

გაცნობებთ, რა ზემოაღნიშნულს, საქ. მ.-გ. ინსპექციის სახ. კომისარიატი გავალებთ გაატაროთ ცხოვრებაში ხსენებული წესი.

წესის შემოღების შესახებ დაწესებულებებმა პრესის საშუალებით უნდა აცნობონ მოსახლეობის ფართე მასებს.

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი: **ა. დოლიძე.**

საკურორტო სეზონი

აბასთუმანი

საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველომ მზადება საზაფხულო სეზონისათვის თითქმის უკვე დაამთავრა.

უკანასკნელ კვირაში დასრულდა პოლიკლინიკის შეკეთება. პოლიკლინიკის შენობაში მოთავსებულია რენტგენის კაბინეტი, ქიმიო-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია და კბილის საექიმო კაბინეტი.

დაწყებულია მუშაობა წყალსადენის და კანალიზაციის გასაყვანად. ამ მიზნისათვის გადადებულია 1.500.000 მანეთი.

დამთავრებულია აგრეთვე მთავარი საბაზანო შენობის კაპიტალური რემონტი.

გასაქირავებელი ოთახები გასუფთავებულია და დეზინფექციაქმნილი.

საკურორტო სამმართველოს განკარგულებაშია აბასთუმანში 4 სანატორიუმი—490 საწოლით. გახსნილია აგრეთვე პანსიონატი—120 კაცისათვის.

სასტუმროსა და პანსიონატის გარდა საკურორტო სამმართველოს განკარგულებაშია—350 ოთახი. ოთახის თვითეული მეტრი ღირს—1 მანეთიდან 3 მანეთამდე. თითქმის ყველა ოთახები დაკავებულია.

საზაფხულო სეზონის ოფიციალური გახსნა დანიშნულია 15 ივნისისათვის.

შოვი

წელს კურორტ შოვზე იხსნება ახალი პანსიონატი. დამთავრდა სასტუმროს შენობის აგება. სასტუმრო დაიტევს 180 კაცს. ამ დღეებში გაიხსნება ამბულატორია.

ყველა ოთახები საფუძვლიანათ შეკეთებულია.

გაყვანილია კანალიზაცია და წყალსადენი. საზაფხულო სეზონი გაიხსნება პირველ ივლისს.

წყალტუბო

საზაფხულო სეზონი გაიხსნა პირველ მაისიდან.

წელს წყალტუბოში მუშაობს ახალი ჰიგიენური აბანო, რომელიც აგებულია ტეხნიკის და სანიტარიის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. აბანოს სახურავზე მოწყობილია აივნები მზის აბაზანების მისაღებად. დამთავრებულია ტალახით საბანაო განყოფილების აგება. რომელიც მოწყობილია რადიო აქტიური წყაროების დიდ ტბაზე. წყაროების დებეტი დღე და ღამეში უდრის ორ მილიონ ვედრას.

მინერალური ვანის მიღება საერთო აუზში პროფკავშირის წევრთათვის ღირს 30 კაპ.; კერძო პირთათვის 50 კაპ.

მიმდინარე სეზონის განმავლობაში განზრახულია კურორტზე გატარებულ იქნეს 14 ათასი ავადმყოფი.

1-ლ ივნისიდან ეწყობა სადიეტო სასადილო, სადაც ავადმყოფებს შეღავათიან ფასებში მიეცემათ საუზმე და სადილ-ვახშამი.

მალარიის დაავადების თავიდან ასაცილებლად სწარმოებს კურორტის ახლო მდებარე ჭაობების ამოშრობა, რომელიც დასრულდება ახლო ხანში.

ამ დღეებში დამთავრდება სასტუმროს აგება, რომელიც დაიტევს 160—200 კაცს. სასტუმროს აგება ჯდება 200.000 მანეთი. ნომერი ღირება 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

მოგვარებულია აგრეთვე მიმოსვლის საკითხი. სეზონის დაწყებიდან რეგულიარულად სწარმოებს ავტო მიმოსვლა.

ბორჯომში

დამთავრდა ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტის შენობის კაპიტალური რემონტი. ინსტიტუტთან გახსნილია 24 მინერალური ვანა. მიმდინარე წელს ინსტიტუტი იმუშავებს სრული დატვირთვით. ბორჯომში არის სანატორიუმი 80 საწოლით; პანსიონატი კი დაიტევს 70 კაცს. საზაფხულო სეზონის ოფიციალური გახსნა დანიშნულია 15 ივნისისათვის.

ცაგვერში მოწყობილია პანსიონატი, რომელიც დაიტევს 50 კაცს.

პატარა-ცემში იხსნება სანატორიუმი 30 საწოლით.

ახტალაში—ტალახის ვანით სარგებლობისათვის პროფკავშირის წევრთათვის დაწესებულია 30 კაპ.; კერძო პირთათვის კი—50 კაპ.

სანატორიუმით სარგებლობის ფასები

მიმდინარე წელს სანატორიუმებით სარგებლობისათვის გასულ წლებთან შედარებით დაკლებულია ფასები. საწოლი დამზღვევ ორგანოებისათვის ღირს—150 მანეთი, პროფკავშირის წევრთათვის—155 მანეთი და კერძო პირთათვის—225 მან.

სურსათ-სანოვაგით კურორტები უზრუნველყოფილი იქნება

მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ს. ბოჭორიშვილმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ მიმდინარე წელს კურორტები სურსათ-სანოვაგით მომარაგებული იქნება კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით. პროდუქტებით უზრუნველყოფილი იქნება ყველა მოაგარაკენი, სურსათ-სანოვაგის მიწოდების საქმეში არავითარ დაბრკოლებას ადგილი არ ექნება.

საკვებ პროდუქტებზე დაწესებული იქნება მტკიცე ფასები.

ქრონიკა

ამხ. არეფიევის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ფინსახკომის რწმუნებული ამხ. არეფიევი.

ამხ. არეფიევი 1-ლი ივნისისათვის გაემგზავრება განჯაში საგლეხო სესხის ტირაჟის სახელმძღვანელოთ, ხოლო 14 ივნისისათვის დაესწრება ქუთაისში აღნიშნული სესხის მეორე ტირაჟს.

ამერიკელი ჟურნალისტების ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკულ გაზეთების ასოციაციის „ფედერერ პრესის“ კორესპონდენტი—ქალები ჯესსი ლოიდი და მატილდა პენსი. მათთან ერთად ჩამოვიდა აგრეთვე მხატვარი—ქალი. მარ ილოიდი.

აღნიშნული ჟურნალისტები გამოსულან ნიუ-იორკიდან გასულ შემოდგომაზე და მოუვლიათ ევროპის ყველა ქვეყნები.

თბილისიდან ერთი კორესპონდენტი გაემგზავრება თურქეთში, ხოლო დანარჩენები ჩამოივლიან საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს.

თბილისში ისინი დარჩებიან ორი დღე და დაათვალიერებენ სამეცნიერო დაწესებულებებს, მუზეუმებს და ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ძვირფასი საჩუქარი მუზეუმს

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საქართველოს ისტორიულ მუზეუმს გადასცა ძვირფასი ნუმიზმატიკური კოლექცია, რომელშიაც ურევია ძველებური ფულის ნიშნების იშვიათი ეკზემპლიარები. კოლექციაში მოიპოვება, სხვათა შორის, პეტრე დიდის დროინდელი ოქროს ორმანეთიანი, რომელიც ძალიან იშვიათია სამუზეუმო კოლექციაში.

იმავე ბანკმა მუზეუმს გადასცა აგრეთვე ძველი ქართული ვერცხლის ჭურჭლების კოლექცია.

გამომგონებელთა ყრილობა

18 ივნისისათვის მოსკოვში მოწვეულია გამომგონებელთა პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა. ყრილობაზე მოწვეული არიან მოკავშირე რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოების გამომგონებელთა ბიუროების თავმჯდომარეები. და ყველა დაინტერესებულ მსხვილი ტრესტების და სინდიკატების წარმომადგენლები.

ყრილობის მუშაობა გასტანს 5 დღე.

საპარიკმახეროები კვირა დღითაც იმუშავებენ

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, თბილისის ყველა საპარიკმახეროები იმუშავებენ კვირა დღითაც—დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ნაცვლად კვირისა, პარიკმახერთა დასასვენებელ დღეთ დაწესებულია ორშაბათი.

ავტომობილების მიმოსვლა ქუთაისის მაზრაში

„ზაკავტოპრომტორგ“-ის ქუთაისის განყოფილებამ დააწესა შემდეგი რეგულიარული საავტომობილო რეისები:

ქუთაისი—ბაღდათი ყოველდღე 4 რეისი; სამგზავრო ფასი 1 მან. 50 კაპ. მგზავრზე.

ქუთაისი—ხონი ყოველდღე 3 რეისი—1 მ. 75 კ. მგზავრზე,

პირველი ივნისიდან დაწესებული იქნება შემდეგი საავტომობილო რეისები:

ქუთაისი—ონი 3-ჯერ კვირაში—10 მანეთი მგზავრზე.

ქუთაისი—წყალტუბო ყოველდღე—1 მანეთი მგზავრზე (ავტომობილები გავლენ ყოველ 2 საათში).

მშენებლობის მოსაწესრიგებლად

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ აუცილებლად სცნო გაძლიერებული იქნეს მომავალი საბიუჯეტო წლიდან ამიერ-კავკასიის ტეხნიკურ-საამშენებლო კომიტეტის მუდმივი აპარატი.

რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს დაევალა მიიღონ ზომები რესპუბლიკანურ საამშენებლო-ტეხნიკურ კომიტეტების აპარატის გასაძლიერებლად და საამშენებლო კონტროლის ადგილობრივ ორგანოების მოსაწყობად აღმასკომებთან. რესპუბლიკანურ საამშენებლო-ტეხნიკურ კომიტეტებში გამოყოფილი უნდა იქნეს ორი კვალიფიციური თანამშრომელი საამშენებლო სამუშაოებზე საინსპექტორო-ტეხნიკური მეთვალყურეობის განსახორციელებლად.

მუშათა საბინაო მშენებლობა

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა ა.-კ. ფინსახკომში წარადგინა მოხსენება მუშათა საბინაო კოოპერატიული მშენებლობის შესახებ 1928-29 წელში.

სულ საბინაო მშენებლობაზე ამიერ-კავკასიაში დახარჯული იქნება 31.284.000 მანეთი. აქედან 13.284.000 მანეთი გამონახული იქნება ადგილობრივ და რესპუბლიკანურ წყაროებიდან. დანარჩენი თანხა გრძელვადიანი კრედიტის სახით მიღებული იქნება ცენტრალურ კოოპერატიულ ბანკიდან.

ბრძოლა უმუშევრობასთან

უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით მიმდინარე წლის მესამე კვარტალში გადადებული თანხა 101.400 მანეთის რაოდენობით საქ. შრომის სახ. კომისარიატის მიერ განაწილებულია შემდეგნაირათ: უმუშევართა გადასახლებლათ გადადებულია 1.500 მან., დემობილიზაცია ქმნილ წითელარმიელთა დასახმარებლათ—1.500 მან., უმუშევრობასთან ბრძოლის საქმის საორგანიზაციო ხარჯებისთვის—2.000 მან., უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით გადაეცა თბილისს—50.000 მან. აჭარისტანს—5.000 მან., აფხაზეთს—4.000 მან., ქუთაისს—27.400 მან., სამტრედიას—2.000 მან., ჭიათურას—4.000 მან., სამხრეთ-ოსეთს—2.000 მან. და ზუგდიდს—2.000 მან.

გემების მიმოსვლა ყირიმ-კავკასიის ხაზზე

საბჭოთა სავაჭრო ფლოტის მიერ წელს ყირიმ-კავკასიის ხაზზე სამუშაოდ გამოყოფილი იქნება 6 ახალი სამგზავრო და საბარგო გემი: „წითელი მოლდავეთი“, „კოტოვსკი“, „განთიადი“, „კავკასია“, „ყირიმი“ და „ზარნიცა“.

მსახიობთა კოლექტივი

თბილისში შესდგა ქართველ უმუშევარ მსახიობთა კოლექტივი, რომელიც ამ დღეებში მიემგზავრება აღმოსავლეთ საქართველოს პროვინციებში წარმოდგენების გასამართავად. კოლექტივი პირველ რიგში წარმოდგენებს გამართავს საგარეჯოში, ველისციხეში, გურჯაანში, თელავში, სიღნაღში და სხ.

კოლექტივი დამტკიცებულია სახელოვნო კომიტეტის მიერ შემდეგი შემადგენლობით: აბაშიძე, ლოლუა, მაქარაშვილი, ალაზნისპირელი, ციცავა, კობახიძე, თარხნიშვილი, ფრანგიშვილი, ბოთლიაშვილი, და სხ. დასის ხელმძღვანელია პ. ფრანგიშვილი.

თბილისის აღმასკომში

◆ **აბანოები.** ჯანმრთელობის განყოფილებას დაევალა შეადგინოს მოზრდილ თემებში აბანოების მოწყობის გეგმა.

◆ **ალგეთის ქვის ქარხანა.** ადგილობრივ მრეწველობის განყოფილება შეუდგა ალგეთში ხაილმშენებლო ქვის დამამზადებელ მექანიკურ ქარხნის აგებას.

მიწსახკომში

◆ **ჩაის მეურნეთა კოლექტივი.** ლეძაძამეს რაიონში (სენაკის მაზრა), მიწსახკომის ცნობით, დაარსდა ჩაის მეურნეთა კოლექტივი, რომელშიაც ირიცხება 160 წევრი.

◆ **საბეითლო ამბულატორია.** მიწსახკომმა გადასწყვიტა საძოვრებზე სამუშაოდ მოაწყოს მოძრავი საბეითლო ამბულატორია.

კრებები და მოხსენებები

◆ **ქართულ ენის კაბინეტში.** დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება კაბინეტის ბიუროს სხდომა. ამავე დღეს, საღამოს 7 ს. გაიხსნება ქართული ენის მასწავლებელთა კონფერენცია.

◆ **უმუშევართა კრება.** 26 მაისს, დილის 10 ს. პროფსაბჭოს ახალ დარბაზში დანიშნულია მბეჭდავთა კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო კრება.

სხვადასხვა

◆ **იახტ-კლუბი.** ბათომში გაიხსნა იახტ-კლუბი, რომელსაც ყავს 200 წევრი.

◆ ა.-კ. კოოპერატიულ საბჭოს ახალ გამგეობაში არჩეული იქნა 19 წევრი.

„ქართული მწერლობა“

გამოვიდა საბჭოთა მწერლების ფედერაციის ყოველთვიური ჟურნალის „ქართული მწერლობა“-ს მორიგი ნომერი (№ 4). ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები:

„ჩვენი მწერლობა და კულტურული რევოლიუციის საკითხები— მოსულის, ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფია და წერილები მასზე სიმ. ხუნდაძის და ვ. კოტეტიშვილის.

ლექსები: ვ. გაფრინდაშვილის—„ზაფხული თებერვალში“, რაჟდენ გვეტაძის—„ფარული სტამბა ავჭალის გორაზე“, ი. გრიშაშვილის—„ნადირობა ნიამორებზე“, ნ. ზომლეთელის—„ევნო აზეფს“, კოლაუ ნადირაძის—„აფხაზეთი“, ვ. რუხაძის—„გაზაფხულის პირი“. ტიციან ტაბიძის!—„ამოდის ნითელება“, „გრიგოლ ცეცხლაძის—„ოთხი მაუზერი“. პროზა: გრიგოლ რობაქიძის—„ფალესტრა“. წერილები: ს. ხ.—„ხომლელი“, კ. გამსახურდია—„ჰენდრიკ იბსენი, ბ. ჟღენტი—„არიფიონი“; უცხოეთის ლიტერატურა, ბიბლიოგრაფია, ქრონიკა.

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემანი: ფრ. შილლერი—დონ-კარლოსი, გვ. 170, ფასი—1 მ.; ფრ. შილლერის—ვილჰელმ ტელლ, გვ. 100, ფასი—60 კაპ.; ნ. ჩუკოვსკი—კაპიტანი კუკი, გვ. 160, ფასი—1 მ.ნ.; ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“ № 4; „ქართული მწერლობა“ № 4.

ნიაღვარი თბილისში

გუშინ, შუადღის 4 ნახ. საათზე, თბილისში მოვიდა კოკისპირული წვიმა.

რუსთაველის პროსპექტზე ნიაღვარი იმდენათ ძლიერი იყო, რომ წყალმა გაავსო ქუჩის გასწვრივ გაყვანილი კვალი და რამოდენიმე ადგილას ქვაფენილზე გადავიდა.

მთაწმინდის მხრიდან რუსთაველის პროსპექტზე ჭავჭავაძის, ბესიკის და წულუკიძის ქუჩებით ნიაღვარმა აუარებელი ხრეში და სილა ჩამოიტანა.

საზონოვის ქუჩიდან ლენინის ქუჩაზე გადმოსულმა ნიაღვარმა ქვიშით დაჰფარა ტრამვაის ხაზი. მოძრაობა შეჩერდა.

მოსკოვის ქუჩაზედაც ძლიერი ნიაღვარი მიდიოდა და ქუჩას ავსებდა სილით და ქვიშით.

ბელინსკის ქუჩიდან გადმოსული ნიაღვარი გადავიდა ლენინის ქუჩაზე, დაუშვა ელბაქიძის დაღმართზე და მთლიანად დაჰფარა, როგორც ქუჩის შუა ნაწილი, ისე ფილაქანი.

სილითა და ხრეშით დაიფარა წყნეთის ქუჩაც.

ნიაღვარმა მთლიანად დაჰფარა საბჭოთა ქუჩაზე. ამ ქუჩაზე ალაგ-ალაგ დაგუბებულია წყალი.

ნიაღვარმა მოხილა აგრეთვე რიყე, ორთაჭალის უბანი ლენინის რაიონის, დიდუბის და ავლაბრის ზოგიერთი ქუჩები.

ნიაღვარმა ჩამორეცხა ქალაქის მახლობელი ფერდობები და დააზიანა ზოგიერთ ადგილას გაშენებული ახალი ტყეები.

ძლიერი წვიმა გაგრძელდა დაახლოვებით 10 წუთს.

ტრამვაის მოძრაობის შეფერხება

ნიაღვარმა დააზიანა ტრამვაის ხაზები. ელბაქიძის დაღმართზე ტრამვაის მოძრაობა შეჩერდა დაახლოვებით ათი წუთით. ტრამვაის მოძრაობა შეფერხდა კალიაევის აღმართზეც. რიყისაკენ და ავლაბარში მიმავალ მგზავრებს კალიაევის აღმართთან უხდებოდათ სხვა ვაგონში გადაჯდომა, რადგან ამ ხაზზე მოძრაობა სწარმოებდა მხოლოდ ერთი მიმართულებით

მოძრაობა სრულიად შეჩერდა საბჭოთა ქუჩაზე.

სასწრაფოდ მიღებული ზომებით ტრამვაის ხაზები გაწმენდილ იქნა სილისაგან (გარდა საბჭოთა ქუჩისა) და მოძრაობა ჩქარა აღადგინეს.

საბჭოთა ქუჩაზე ნორმალური მოძრაობა აღდგენილ იქნება დღეს დილიდან.

ნიაღვრის მსხვერპლი

გუშინ ღამით თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში მიიღეს ცნობა, რომ კრწანისის ხევში მოვარდნილმა ნიაღვარმა დაახრჩო ნინა არშაკის ასული გევორქიანი (25 წ.), მცხოვრები კომუნალურ ქ. № 78.

დამხრჩვალის გვამი ნაპოვნი არ არის.

ფიზკულტურის დღესასწაულისათვის

დადგენილება № 31

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა

სრულიად საქართველოს ფიზიკურ კულტურის დღესასწაულის შესახებ

ფიზიკური კულტურის დარგში მუშაობის აღრიცხვის და ფართო მასების წინაშე ფიზკულტურულ ორგანიზაციების დემონსტრაციის მიზნით საქართველოს ცაკი ადგენს:

1. დაევალოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მოაწყოს 3 ივნისიდან 8 ივნისამდე საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაული.

2. საორგანიზაციო კომიტეტი დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით: ქართველიშვილი, (თავმჯდომარე); ელიავა; იაკუბოვი; ქავთარაძე; მათიკაშვილი; ახობეკოვი; ივანოვ-კავკასიელი; სუხიშვილი; აკოფოვი; აბაშიძე; ყურულაშვილი; ფირალოვი; ჯავახიძე; საბკიანი; სილიძე; კვინიხიძე; კანდელაკი; მერკვილაძე; ვ. კიკნაძე; ეგნატაშვილი; გეორგაძე; ტესტელეცი; ლაკობა; გოგიბერიძე; კოზაევი; მხიტარიანი; აბზიანიძე; საენკო; ნესტეროვი; ბერია; ხინჩიგაშვილი; კახიანი; ლევანდოვსკი; ბოლქვაძე; კუტაიძე; კლემენტიევი.

3. საორგანიზაციო კომიტეტის ბიურო დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით:

1. თავმჯდომარე—გ. ქავთარაძე; 2. თავმჯდომარის მოადგილე—ვ. კიკნაძე; 3. ლ. აბაშიძე; 4. ფირალიშვილი; 5. საბკიანი; 6. ნესტეროვი; 7. კვინიხიძე; 8. ეგნატაშვილი; 9. მერკვილაძე; 10. მათიკაშვილი; 11. ხმალაძე; 12. კლემენტიევი.

4. დაევალოს ყველა უწყებებს მიიღონ მონაწილეობა დღესასწაულში, როგორც ცოცხალი ძალის გამოყვანით, ისე თავიანთი ფიზკულტ. ორგანიზაციების მატერიალური უზრუნველყოფით.

5. ყველა ფიზკულტურნიკები შეილინებული შეჯიბრზე განთავისუფლებულნი იქნან სამსახურიდან 8 დღით, საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

6. დებულება და პროგრამა წარმოდგენილი ფ.კ.უ.ს. მიერ დამტკიცდეს.

7. დაევალოს ქ. თბილისის კომენდანტს აღმოუჩინოს ბინა ჩამოსულ ფიზკულტურნიკებს.

8. დაევალოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს აღმოუჩინონ დახმარება ფ. საბჭოებს, ფიზკულტურნიკების გამოგზავნაზე დღესასწაულზე ქ. თბილისში.

9. მობილიზაციაქმნილი იქმნენ ყველა ფიზკულტ.-მომუშავენი წურთვნელები საბჭოების და უწყებების, ფ.კ.უ. საბჭოს განკარგულებაში.

10. აღიძრას შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის წინაშე, რათა დაწესებული იქმნეს უფასო ადგილები (проезд) ფიზკულტურნიკებისათვის მივლინებულ საქართველოს დღესასწაულზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—
ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის მაგ.—
დ. აფციაური.

1928 წ. მაისის 24.
თბილისი—სასახლე.

სასამართლო

ვითომდა ისიც სპარსეთის ბაზარს იპყრობდა

„ზაკგოსტორგს“ (ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობას), როგორც მოგეხსენებათ, თავისი სავაჭრო კანტორები აქვს გახსნილი სპარსეთის სხვადასხვა ქალაქებში.

ამ კანტორების საშუალებით „ზაკგოსტორგი“ ცდილობს გააფართოვოს თავის გავლენა სპარსეთის ბაზარზე, რაც შეიძლება მეტი საქონელი გაასაღოს და დაამყაროს ნორმალური აღებ-მიცემობა სპარსეთის სავაჭრო წრეებთან.

კანტორებს, ცხადია, გამგეები ჰყავთ. მათ ხელშია სავაჭრო ოპერაციების განვითარების ბედი.

აი სწორედ ერთი ასეთი გამგის ამბავს წავაწყდით თბილისის სასამართლოში და მოგითხრობთ

ეს გახლავთ **ალექსანდრე ოსიპოვი,** ერთ დროს „ზაკგოსტორგ“-ის კანტორის გამგე ქალაქ **ვარდებილში.**

ვარდებილში დანიშვნას დიდი სიხარულით შეხვდა ოსიპოვი, რომელიც მანამდე ქალაქ ასტარის კანტორაში მუშაობდა. მაშინვე გაშანშალა განცხადება და მოითხოვა ჯილდო გადაყვანის გამო 1.250 კრანი (სპარსული ფულია).

როგორც საბრალმდებლო დასკვნა ლაპარაკობს, ეს ჯილდო მან უკანონოდ მიიღო, არ ერგებოდა, მაგრამ ჯანი გავარდეს! მივსცეთ ჯილდო წასახალისებლად..

ჩავყვეთ ვარდებილში. ვნახოთ, როგორ დატრიალდება ჩვენი დაჯილდოებული წარმომადგენელი, როგორ გაბამს ქსელს სავაჭრო წრეებთან, როგორ განდევნის მეტოქეებს სპარსეთის ბაზრიდან.

ერთი შეხედვით არა უშავს! დიდ ამბებშია ოსიპოვი! დააქანებს ეტლს ვარდებილის ქუჩებზე. ახლო-მახლო ქალაქს არ სტოვებს უნახავად. ყოველ კვირაში მივლინებაშია.

ალბად საქმეს აკეთებს. ალბად ოფლში იწურება...

თავრიზის კანტორამიაც გამოუჩინდა საქმე ვარდებილელ გამგეს. გამოიწერა საგზაო, დღიური და მოულოდნელი ხარჯების დასაფარავი თანხები.

თავრიზის კანტორაში გაკვირვებით შეხვდენ ვარდებილელ გამგეს და გამოჰკითხეს ჩასვლის მიზანი.

— ერთ ხელსაყრელ გარიგებას ვსდებ და იმის თაობაზე მოლაპარაკება მინდა თქვენთან, სთქვა ოსიპოვმა და დაამშვიდა თავრიზელი ნუშაკები.

ეს მოლაპარაკება მალე მოათავა და თავრიზის კანტორას წარუდგინა ვითომ კონსულ ლევოვიჩის მიერ ხელმოწერილი ბარათი, რომელშიაც ეწერა: „მიეცით ოსიპოვს 1.000 კრანი“.

ოსიპოვს უსიტყვოდ დაუთვალეს ფული. ამ ფულის ანგარიშს დიდხანს ეძებდენ საგამომძიებლო ორგანოები, მაგრამ ვერსად მისი კვალი ვერ ნახეს. ვერ გაიგეს—ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ ანგარიში. თუმცა რა საინტერესოა ეს. ფული ოსიპოვმა ჩაყლაპა და ანგარიშს რას დავეძებთ!.

საერთოდ ,ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა ოსიპოვი. ამას ვერც ვუსაყვედურებთ ბაზრის დასაპყრობად „თავგამოდებულ“ მუშაკს, რომელიც ქსელს აბამს ობობასავით. ჩვენ მხოლოდ შემდეგ დავინახავთ—რა გაება მის ქსელში.

ვარდებილიდან ასტარაში მივლინებულმა ოსიპოვმა თავის ქსელში გააბა 1050 კრანი, რომელიც ჯილდოს სახით გამოუწერა თავის თავს. რა ეუცხოთ, რომ არაფერი არ გაუკეთებია მას ასტარაში. ფული ხომ მიიღო. თანაც ეტლით გადაიარა რამდენიმე ათასეული ვერსი.

ავანსებიც უყვარდა ოსიპოვს უზომოდ, სამაგიეროდ ჰქირივით ეჯავრებოდა „ქაღალდიზმი“, „კანცელიარული სისწორე, ორდერის გამოწერა და საქმის გაჭიანურება. ამოიღებდა სალაროდან ფულს და ჯიბეში ჩაიდებდა. წიგნში ჩაწერა რა საჭიროა! ქაღალდი იხარჯება. ზეპირადაც დაიმახსოვრებს!

ასე იმუშავა ოსიპოვმა 1926 წლის ივლისამდე. ივლისში გაუკეთეს რევიზია მის ოპერაციებს და მიიღეს ოსიპოვის მოღვაწეობის ასეთი შედეგი:

ოსიპოვს გაუფლანგავს 4626 კრანი ე. ი. ჩვენი ფულით 1157 მანეთი. ამას მიემატა კიდევ 526 მანეთი, რომელიც უკანონოდ მიიღო ოსიპოვმა ჯილდოთ, ვითომდა ისიც სპარსეთის ბაზარს იპყრობდა..

ოსიპოვი დაპატიმრებულია. საქმეს გაარჩევს თბილისის მაზრის სასამართლო.

ბერ.

შემთხვევები

ექიმბაშის დაპატიმრება

19 თებერვლის ქ. № 17 სცხოვრობდა სოფიო ნიკოლ. ასული კილაძე, რომელმაც უეცრად ხალხში სახელი გაითქვა, როგორც „ექიმმა“ ქალმა. კილაძის ქალს თავის ბინაზე მოწყობილი ჰქონდა „ამბულატორია“. იგი ბალახის ძირისაგან ამზადებდა სხვადასხვა „წამლებს“ და აქიმობდა ვენერიული სენით და ჭლექით დაავადებულ პირებს. ბოლოს ეს ამბავი მივიდა სისხლის სამართლის მილიციის ყურამდე.

ს. ს. მილიციამ გამოარკვია, რომ კილაძის ქალი ექიმბაშობას ეწეოდა ანგარების მიზნით. იგი დააპატიმრეს.

კილაძე გამოტყდა დანაშაულში.

ცოლისა და შვილის დაჭრა

გუშინ, დღისით კარაპეტ ხერხაძე ხაჩატუროვმა (მცხ. ყორნეთის ქუჩა № 19)დანით მეუღლეში დასჭრა თავისი ცოლი—საბელა და შვილი—გიორგი. დაჭრილებს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. როგორც გამოირკვა, კარაპეტ ხაჩატუროვსა და მის შვილს შორის ცუდი განწყობილება არსებობ და ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე. გუშინ კარაპეტ ხაჩატუროვი მთვრალი მისულა სახლში და წინადადება მიუცია შვილისათვის, რომ მან თავი დაანებოს უსაქმოდ ხეტიალს ამ სიტყვებით გაბრაზებულმა შვილმა სილა გააწნა მამას. უკანასკნელმა წამოავლო ხელი სუფრის დანას და დასჭრა შვილი.

გიორგი ხაჩატუროვს მიეშველა დედა, მაგრამ კარაპეტმა არ დაინდო თავისი ცოლიც და დანით მიაყენა მას რამოდენიმე ჭრილობა.

დაკითხვისას კარაპეტ ხაჩატუროვმა განაცხადა, რომ მან ბოროტმოქმედება ჩაიდინა წინასწარი განზრახვით.

ქ. ხაჩატუროვი დაპატიმრებულია.

მოწაფის დაჭრა

გუშინწინ, მე-7 შრომის სკოლაში (მდებარე სანაპირო ქუჩა № 19) მეცადინეობის დროს მოულოდნელათ გავარდა რევოლვერი და ტყვიით მძიმედ დაიჭრა მე-9 ჯგუფის მოწაფე—მართა არჩილის ასული გაჩეჩილაძე (17 წლისა). გაჩეჩილაძეს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში. მისი გადარჩენა საეჭვოა.

გამოირკვა, რომ „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი გაისროლა ამავე ჯგუფის მოწაფემ—ბორის გერონტისძე ვადაჭკორიამ (19 წლისა).

რევოლვერი ვადაჭკორიამ გაისროლა პარტიდან. რევოლვერის გავარდნისთანავე ვადაჭკორია გადახტა ფანჯრიდან და მოინდომა მტკვარში გადავარდნა თავის დახრჩობის მიზნით, მაგრამ გადაარჩინეს.

ვადაჭკორია დაპატიმრებულია. დაჭრის მიზეზი ირკვევა.

გვამის პოვნა

გუშინ, დღისით ვერის პარკთან, მტკვრის პირას, იპოვნეს ახლად დაბადებულ ბავშვის გვამი მამრობითი სქესისა. გვამი გაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

მოკვლის განზრახვა

გუშინ, დღისით ვერის ბაზარში თომა სოღულაშვილმა და ვალერიან გიორგაძემ დანით დასჭრეს ივანე ზაქარიაძე ფალავანდიშვილი. ორივე ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

ვისია ობლიგაციები?

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივიტი ახმედ ასლანის ძე ახმედოვი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 11(ს. კარანაძესთან).

მეცნიერება და ტეხნიკა

ავტომობილი—მაშხალა*)

ბერლინი, 23 მაისი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, 23 მაისს დილით ბერლინში ავუსის აეროდრომზე გამართა ოპელის ფირმის მიერ აგებულ ავტომობილ - მაშხალის პირველი საჯარო გამოცდა. ავტომობილი მოძრაობაში მოჰყავს აფეთქებულ ნივთიერებათა ძალას. გამოცდა სრული წარმატებით ჩატარდა .უდიდესი სისწრაფე, რომელიც განავითარა ავტომობილმა, არის 195 კილომეტრი საათში.



ოპელის ფირმის ავტომობილი—მაშხალა

---

*) დაწვრილებით იხ. „კომუნისტი“ № 116-ში წერილი: „გადატრიალება მიმოსვლის ტეხნიკაში“.

თბილება და სქესი

ამერიკელმა ბიოლოგმა ვიტშიმ აღმოაჩინა, რომ გარემოის თბილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩანასახის სქესის განვითარებისათვის. ვიტშიმ მოახდინა ცდები ბაყაყის კვერცხებზე. ნორმალური ტემპერატურის წყალში მოთავსებულ კვერცხებიდან განვითარებულ თავკომბალებში მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლები თანაბარი რაოდენობის აღმოჩნდა. თუ განვითარება ხდებოდა უფრო მაღალი ტემპერატურის პირობებში, შეფარდება იცვლებოდა მამრობითი სქესის თავკომბალების სასარგებლოდ. რამდენადაც უფრო მაღალი იყო ტემპერატურა, იმდენად უფრო მეტი მამრობითი სქესის თავკომბალები ვითარდებოდა ბაყაყის კვერცხებიდან. 90 გრადუს (ფარენგეიტით) სითბოს მქონე წყალში მოთავსებულ კვერცხებიდან მთლიანად მამრობითი სქესის ბაყაყები განვითარდა. შემდგომი ცდების დროს ვიტშიმ მოახერხა უკვე განვითარებულ თავკომბალების სქესის შეცვლა მათი ცხელ წყალში მოთავსებით.

ახალი ცნობები ვიტამინ „E“-ს შესახებ

ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა სტრონგმა აღმოაჩინა, რომ მზის სხივებით განათება სპობს სპეციფიურ თვისებებს ახლად აღმოჩენილ ვიტამინ „E“-სას, რომელსაც „ნაყოფიერების ვიტამინს“ უწოდებენ. ამ ვიტამინის ნაკლებობა საჭმელში იწვევს უნაყოფობას (უშვილობას). ვიტამინ „E“-ს ყველაზე მდიდარ წყაროს მცენარეულობის ზეთებსა და პურის მარცვლებთან ერთად წარმოადგენს ლუდის საფუარი (დროჟჟი).

პროფ. სტრონგი ექვსი თვის განმავლობაში ახდენდა ცდებს ვირთხებზე. საცდელ ვირთხების ჯგუფი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. მთელ ჯგუფს კვებავდენ საფუარ-ნარევ საჭმელით მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვირთხების ერთი ნაწილის საკვებში ურევდნენ ჩვეულებრივ საფუარს, მეორე ნაწილისაში—მზის სხივებზე განათებულ საფუარს. ასეთ კვების შედეგი იყო ის, რომ ვირთხების მეორე ნაწილმა სრულიად დაჰკარგა გამრავლების უნარი.

ხეხილის წამლობა

უკანასკნელ წლებში გორის მაზრაში ხეხილის ბაღებს გაუჩნდა სხვადასხვა მავნებლები, რაც საფრთხეს უქადის მეხილეობის საქმეს. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მიწსახკომმა. სახ. კომისარიატმა და გორის მაზრაშ ბაღების წამლობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ მიავლინა 2 სპეციალისტი და 50 ინსტრუქტორი და აგრო-ტეხნიკოსი. გარდა ამისა მიწსახკომმა მეხილეობის რაიონებში მოაწყო გლეხებისათვის ხეხილის წამლობის შესასწავლი კურსები.

ხეხილის საწამლებლად შეძენილია ყველა საჭირო ხელსაწყოები, და წამლეულობა, მათ შორის 6 ათასი ფუთი კირი, 2 ათასი ფუთი შაბიამანი, ორას ორმოცი კასრი პარიზის მწვანე წამალი, 500 სასხურებელი აპარატი და სხვ.

წელს გორის მაზრაში ბაღების წამლობა ტარდება უფასოდ, რათა გლეხები თვალსაჩინოდ დარწმუნდენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბაღების აქიმობას ხილის მოსავლის გადიდებისათვის.

ვინაიდან ბაღების წამლობა მოითხოვს დიდ თანხებს, მიწსახკომ. სახ. კომისარიატმა და გორის სამაზრო აღმასკომმა მიმართეს ხილის დამამზადებელ ორგანიზაციებს წინადადებით ბაღების საწამლებლად თავის მხრივ გაიღონ შესაფერი თანხები.

„ზაკგოსტორგმა“, რომელსაც განზრახული აქვს წელს გორის მაზრაში დაამზადოს 200.000 ფუთი საექსპორტო ხილი, ბაღების საექიმო ხარჯების დასაფარავად გაიღო 30.000 მანეთი, ამავე მიზნით საქ. ვაჭრობის სააქციო საზ-მა გადასდო 15.000 მანეთი, ხოლო „თბილისის ვაჭრობამ“—12.000 მანეთი. ორი უკანასკნელი ორგანიზაცია წელს გორის მაზრაში დაამზადებს 180.000 ფუთ ხილს.

რკინისგზეზე

ორთქლმავალი უმემანქანოდ

23 მაისს განჯიდან გავიდა ორთქლმავალი № 678, ამ ორთქლმავალის გასვლა სადგურიდან მოულოდნელი იყო. შიგ არ იყო არც მემანქანე, არც მისი თანაშემწე. როგორც სჩანს, ვიღაც ბოროტმოქმედი ავიდა გაჩერებულ ორთქლ-ზე, გააღო რეგულიატორი, ორთქლმავალი დაიძრა და წავიდა, ბოროტმოქმედი კი გადმოხტა დაბლა. ორთქლმავალი 12 კილომეტრის გავლის შემდეგ თავისთავად გაჩერდა სად. ალაბაშლის შესასვლელ ისართან.

შემთხვევით გზა თავისუფალი იყო, რითაც თავიდან იქნა აცილებული მოსალოდნელი უბედურება. კვლევა-ძიება სწარმოებს.

66.000 მან. ზარალი

3 აპრილს სამარშრუტო შემადგ. № 110 შემოდიოდა სად. სოგუთ-ბულახში, მოულოდნელად ერთ-ერთ ისარზე გადასვლისას შემადგენლობის შუა ნაწილიდან გზას ასცდა ერთი ცისტერნა; უკანა ცისტერნები დაეჯახა ჩავარდნილს და დაიმტვრენ.

შემთხვევამ გზას მიაყენა 66.000 მან ზარალი.

საგზაო კომისიამ გამოიკვლია, რომ ცისტერნის აცდენა გამოიწვია ისრის დაზიანებამ, ამის გამო სადგურის მორიგე კოვალენკო მოხსნილია სამსახურიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

ნარევი

სიტყვა რამდენიმე ენაზე ერთბაშად

ამერიკაში გამოიგონეს მოწყობილობა, რომელიც გამოყენებულ იქნება სხვადასხვა საერთაშორისო კონგრესებზე და ყრილობებზე და რომელიც შესაძლებლად გახდის ორატორების სიტყვების მოსმენას ერთბაშად სხვადასხვა ენებზე. ამ მიზნით ყრილობის ან სხდომის დარბაზში იდგმება მთელი რიგი მიკროფონები, რომლებშიც თარჯიმანები დაბალი ხმით იმეორებენ ორატორის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, უკვე ნათარგმნს ამა თუ იმ ენაზე.

ეს მიკროფონები წვრილი მავთულებითაა შეერთებული სხდომის ყველა მონაწილეთ. საჯდომებთან. სხდომის მონაწილენი ყურზე იმაგრებენ სასმენ მილებს, რომლებშიაც ისმის მხოლოდ შესაფერ ენაზე თარგმნილი სიტყვა. ეს ახალი გამოგონება გამოყენებული იქნება უახლოეს საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებზე.

რამდენს ვჭამთ

60-70 წლის სიცოცხლის განმავლობაში ადამიანი თავის ორგანიზმში ატარებს იმდენ საჭმელს, რომელიც 1000-ჯერ მეტად სჭარბობს მის საკუთარ წონას. თითეული ადამიანი თავის სიცოცხლის განმავლობაში ანადგურებს მსხვილფეხა საქონლის მთელ ჯოგს, შემდგარს 20-25 სულიდან, კიდევ უფრო მრავალ რიცხოვან ჯოგს ღორებისას, ცხვრის ფარას, მთელ ვაგონს სხვადასხვა ფრინველებისას და 480 კილოგრამ თევზს. სულ საერთოდ, მთელი რაოდენობა იმ მაგარი და წვნიანი საჭმელის, რომელსაც ჩვენ მივიღებთ 60-70 წლის ჰასაკამდე, აღწევს 6.000 ფუთამდე, ე. ი. საშუალოდ 1.200-ჯერ აღემატება ჩვენი ტანის წონას.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

თბილისის შრომის ბირჟა დღეს, 25 მაისს, სამუშაოზე გაგზავნის იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ. კვალიფიციურ მუშაკთა **1-ლი სექ.-დან:** ივანე მალაქიძე, ალექსი მირონოვი, პოლოს მხითარიანცი, პეტროს ეტმეგჩიანცი, ალექსი კარაგოსოვი, ივანე გრიგორ, ნერსეს დარაბაევი, პანტელეიმონ ჰერბერტი, აბგარ სტეფანიანცი, ნიკოლოზ ზახარინი. ალექსი ფირალოვი, სიმონ მიხაილოვი, მიხეილ ანტონოვი. ვერა კარაპეტიანი, პეტროს ტიიანი და ანტონ ხაჩატურიანი; **შავ მუშათა სექციიდან:** სიმონ ხააკიანცი, თედო ცირეკელი, ანტონ ხაჩატურიანი, არშაკ აგიაზაროვი, იოსებ ბარდანაშვილი, დავით გვენცაძე, ანტონ ხუბაშვილი, ი. კილასონია, ანტონ ვალოდკო, მარიამ ხარაევა, ალექსანდრე ციციშვილი, იოსებ მუხერიძე, დომენტი კალმახელიძე, მაკარ უნიანცი, სერგო პეტრიაშვილი, მარიამ ილინა, აკაკი რაჭველიშვილი, რეზო მალაციძე, ვასო მალაციძე, ონისიმე აბაიშვილი, შალვა გუნცაძე, გიორგი სალაძე, მიკირტიჩ ოგანეზოვი. აირაპეტ ავეტისიანი, ვლადიმერ სალტიკოვი, შაქრო ბოგველი, ამბაკო მელაძე, ილია ზეჟუაშვილი, არტემ დავითიანი, ვლადიმერ ჩაჩანიძე, არტაშა შაშმანოვი, გიორგი პაპიაშვილი, პავლე ჩიქოვანი, სოლომონ მეგრელიშვილი, ნიკოლოზ მელაძე, ისიდორე დემიძე, ლუკა შარაბიძე, ქსენია არტემოვნა და სარქის ავეტისოვი; **შენებლ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** გიორგი ასანიძე, გიორგი ხანიზოევი, თედორე სერგეევი, ილია ტრალაშვილი, ვერა ჩულოსოვა, არუთინ იალოვი, მელიტონ კვირკველია, სერგო ღვალაძე, შმაონ აბრამოვი, ლევან არუთინოვი, აშოტ შაგურნაიანცი და ალექსი ვართანოვი.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 25 მაისი

დღეს, 25 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

ხელოვნების როლი კულტურულ რევოლიუციაში—მოხსენება ქართულ ენაზე.

მეცნიერებისა და ტეხნიკის მიღწევები—მოხსენება რუსულ ენაზე.

ადამიანის წარმოშობა—საუბარი რუსულ ენაზე.

პიონერების გაზეთი და მოხსენება ოსურ ენაზე.

რადიო-მეგობართა საზოგადოების ტეხნიკური კონსულტაცია.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის შედეგები—მოხსენება თურქულ ენაზე.

კუჭ-ნაწლავების ავადმყოფობა და მის წინააღმდეგ ბრძოლა—საუბარი თურქულ ენაზე.

საქართ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენებების შუა შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

იურიდიული დახმარება

საფოსტო წიგნაკი № 7835.

კითხვა

საკურორტო სამმართველომ შემცირა შტატის შემცირების გამო [illegible]. საბოლოო ანგარიში [illegible] ზედმეტი საათების ნამუშევარი. ვაპირებ შრომის სასამართლოში გასაჩივრებას, თუ სასამართლომ სცნო კანონიერათ და მომისაჯა ზედმეტი საათების ნამუშევარი, მაქვს თუ არა უფლება მაშინ მოვითხოვო ხელფასი ფაქტიურ ანგარიშის გასწორებამდე.

პასუხი

გაქვთ უფლება მოითხოვოთ ხელფასი ანგარიშის გასწორებამდე, თუ სამსახურიდან მოხსნის დროს ანგარიში არ იყო გასწორებული დამქირავებლის მიზეზით.

სამტრედია, მოქ. დიომიდე შარაშიძეს

კითხვა

სამტრედიაში მაქვს საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთზე 300 ოთხკ. საჟენის სივრცით. ვფიქრობ სახლის გაყიდვას და მასში აღებულ ფულის საამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობაში შეტანას. გთხოვთ გვიპასუხოთ, მაქვს თუ არა ამის უფლება?

პასუხი

საცხოვრებელი შენობის გაყიდვა ისე, რომ ის მიწას არ აეცალოს, შეიძლება იმ პირობით, თუ ის მიწა, რომელზედაც ეს შენობაა, წინასწარ გადაეცემა საადგილ-მამულო ორგანოს მიერ იმ პირს, ვისაც მისი, შენობის ყიდვა სურს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

გეოლოგიურ და გეოლოგიურ-საკვლევო სამუშაოთა გეგმების საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გეოლოგიურ კომიტეტთან შეთანხმების წესის შესახებ.

სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წ. მარტის 16-ს დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს რესპუბლიკანურ და ადგილობრივ დაწესებულებათ და საწარმოთ მათ მიერ საწარმოებელ გეოლოგიურ და გეოლოგიურ-საკვლევო სამუშაოთა გეგმები წინასწარ შეუთანხმონ ხოლმე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გეოლოგიურ კომიტეტს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების მეშვეობით, არა უგვიანეს ყოველი წლის აპრილის 1-სა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილებას, 1-ლ მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა და საწარმოთაგან გეგმების მიღებისთანავე, შეიმუშაოს საქართველოში საწარმოებელ გეოლოგიურ გამოკვლევათა რესპუბლიკანური ხაზეული გეგმა და წარუდგინოს იგი შესათანხმებლად სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გეოლოგიურ კომიტეტს არა უგვიანეს ყოველი წლის აპრილის 20-სა, სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს ზემოაღნიშნული, ა. წ. მარტის 16-ს, დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად.

ხელს აწ. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
ს. სტეფანოვი.

1928 წ. მაისის 16.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 25 მაისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

—:—

წინადადება ეძლევა ამხ. ალექსანდრე პაგლესძე სიტნიკოვს გამოცხადდეს დღეს, 25 მაისს, დღის 12 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საადრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) ამხ. იასაკოვთან.

—:—

დღეს, 25 მაისს, დღის 2 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის პარტ-კოლექტივის ბიუროს სხდომა, რომელზედაც უნდა გამოცხადდენ პოლიტ-წრის მამასახლისები: ამხ. დარსაველიძე და თოფურია.

დღეს, 25 მაისს, საღამოს 6 საათზე სახ. უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივის მიერ მოწვეულია სოციალ - ეკონომიური ფაკულტეტის 1-ლ და მე-2-რე კურსის უჯრედის ბიუროს სხდომა, წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომელთაც შეტანილი აქვთ განცხადებები, მათ გარდა სხდომაზე უნდა გამოცხადდეს ამხ. ნინო მიხაბელი.

—:—

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედის ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 25 მაისს, საღამოს 5 საათ. სტუდენტთა კლუბში მოწვეულია გაერთიანებულ კომუჯრედის საერთო კრება.

დღის წესრიგშია ფრიად სერიოზული საკითხები.

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

დამწუხრებულნი: დედა ხინობი, და ნინა, ძმა ივანე მჟავეები, დათიკო და ელგუჯა ქარაბაკები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ტასო გაბრიელის ასული მჟავია

გამოსვენება შაბათს, 26 მაისს, 4 საათზე, რკინის-გზის საავადმყოფოდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2459 2—1

თინა დ ლეო თიკანაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს დ ნაცნობებს ძვირფას დეიდას

ტასო გაბრიელის ასული მჟავიას

გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს, 26 მაისს, დღის 4 საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან. დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე. 2461—2—1

დავით ვასილის-ძე ხომშიაშვილი, შვილით პატარა ლენათი და მამით ვასილით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 27 მაისს, დღის 12 საათზე, დაუვიწყარ და საყვარელ მეუღლის

ნინა აფრასიონის ასულის
და დედის
მარიამ ოქროპირის ასულის
ხომშიაშვილების

ხსოვნის აღსანიშნავათ სოფ. კლდეეთში (შორ. მაზრა) სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2454

გულდათუთქულნი: მეუღლე ლიუბა, შვილები: ვენიკო, შოთა და კარლოსი, დედა ოლღა დგებუაძეები, ბიძა ვასილ გაბუნია მეუღლით და შვილებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ექიმი მემნონი (იგივე სულიკო) ივანეს ძე
დგებუაძე

დაკრძალვა მოხდება 27 მაისს, კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე, ორჯონიკიძის ქუჩა 104 ქ. ქუთაისში. ნ. 1141

სახკინმრეწველობის კინოები

აპოლო	მხატვრ. სურ. „მეჟრაბპომ-რუს“-ის ნაწარმოები მიდის დიდი წარმატებით **მიწა ტყვეობაში** რეჟისორი—ფ. ა. ოცეპ ოპერატორი—ლ. ფორესტიე.
არფასტო	
მინიონი	ორიგინალური კომედია **სოროჩინის ბაზრობა** გოგოლის ნაწარმოებ. მიხ.
პალასი (საზაფხულო)	საზაფხულო სეზონის გახსნა. ეკრანზე **სამი მუშკეტერი** დუგლას ფერბენკსის მონაწილეობით
სოლეი	სეზონის საუკეთესო სურათი **ორი ქმრის ცოლი** ესტერ გაზის მონაწილეობით პროგრამის გარდა ხანძარი ქუთაისში
ოდეონი	გარი ლიდკე და ჟენი პორტენ სურათში **ფავორიტი** (დედოფლის საყვარელი)
დარბაზი	მხატვრული სურათი **ლონდონის ნისლში**
პროლეტარი ავლაბარი	პირლ უაიტ სურათში **ვუ-ფანგის საიდუმლოება** (პარ ამურ)

ანონსი: მალე „სამანიშვილის დედინაცვალი“ დ. კლდიაშვილის ნაწარმოების მიხედვით 0—19

კინო მინიონი
დღეს და ყოველდღე
ორიგინალური კომედია
სოროჩინის ბაზრობა
გოგოლის ნაწარმოების მიხედვით
დადგმა რეჟისორ გრიჩერი
ოპერატორი—ვერიგო-დოროვსკი
სიმებიანი ორკესტრი რეიხერსის ხელმძღვანელობით
1 სეანსის დაწყება 7 ს. 15 წუთზე ნ. 1144

მიღებულია 2 საზღვარგარეთელი სურათი
მშვიდობით ახალგაზრდობავ
მონაწ. კარმენ ბონი და ვალტერ სლეზაკ
კენისმერკ
პიერ ბენუას ცნობილ რომანის მიხედვით
თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს

ამიერ-კავკასიის რკ. გზების გამგეობის ყველა განყოფილებებში
(სადგურის ქ. № 1)
„კომუნისტი“-ს გამოწერა შეიძლება
ამხ. ი. ი. იოზეფოვიჩისაგან
წლის დარგის საორთქმავლო ნაწილი, მე-3 სართული
საჭირო ცნობების მიღება შეიძლება მისგანვე

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ კვირას, 27 მაისს, სასახლის ქ. № 3, დილის 10 საათზე, დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ნარკომფინისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ. გაიყიდება: ხალიჩები, ფარდაგები, სარკეები, ბუფეტები, კამოდები, მაგიდები, სკამები და სხვა მრავალი ნივთები. ნ. 1143

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ შაბათს, 26 მაისს, დილის 10 საათზე, კლარა ცეტკინის ქ. № 154 და 2 საათზე, გორის ქუჩა № 26 ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
კლარა-ცეტკინის ქ. № 154 გაიყიდება: ბამბის საპენტი მანქანა თავის მოწყობილობით, ელექტრონის მატორი 15 ძალიანი, საპენტი ხის მანქანა, სატკეპნი მანქანა; გორის ქუჩაზე № 26 დუქნის მოწყობილობა და მაგარი სასმელები. ნ. 1142

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 29 მაისს, 1928 წ. დღის 2 საათზე, სახლში № 10 წულუკიძის ქუჩაზედ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის საფინანსო კურსების მოძრავ ქონებას: საწერ მაგიდას, პარტებს, დაფებს, სკამებს და სხვას, შეფასებულს 185 მანეთად, აპოლონ კობახიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 2 მარტის 1928 წ. თარიღით, № 568 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1140

თელავის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ზ. ყარასაშვილი
აცხადებს, რომ ა.-წ. 31 მაისს, დილის 10 საათზე, ქალ. თელავში რიკოვის ქუჩაზე, № 6, ხითაევის ეზოში, იქნება **საჯარო ვაჭრობა** სუმბატა კარაპეტიანის შემდეგი ქონებისა: ხალი შეფასებული 60 მან., კედლის საათი—20 მანეთად, ჰურჯლის შკაფი—30 მანეთად, ფეხით საკერავი მანქანა—200 მან., კრავატი—60 მან., ეტაჟერკა—10 მან., სკამი—8 მან., მესამოცდა-ოთხე ცხენოსანნ ათასეულის საქმეზედ, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა № 31798—22/5 1928 წ. ნ. 1146

ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება
აცხადებს, რომ თანახმად სახელმწიფო მეორე სანოტარო კანტორის დამოწმებისა 1928 წ. 21 მაისის თარიღით რეესტრი № 1172 და მოქ. მოქ. ივანე და ისიდორე სოფრომის ძეთა ვარაზაშვილების განცხადებისა
ფირმა „შავი ქვის მრეწველი **ძმ. ვარაზაშვილებისა**“
ლიკვიდაცია ქმნილია,
ლიკვიდატორათ დანიშნულია ივანე ვარაზაშვილი და მთელი აქტივი და პასსივი ფირმისა გადასულია პირადათ ივანე სოფრომის-ძე ვარაზაშვილზე. ნ. 1147

მიხეილ ბედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძლობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)ქორესის ქ. კუთხე.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

ექიმი
ქ. ს. ფონ-ინტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—3
ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპა“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი ლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

თანახმად განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებისა,
ამა წლის 20 ივნისს შესდგება
უკანასკნელი
და
საგოლოო
საგამოცდო სესია იმ პირთა გამოსაცდელად, ვისაც სურს მიიღოს: 1) კბილის ექიმის წოდება, 2) კბილის ტეხნიკოსის წოდება.
მსურველმა წერილობითი განცხადება სათანადო საბუთებით უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 15 ივნისისა, საგამოცდო სესიის თავმჯდომარის სახელზე, შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 126 სტომატოლოგიური კლინიკა. იქვე შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება. 13—1

დაეკარგა: სამხედრო საადრიცხვო ბარათი გრიგოლ იაგორისძე ძეველოვის სახელზე, ჩ. გ. 2453

დაეკარგა: კოოპერატივის წიგნაკი № 12539 ვანო თალაკვაძის სახელზე, ჩ. გ. 2456

დაეკარგა: პასპორტი მნაცაკან უმბარიანცის სახელზე, ჩ. გ. 2457

დაეკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 21202 ბარბარე ჩარკვიანის სახელზე, ჩ. გ. 2462